ვლადიმერ მაიაკოვსკი

შარვლიანი ღრუბელი

ტეტრაპტიქი

პოემა

თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ

3.

ოჰ, რატომ,
რისთვის დაიკარგა ხალისი იგი,
რა ესაქმებათ ბინძურ ხელებს
წმინდა ნათელთან!

მოვიდა
სულით ავადმყოფთა სახლებზე ფიქრი
და მომიტანა სასოწარკვეთა.

და —
როგორც გემის ჩაძირვისას
შეშლილი სახით
ვიწრო სარკმელში მოძვრება ხალხი, —
ისე დაფლეთილ
საკუთარ თვალში
გაოგნებული ბურლიუკი გამოძვრა მაშინ.
გამოძვრა,
დადგა
და წავიდა მტრების ჯინაზე,

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2.

სისხლი უვსებდა ქუთუთოებს —
ცრემლის მაგიერ,
მაინც მსუქნისთვის უჩვეულო ხმით და სინაზით
ბრძანა:
„კარგია!“

კარგია,
როცა სული აღარ მოჩანს გარედან —
ჭრელი სამოსით შეფუთული შესაფერისად!
კარგია,
როცა ეშაფოტზე აგიყვანენ და
წამოიძახებ:
„სვით კაკაო ვან-გუტენისა!“

და მე ამ წამის —
ბენგალურის —
დათმობა მიჭირს,
ვერ დამავიწყებს —
მოგუგუნეს —
დიდი ხიფათიც...

სიგარის ბოლში,
ლიქიორის პატარა სირჩით,
გამოჩნდა სევერიანინის ლოთი სიფათი.

თუ პოეტი ხართ,
როგორ ბედავთ — იყოთ ასეთი,
მწყერჩიტასავით აჟღურტულოთ სიტყვა ხალასი!
დღეს
საჭიროა
რკინის კასტეტი
ჩავცხოთ სიმშვიდეს თავის ქალაში!

თქვენ,
ვინაც ეძებთ ახალ შეხვედრებს
და რჩეულ ცეკვებს ღამეს უთენებთ, —
როგორ ვერთობი,
ერთი შემხედეთ —
ბანქოს შულერს და
ქუჩის სუტენერს!

თქვენ,
სიყვარულში ჩვილზე ჩვილი გულის პატრონებს,
რომლებიც ხანგრძლივ ცრემლის ღვრაში
ამაოდ დაშვრით, —
მე მიგატოვებთ,
თქვენ მიგატოვებთ,
მზეს მონოკლივით ჩავიდგამ თვალში.

და წავალ —
უცხოდ მოკაზმული უნდა წავიდე,
რათა მესმოდეს
ალტაცების წამოძახილი, —
ძეწკვს გამოვაბამ ნაპოლეონს და წინ გავიგდებ
დრუნჩა ძალლივით.

წინ გამიწვება დედამიწა დედაკაცივით,
თანხმობის ნიშნად მძიმე სხეულს შეარხევს მიწა;
გაცოცხლდებიან ნივთები და
ნივთი დაცინვით
ენას მოიჩლექს:
„ციცა!“ და „ციცა!“

უცებ
ღრუბლები
ჭრილობების მოსაშუშებლად
აწრიალდნენ და გზა გაუხსნეს ავდარს უცაბედს,—
თითქოს აჯანყდნენ თეთრი მუშები
და ცას გაფიცვა გამოუცხადეს.

სწრაფად გამოხტა ღრუბლებიდან მეხი მხეცივით,
გადმოიფერთხა ნესტოები სახლებისაკენ,
ცას სახე ისე მოელრიცა, მკაცრი და ცივი,
როგორც მრისხანე სახე ბისმარკის.

ვიღაც,
ღრუბლებში გახლართული,
ცდილობს ძალიან,
გადმოაწვდინოს ხელი კაფემდის, —
თითქოს ნაზია,
თითქოს ქალია,
თითქოს ქვემეხის არის ლაფეტი.

იქნებ გგონიათ,
კაფეს ნაზად მზემ გადმოხედა,
ხელს უთათუნებს ლოყაზე და ამხნევებს ცოდვილს?
არა,
ეს ისევ დასასრვრეტად მეამბოხეთა
დაუნდობელი გენერალი გალიფე მოდის!

მოსეირნენო,
მიატოვეთ მშვიდი მარაქა,
ხელი დაავლეთ ქვებს და ნაჯახებს,
ხოლო რომელთაც ხელი არა გაქვთ,
გამოქანდით და შუბლი აჯახეთ!

დამშეულებო,
აიკარით გუდა-ნაბადი!
დამაშვრალებო
უიმედოდ და უშედეგოდ,
მოდით,
ყოველი ორშაბათი და სამშაბათი
ვიზეიმოთ და სისხლში შევლებოთ!

დაე, დანებქვეშ გაიხსენოს მათი გვარები,
ვისი სახელიც სალახანებს საჯიჯგნად მისცა,
მიწამ —
როტშილდის გადაყვარებულ
საყვარელივით მსუქანმა მიწამ!

იყოს ზეიმი სანატრელი და საოცნებო,
დროშების ქარი, ბათქა-ბუთქი, ცრემლის
მორევი,—
მაღლა ასწიეთ,
ქუჩის ბოძებო,
ფქვილის ვაჭართა გასისხული მძიმე მძორები.

ვილანძღებოდი,
თავზე არვინ აღარ დავისვი,
არვის ვინდობდი —
გული ნდობით
არ შეიმოსა.

იფერფლებოდა ცაზე დაისი,
წითელი, როგორც მარსელიოზა.

ეს სიგიჟეა.

მეც ამაოდ გავნერვიულდი.

ღამე კი მოდის,
რომ ჩაყლაპოს
ყველა მნათობი.

შეხედეთ —
ზეცა ისევ იუდობს,
გამოიტყუა ვარსკვლავები მუხანათობით.

მოვიდა,
ქალაქს გადაემხო ღამის მორევი,
თითქოს ღრეობენ მამაი და მისი რაზმები.
ამ წყვდიადს თვალი ვერ მოერევა,
შავზე შავია, როგორც აზეფი!

სარდაფში ვზივარ და არავის ვებოდიშები,
სუფრა და სული დავასველე სადღეგრძელოთი.
ვხედავ:
კუთხიდან თვალი ღვთისმშობლის —
კი არ მიყურებს — გულში შემოდის.

რად წყალობს შენი მზერა ნაცნობი
ამ სამიკიტნოს ჩხუბს და გინებებს!
ხედავ —
გოლგოთელს, შეურაცხყოფილს,
ისევ ბარაბას ამჯობინებენ!

მე რომ არავის
არა ვჯობივარ,
იქნებ ეს იყო ბედის თამაში, —
შენ
შეიძლება,
კეთილშობილო,
არც გყავდეს შვილი — ჩემზე ლამაზი.

ვინც
სიხარულის ობით დაობდა,
ნაადრევ სიკვდილს მსხვერპლად შესწირე, —
რათა მოვიდეს სულ სხვა თაობა:
ბიჭი — მამა და
გოგო — ფეხმძიმე.

მოგვთა ჭალარა —
სიბრძნის სათავე —
ახალშობილებს მიეც ულევი, —
მოვლენ და
ბავშვებს მოგინათლავენ
ჩემი ლექსების სათაურებით.

მე ჩემს ლექსებში ინგლისს ვაღმერთებ,
მიყვარს გზები და მანქანები და, —
ვინ იცის,
იქნებ მე მეცამეტე
მოციქული ვარ სახარებიდან.

და როცა ისმის
ჩემი ბლავილი
მზის ამოსვლიდან —
მზის ამოსვლამდე, —
ვინ იცის, ჩემი სულის ყვავილებს
იქნებ იესო ქრისტე ყნოსავდეს.

მარია! მარია! მარია!
კარი გამიღე, მარია!
ყველანი სახლში არიან,
ქუჩაში ვერ ვძლებ, მარია!

არ გინდა?
ელი,
როგორც ბევრი მანდილოსანი,
როგორ ჩაჭკნება
გაცვეთილი შენი ღაწვები,
მოვალ ბებერი
და ჩიფჩიფით დავიქანცები,
გეტყვი: „დღესა ვარ მე ყველაზე პატიოსანი!“

ხედავ,
მარია, —
წელში ვიხრები და სიცოცხლე არ მიხარია.

ოთხსართულიან ჩიყვებიდან
დაჭყიტა ხალხმა
თვალი —
ორმოც წელს ნათრევი და შესაბრალისი,—
დამცინეს,
რადგან გუშინდელი ალერსის გამხმარ
ფუნთუშას ვლეჭავ
— დღესაც! —
ხალისით.

ქვაფენილებზე დაწანწალებს
თალლითი — წვიმა,
რიყის ქუჩების გვამებს ლოკავს პატივისცემით,
და ლოლუების —
ლოლუების! —
წამწამზე ბრწყინავს
საწვიმარ მილთა —
დიახ, მილთა! —
თვალების ცრემლი.

ლოკავს და ლოშნის ყველას წვიმის დინგი და დრუნჩი,
ეტლებში გვერდით მიჯდომია მსუქანი მსუქანს:
ჭამას გადაჰყვნენ
და სუნთქვა უჭირთ, —
უჯრედებიდან მოქონავს და
ეტლების უკან

მოედინება მათი ქონის მდინარე მღვრია,
რომელშიც პურის და კატლეტის ფინჩხები ყრია.

მარია!
სიტყვა წყნარი და მშვიდი
როგორ ჩავტენო მათ მსუქან ყურში?
გალობით
ცოცხლობს
და თავს ირჩენს
მშიერი ჩიტი,
მე კი კაცი ვარ,
მიწიერი,
რომელიც გუშინ —
დაჭლექებულმა ღამემ პრესნის ბინძურ მკლავებზე
ამოახველა.
შენ ასეთი გინდა, მარია!
მარია, სახლში შემომიშვი!
ლამის დავეცე, —
ზარს ყელში წავწვდი, დამნაშავე თითქოს ზარია!

მარია!

ავად იღრინება ქუჩის მორევი.
დაკაწრული ვარ, თავს ვანებებ ხანგრძლივ ხეტიალს.

გამილე!

მტკივა!

ხედავ — ჩემი თვალი ორივე
ქალთა ქუდების ქინძისთავებს დაუჩხვლეტია!

შემიშვა.

ბავშვო!
არ შეუშინდე
მუცელოფლიან ქალთა სამყაროს,
მთასავით მაზის ხარის კისერზე
ბევრი კარგი და ბევრი ურიგო, —
მე თან დავათრევ
მილიონობით ვეებერთელა წმინდა სიყვარულს
და მილიონჯერ მილიონობით
პატარა ბინძურ სიყვარულიკოს.
ნუ შეშინდები,
ღალატის ნისლმა
თუ კვლავ ანკარა ზეცა შენისლა,

ჩავკოცნი მრავალ სახეს ეშხიანს,
მე ათასობით ვიცნობ ასეთებს, —
„მაიაკოვსკის მოტრფიალენი!“
დინასტიაა დედოფლებისა,
რომლებიც გიჟის გულზე აღზევდნენ.

მარია, უფრო მომიახლოვდი!

შიში სხეულის შიშველ ნაწილებს
ველარ დაფარავს.
მოდი,
მაგემე
შენი უჭკნობი ტუჩების თაფლი.
მე ჩემი გულით
ვარდობის თვემდე მაინც ვერასდროს ვერ მივაღწიე,
თუმცა მოვესწარ მეასე აპრილს.

პოეტი
სონეტს უმღერს ტიანას,
მე
კაცი ვარ და
სურვილებს ვენდე, —
სხეულს გთხოვ,
როგორც გთხოვს ქრისტიანი:
„პური ჩვენი არსობისა
მომეც ჩვენ დღეს!“

მარია — მომე!

მე ისე ვშიშობ,
არ დამავიწყდეს
შენი სახელი, —
როგორც პოეტი —
არ დაავიწყდეს
ტანჯვით ნაპოვნი
სიტყვა ახალი.

მე სიყვარულით
გავუფრთხილდები
შენს ლამაზ სხეულს —
ნაზს და ვნებიანს,
როგორც
ერთადერთ
ფეხს ხეიბარი
ჯარისკაცები უფრთხილდებიან.

მარია —
არ გსურს?
არ გსურს და ნუ გსურს!

მე
ისევ წავალ
და ცრემლებს დავღვრი,
და გულს წავიღებ,
სუსტსა და უძლურს,
ვით ლიანდაგზე
გადაჭრილ თათს
მიათრევს
ძაღლი.

ყვავილთა მტვერი კიტელსა და ტანს დამიწებებს,
გამიხალისებს გულის სისხლი გზას უსაშველოს,
და მზე ათასჯერ
დედამიწის ირგვლივ იცეკვებს,
როგორც ჰეროდე
ნათლისმცემლის თავის გარშემო.

და როცა ცეკვას მორჩებიან თავდავიწყებით
ჩემი წლები და შეწყვეტენ ჭიდილს,—
მილიონობით სისხლის წვეთით მოიკირწყლება
კვალი,
რომელიც მამაჩემის სახლისკენ მიდის.

მე ამოვბვრები
დილით თხრილიდან,
რომელშიც ჩემი სხეული ეგდო,
ტურტლიან სახეს ახლოს მივიტან
და ყურში ვეტყვი:

— მომისმინეთ, ბატონო ღმერთო!
რად არ მოგბეზრდათ ყოფა უცვლელი,
ღრუბლის კისელში
ყოველდღიურ საკბილოს ეძებთ, —
მოდით,
გავმართოთ ჩვენ კარუსელი
სიკეთისა და ბოროტების ცნობადის ხეზე!

ყველგანმყოფელო, ჩავარიგებთ სავსე ხელადებს
და გაჩაღდება იმისთანა დღესასწაული,
მრისხანე პეტრე მოციქულიც წამოხტება და
კი-კა-პუს ჩვენთან ერთად დაუვლის.
ედემში ისევ ჩავასახლებთ ევას თავიდან:

მიბრძანე ოლონდ,
ამაღამვე ერთად დავრაზმავ
და აქვე მოგგვრი
ხეივნების ყველა ლამაზმანს.

გინდა?

არ გინდა?

თავს რატომ აქნევ?
წარბშეკრული რას ფიქრობ დიდხანს?
რატომ არ გინდა გულმა ჯავრი გადაიყაროს?!
ხომ არ გგონია,
მაგ ფრთიანი,
უკან რომ გიდგას,
იცნობს სიყვარულს?

მეცა ვარ, —
არა, მეც ვიყავი ანგელოზი და
მეც შაქრის ბატკანს ვგავდი სავსებით, —
მაგრამ ჭაკებთან საჩუქრების თრევა მომწყინდა
და აღარ მიმაქვს სევრის ვაზები.
უფალო! რაკი ორი ხელის გაგვხადე ღირსი,
თავიც გვიბოძე თითოეულს —
დიდი თუ მომცრო, —
ბარემ მოგეწყო ცხოვრება ისე,
რომ უტანჯველად
კოცნო, კოცნო, კოცნო და კოცნო!

მე შენ მაღალ და ყოვლისშემძლე უფალს გეძახი,
შენ კი ყოფილხარ პაწაწინა უვიცი ღმერთი.
ხედავ,
დავაძრე მე წალიდან დანა მეწალის,
და რასაც ვიზამ, მიყურე ერთი!

აბა, ფრთიანო თაღლითებო!
მორჩით კანკალს და
სამოთხისაკენ გაედევნეთ ცისფერ ნაკადებს!
საკმევლის სუნით გაჟღენთილო, მე შენ გაგფატრავ
აქედანა და ალიასკამდე!

გამიშვით!

გინდა მტერი ვიყო,
გინდა — მოკეთე,
ვერ გამაჩერებთ,

დამშვიდებაც არ შემიძლია.
შეხედეთ —
თავი ვარსკვლავებმა ისევ მოკვეთეს
და სასაკლაოს დაამსგავსეს
ზეცა
სისხლიანს!

ეი, შენ!
ქუდი მოიხადე!
ცაო მაღალო!
მოვდივარ —
თავი უნდა დახარო!

თათზე
ვარსკვლავთა ტკიპებით სავსე
ყური უდევს და სძინავს სამყაროს.

ROZA

მოთხრობა

თარგმნა ომარ გოგიჩაიშვილმა

უკვე ოქტომბერი იდგა, როზა ზაგრუდკაში რომ დაბრუნდა. ამ დროს ყველაზე მეტი საშური საქმე იყრის თავს მინდორში: კარტოფილის ამოღება, საშემოდგომო ხვნა თუ ათასი სხვა საქმე — ერთი სიტყვით, ნამდვილი მეორე ალოობაა. დედა გულცივად შეხვდა როზას, რადგან ის-ის იყო მინდორში აპირებდა წასვლას სამუშაოდ. გარდა ამისა, უახლოესი დაბიდან — ლიუტომსკიდან — როზამ მთელი გზა ფეხით გამოიარა, ხელში პატარა ბოღჩა ეკავა და, როგორც ჩანდა, ვარშავაში გაბრუნებას აღარ აპირებდა.

კაი ხანია როზა ზაგრუდკაში აღარ ყოფილა; ექვსი წელი მაინც იქნება, თუ მეტი არა. ისე კი, აგერ უკვე თორმეტი წელი გავიდა მას აქეთ, პირველად რომ წავიდა ვარშავაში. წერილს იშვიათად იწერებოდა, ასე რომ დედამისი მასზე ფიქრს თითქმის გადაეჩვია და ცხოვრობდა თავისთვის, ღვთის შეწევნით. ხელისგულის ტოლა ნაკვეთი იჯარით ჰქონდა გაცემული, კარტოფილი ბოსტანში მოჰყავდა და თვითონ ხან ერთ მეზობელთან მუშაობდა ქირაზე, ხან — მეორესთან. რამდენიმე წლის წინათ ერთმა ლიუტომსკელმა მებაღემ ხილის სანერგე გააშენა და ათასნაირი ყვავილიც გამოჰყავდა ხილთან ერთად. მას მერე როზას მოხუცი დედა ყველაზე ხშირად ამ მებაღესთან მუშაობდა და რაღაც გროშებს ღებულობდა. თავის გასატანად კი ჰყოფნიდა ეს გროშები და მეტი არც არაფერი უნდოდა. შვილის დაბრუნება არ გახარებია, მით უმეტეს, რომ როზას ქედმაღლურად ეჭირა თავი, მეტისმეტად იბღინძებოდა. ტუჩები მაგრად მოეკუმა, თითო-ოროლა სიტყვას თუ გამოიმეტებდა ხანდახან და ოთახში ბოლთას სცემდა. მერე ყავა მოიმზადა (დიდი ქილით მოეტანა თვითონვე) და დედას ჰკითხა, კვერცხები ხომ არ გექნება, ერბოკვერცხი რომ შევიწვაო.

ოთხი წითელი დედალი კი ჰყავდა დედაბერს, მაგრამ კვერცხებს მუდამ ჰყიდდა ხოლმე. იგი ახლა გულისტკივილით უცქეროდა, როგორ გატეხა მისმა ქალიშვილმა ხუთი კვერცხი.

— ვარშავაში ჩემი უფროსი ყოველ დილით ორ კვერცხს მიირთმევდა ხოლმე, — კუშტად თქვა როზამ.

მოხუცი ვერონიკა საწოლზე იჯდა და ქალიშვილს უყურებდა, მას კი ლოყა ხელისგულზე ჩამოედო და დინჯად შეექცეოდა საჭმელს. „დაბერდა საწყალი როზა, — გაიფიქრა მოხუცმა, — და ისევ გაუთხოვარია. ვარშავაში რომ წავიდა, უკვე გასათხოვარი იყო, მაგრამ მაშინ ამის თაობაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა“.

— კვერცხები თუ გენანება, დედა, — მოულოდნელად უთხრა როზამ, — ფულს გადაგიხდი.

— გადაიხადე. კარგად იცი, არაფერი მაბადია. აქ ხომ ყველაფერი შენია, — ამოიოხრა ვერონიკამ, — მამაშენს ჩემთვის არაფერი დაუტოვებია.

— თქვენ აქ მუშაობდით, სახლ-კარს უვლიდით, — ამაგი არ დაუკარგა როზამ.

იგი ადგა, სწრაფად და მარჯვედ გარეცხა ჭურჭელი, როგორც ვარშავაში აკეთებდა ალბათ, და ქუჩაში გავიდა.

შუადღე ახლოვდებოდა. შესანიშნავი ამინდი იდგა. ზაგრუდკა ძალიან შეცვლილიყო: ხეებს ტანი აეყარათ, ზოგიერთი ქოხი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა ახლა. პატარა ნაკვეთები რომ გააერთიანეს, რამდენიმე ოჯახი სოფლის გარეთ დასახლდა. მათ ნასახლარებზე ბალახი ამოსულიყო. აი, აქ ზდიბები ცხოვრობდნენ ერთ დროს, სადღაც იქით კრისების ქოხი იდგა და დაიწვა.

ზაგრუდკა დიდი სოფელი გახლდათ: შარაგზას შენობათა გრძელი რიგი მიუყვებოდა. სოფლის ერთი მხარე ვრცელ მინდორს ებჯინებოდა, ბისტრიცამდე რომ გადაშლილიყო. შორს, მდინარის გალმა, კვამლი მიიკლაკნებოდა ცისკენ და ლიუტომსკის სახურავები მოჩანდა. სოფელსა და მინდვრებს შორის ძველი, მწვანე საგუბარი გადაჭიმულიყო. როზა იხსენებდა, როგორ დადიოდა აქ თორმეტი წლის წინათ. ან მანამდეც, როცა პატარა გოგო იყო, განა აქ არ დარბოდა?

საგუბარი თანდათან დაბლდებოდა და მინდორს უერთდებოდა. იქ უზარმაზარი ალვის ხე იდგა, ხოლო სოფლის მხარეს პატარა, მაგრამ ძალზე ფაქიზი ქოხი მოჩანდა. სწორედ იქით გაემართა როზა ამაყი და დინჯი ნაბიჯით.

მარტოდ დარჩენილმა ვერონიკამ ამასობაში გულმოდგინედ დაათვალიერა ქალიშვილის ბარგი. მოხუცის ჩაშავებულმა და დაკრუნჩხულმა თითებმა სწრაფად გახსნეს ფუთა და ხარბად დაიწყეს ფათური შიგ. არაფერი განსაკუთრებული იქ არ ყოფილა: ერთი ქილა ყავა, პატარა ტომსიკით ცოტაოდენი შაქარი, ორი საკმაოდ გაცრეცილი კაბა და რამდენიმე ხელი საცვალი. მაგრამ აი, დედაბრის თითებმა დაკეცილ ტილოს პერანგში პატარა, მაგრამ საინტერესო საგანი იპოვნეს. მან ცოცხლად ამოიღო ფუთიდან ცისფერი წიგნაკი.

— აჰა, — ჩუმად აღმოხდა მას და ხელები აუკანკალდა. მისი გახევებული თითები გაჭირვებით ფურცლავდნენ წიგნაკს: ძალიან უნდოდა გაეგო, რა ეწერა შიგ.

ვერონიკამ ფანჯარაში გაიხედა. გზაზე, მინდვრის მხრიდან, ყმაწვილი ბიჭი მოდიოდა დინჯად, როგორც სოფლელებს სჩვევიათ ხოლმე. არა, კი არ მოდიოდა, მოიზლაზნებოდა, თითქოს თავად არ უნდა, მაგრამ იძულებულია ნაბი-

ჯი გადადგასო. ქერა ბიჭი იყო, ცისფერთვალება. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იფიქრებდით, ახლახან გაულვიძიაო.

— იგნაც! — შეეხმიანა მას ვერონიკა. — იგნაც, შემოდი ერთი!

იგნაცი აუჩქარებლად შევიდა ქოხში. ზღურბლს რომ გადააბიჯა, თავის დახრა დასჭირდა, ისეთი მაღალი იყო. ვერონიკამ სიყვარულით შეათვალიერა მაღალი, ლამაზი ჭაბუკი. ეს ალვის ხესთან მცხოვრები მეზობლის ვაჟი იყო — იგნაც ბონა. დიდი-დიდი თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა.

— შემოდი, ნახე ერთი, რა წერია ამ წიგნაკში!

იგნაცი თავისი მოუხეშავი თითებით ფურცლავდა წიგნაკს. მან ძალიან ჩქარა იპოვა უკანასკნელი ციფრი, მაგრამ თვალებს არ დაუჯერა და ერთხანს დაეჭვებული დასცქეროდა ციფრებს.

— აქ ორი ათასი წერია, — თქვა მან.

— უი, უი, — ამოიკვნესა ვერონიკამ. — ხომ არ ცდები, თუ იცი?

— ასე წერია და...

ვერონიკამ ფრთხილად გამოაცალა იგნაცს დაწითლებული თითებიდან წიგნაკი, პერანგში გაახვია და ისევ გულდაგულ შეინახა ბოღჩაში.

— როზა ჩამოვიდა, — აუხსნა მან იგნაცს და ბოღჩა საწოლზე გადაფენილ კაბაზე დადო.

იგნაცმა დაუსტვინა და ძელსკამზე ჩამოჯდა.

ვერონიკამ დაკვირვებით შეხედა მას. იგნაცის ლამაზი, მაგრამ გამოყეყეჩებული პირისახე არაფერს გამოხატავდა; ცისფერი თვალები აგერ-აგერ გადმოუცვივდებოდა, ისე იცქირებოდა ფანჯარაში.

— კი მაგრამ კარტოფილს რატომ არ იღებთ? — ჰკითხა ვერონიკამ.

— როგორ არ ვიღებთ, ვიღებთ, — მშვიდად უპასუხა იგნაცმა, ისე რომ ფანჯრისათვის მზერა არ მოუცილებია.

— ვინ იღებს?

— დედაჩემი, იადვიგა, იასი... ყველანი.

— შენ?

— მე დილიდანვე რაღაც შეუძლოდა ვარ.

— შეუძლოდ ხარ?

— ჰო, გულის კოვზთან მწიწკნის რაღაც, — ისე წყნარად თქვა, თითქოს შერცხვაო.

— ეეჰ, შენ მუდამ ასე გემართება, — შენიშნა ვერონიკამ. შემდეგ იდუმალი გამომეტყველებით მივიდა მასთან და წასჩურჩულა: — თუკი ჭკვიანად მოიქცევი, ის ორი ათასი შენი იქნება.

— ვითომ რათაო? — სიტყვა გააჭიანურა იგნაცმა, თუმცა ყურები კი ცქვიტა.

— მე ისე ვატყობ, — ისევ საიდუმლოდ აჩურჩულდა ვერონიკა, — როზა იმიტომ დაბრუნდა სოფელში, რომ ქმარი იშოვოს.

ამასობაში როზამ ალვის ხეს ჩაუარა და მეზობლების ჭიშკარს მიადგა. მოკრიალებული ცა ნელ-ნელა მოიქუშა, ჩამობნელდა და ხალხიც სამუშაოს მოთავებას ესწრაფვოდა. ეზოში ვარდისფერი კარტოფილით მოპირთავებული საზიდარი იდგა. კარტოფილს კალათებით იღებდნენ და იქვე, ეზოში ამოთხრილ

უბრალო ორმოში ყრიდნენ. როზა ამაყად მიუახლოვდა საქმეში გართულ მეზობლებს.

— გამარჯობათ! — თქვა მან. — როგორაა საქმე, კარგი კარტოფილი მოიწიეთ წელს?

— მადლობა ღმერთს, არაა ცუდი, — თავაუღებლად ჩაიბუზღუნა მეზობლის ქალმა. მაგრამ უცებ მობრუნდა და როზა დაინახა. — უი, ეს ხომ როზაა!

მეზობელი არც ისე ბევრით იყო როზაზე უფროსი, მაგრამ მოზრდილი ვაჟები ჰყავდა უკვე. მან საუბარი გაუბა როზას, ისე რომ მუშაობა არ შეუწყვეტია.

— კი მაგრამ, ფრანეკი რატომ არა ჩანს? — ვითომდა გულგრილად იკითხა როზამ.

— ჯარშია, — აუხსნა მეზობელმა, — აი მისი მეუღლე, იადვიგა... — და ახალგაზრდა ქალი დაანახვა, კარტოფილს რომ ეზიდებოდა კალათით. ქალი ფეხმძიმედ იყო.

როზას პირისახე აუჭარხლდა, მაგრამ მაინც შეეცადა არაფერი დაემჩნია.

— როდის დაქორწინდა?

— შარშან, — ამოიხვნეშა მეზობელმა, — აგერ ერთი მჭამელი მოგვემატა უკვე და მალე ალბათ მეორეც მოგვემატება.

მერე მოჰყვა წუწუნს სიღარიბესა და დროის უკუღმართობაზე. როზა თავდახრილი და წარბშეკრული უსმენდა. ოდნავ ნაყვავილევი სახე ხან წამოუწითლდებოდა და ხან გაუფითრდებოდა.

— იგნაცი სადაა? — იკითხა მან უცებ.

— წავიდა სადღაც, — უპასუხა მეზობელმა, — ალბათ თავის ზოფკასთან... სუსტი ბიჭია, მაგის იმედზე ვერ იქნება კაცი. ალბათ ჯარშიც არ გაიწვევენ!

— მალე უწევს?

— ჯერ კიდევ ორი წელი აქვს დარჩენილი. ახლახან შეუსრულდა თვრამეტი.

— ახლა სადაა? — ხელახლა იკითხა როზამ.

— ალბათ ზოფკასთან, მასწავლებელთან რომ მუშაობს. იმასთან დაიარება ხოლმე.

— დიდი ხანია იგნაცი არ მინახავს, — თქვა როზამ, თითქოს რაღაც გაახსენდაო.

— ტანად დიდი ბიჭია, მაგრამ საქმეში მოისუსტებს, — მშვიდად, უსაყვედუროდ განაგრძობდა მეზობელი, — მკაში მაინც რომ მოგვეხმარებოდეს, ისიც კარგი იქნებოდა. იასი ბევრად უმცროსია, მაგრამ საქმეში გაცილებით მარჯვეა.

მართლაც, მხიარული და შრომისმოყვარე იასი ჯარასავით ტრიალებდა და კარტოფილს ეზიდებოდა. აბრეშუმივით კულულები შუბლზე ჩამოსწეწოდა. ბიჭი თხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა, მეტის არა.

როზა დაემშვიდობა მეზობლებს და წავიდა. იგი ისევ მდელოს მიუყვებოდა: ბალახი ჯერ კიდევ მწვანე იყო, ხოლო მინდვრის პირას ჩარიგებული მუქწითელი და ოქროსფერი ხეები ძალიან ლამაზი სანახავი გახლდათ, მაგრამ როზა ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. იგი შუბლშეკრული მიაბიჯებდა და გონებაში რაღაცას ანგარიშობდა, თვალები ძირს დაეხარა, მხოლოდ საკუთარ ფეხებს ხედავდა.

უცებ ვიღაცამ გადაუღობა გზა. როზამ თავი ასწია, მაგრამ მის წინ ვინ იდგა, ვერ იცნო. როცა იგი უკანასკნელად ეწვია ზაგრუდკას, იგნაცი ისეთივე პატარა და ჯმუხა ბიჭი იყო, როგორც იანეკი. მას მერე იგი წარმოსადეგ, მოუხეშავ, ქერათმიან ჭაბუკად ქცეულა. იგნაცი იღიმებოდა.

— პანა როზა, — თქვა მან და უხერხულად გაუწოდა ხელი.

— იგნაც, — მხოლოდ ახლა იცნო იგი როზამ, — სად იყავი?

— თქვენთან შევიარე, — ზანტი ღიმილით უპასუხა მან.

— ზოფკასთან არ ყოფილხარ?

— იმასთანაც ვიყავი. შენ ვინ გითხრა?

— დედაშენმა. შემოიარე ჩვენთან ამ საღამოს, — დაპატიჟა როზამ.

— კეთილი, მოვალ, — მშვიდად უპასუხა ბიჭმა.

იგნაცი მართლაც მივიდა. მძიმედ ჩამოჯდა მაგიდასთან. ნავთის პატარა ლამპის შუქი პირისახეს მთლიანად არ უნათებდა, თვალები ჩრდილში ჰქონდა მოქცეული. ლაპარაკით იგი ცოტას ლაპარაკობდა. როზამ ისე გაახურა ღუმელი, რომ ოთახში დაცხა. მას მუქი წითელი კაბა ეცვა, ცხვირზე პუდრი წაესვა. არაყს რომ სვამდა, მაგიდას ზურგს შეაქცევდა ხოლმე და როცა ნახევრად შევსებულ სირჩას დაცლიდა, რაღაც ჩუმი შეძახილი აღმოხდებოდა. იგი იგნაცს ეკეკლუცებოდა და სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე დილას. ვერონიკა გაკვირვებული და ამავე დროს აღტაცებული უყურებდა, რა მარჯვედ ირჯებოდა მისი ქალიშვილი იგნაცის მოსახიბლავად. მაგრამ ამ დროს მოხუცი ბონიხა მოვიდა და ორივენი მეზობელ ოთახში გავიდნენ. ბონიხამ უკვე იცოდა, ქალაქში რომ როზას ორი ათასი შეეგროვებინა. იგნაცს მამისაგან რამდენიმე მორგი მშვენიერი ნაკვეთი დარჩა. თუკი როზას ფულს ამ ნაკვეთს მოახმარდნენ, საქმე წალმა წავიდოდა. ოღონდ როზას კუთვნილი ნაკვეთიც უნდა გამოეხსნა იჯარიდან. ბონიხას ზოფკა არ უხსენებია, ვერონიკამაც ისე დაიჭირა თავი, თითქოს არაფერი გაეგონა, თუმცა მთელი სოფელი ამაზე ლაპარაკობდა.

მარტო რომ დარჩა იგნაცთან, როზამ უცებ დაიმორცხვა. ბიჭი კი, პირიქით, უფრო გათამამდა, თვალებში შეჰყურებდა როზას და ხან რას ეკითხებოდა, ხან რას: კარგი დრო გაატარა ვარშავაში? ლამაზი ბიჭებია იქ? დიახ, არც ისე ცუდი ბიჭებია ვარშავაში, მაგრამ მეტისმეტად თავგასულები და ფულს დახარბებულები არიან. როზას არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ყველაფერს იკლებდა, არავისთან არ დაიარებოდა და მხოლოდ ფულზე ფიქრობდა. იგნაცმა მისკენ მიიწია და უხერხულად შემოხვია წელზე ხელი. მაშინვე შეატყო, რომ როზა ზოფკასავით ტანკენარი ვერ იყო. ახლა ისინი ხელიხელგადახვეული ისხდნენ და არაყს სვამდნენ. ლამპა ბოლავდა. მეორე ოთახიდან ისმოდა, როგორ ევაჭრებოდა ვერონიკა მეზობელს. იგნაცი მძიმედ წამოდგა, თავი დახარა და გავიდა. როზა წინკარამდე მიჰყვა, მაგრამ იგნაცი სწრაფად გავარდა ქუჩაში. როზა კუთხიდან უთვალთვალებდა, ერთი სული ჰქონდა გაეგო, საით წავიდოდა: სახლში თუ სკოლისაკენ. ისე ბნელოდა, თვალში თითს ვერ მიიტანდი, მაგრამ როზას რატომღაც მოეჩვენა, იგნაცმა სკოლისაკენ გაუხვიაო.

რამდენიმე დღის შემდეგ, ოქტომბრის ბოლოს, როზა და იგნაცი ლიუტომსკში გაემგზავრნენ ქსენძთან, რათა ნიშნობის ამბავი განეცხადებინათ. იგნაცი პატარა, მაგრამ მარდ ცხენს მიერეკებოდა. როზა ირწმუნებოდა, ისე საშინლად ვინჯღრევი, აგერ-აგერ გადავვარდებიო, და ხშირ-ხშირად ხვევდა იგნაცს წელზე

ხელს. იგნაცი ჩუმად იცინოდა. კარტოფილის ამოღება უკვე დაემთავრებინათ და სოფელი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. ბაზრობის დღე იყო, ატალახებულ გზაზე უამრავი ხალხი მიეშურებოდა ლიუტომსკისაკენ. ამინდი თანდათან გაფუჭდა, აცივდა და, როგორც კი დაბას მიაღწიეს, ცუდი არ იქნებოდა, ცოტა რომ შევმთვრალიყავითო, ჩაილაპარაკა იგნაცმა, მაგრამ როზამ პირდაპირ სამრევლო კანცელარიაში წასვლა უბრძანა. აქ იგნაცმა გაიგო, რომ სალაროში მიბარებული ორი ათასის გარდა ქორწილისა და ჯვრისწერისათვის როზას თურმე კიდევ ჰქონია გადანახული ფული. ეს ფული თან წამოეღო.

კანცელარიაში მათი მრევლის ქსენძი დახვდათ. როცა ქალ-ვაჟის მისვლის მიზანი გაიგო, აღშფოთებული აყვირდა:

— შენ ხომ დედად შეეფერები ამ ბიჭს! რა პირით უნდა ამოუდგე გვერდით ჯვრისწერის დროს?

რაც მართალია, მართალია, როზა იგნაცს დედად არ შეეფერებოდა, თუმცა მისი დაბადება მშვენივრად ახსოვდა. რაღა თქმა უნდა, ფრანეკი უფრო იყო მისი შესაფერი, მაგრამ ის არამზადა საბრალო იადვიგაზე დაქორწინდა. როზას მშვენივრად ახსოვს, როგორ მწყემსავდა იგნაცი ბატებს, თვითონ კი იმ დროს მოზრდილი ქალიშვილი იყო უკვე. ქსენძმა რომ გაიგო, როზა ვარშავაში წმიდა ალექსანდრეს კოსტელთან არსებული საზოგადოების წევრი იყოო, მოლბა. იგი მიხვდა, რომ როზა ვიღაც ქარაფშუტა კი არა, წესიერი, შრომისმოყვარე ქალი გახლდათ. ორლანისტმა ასე ჩაწერა: დაინიშნენ როზა ჟენევიევა ბინკოვსკაია და იგნაც ბონა. ჯვრისწერა ნიშნობის საჯაროდ გამოცხადებიდან სამი კვირის თავზე დაინიშნა.

შემდეგ ისინი ბაზრის მოედანზე გამოვიდნენ და მკერავისაკენ გასწიეს, მზა ტანსაცმლით რომ ვაჭრობდა. როზამ აქ იგნაცს ლაზათიანი მომწვანო კოსტუმი და საშემოდგომო პალტო უყიდა, მეორე მაღაზიაში — ორი პერანგი, ორი ჰალსტუხი და შლაპა, ხოლო მეწაღესთან — შტიბლეტები. იგნაცი გაკვირვებული უყურებდა, როგორ ჭმუჭნიდა როზა ხელში ასზლოტიან ქაღალდის ფულს და პირიც კი დააღო, როცა ებრაელმა ხურდა დაუბრუნა. იგნაცს უნდოდა როზას მისთვის შავი კოსტუმიც ეყიდა ჯვრისწერისათვის, მაგრამ საცოლემ უთხრა, საქორწინო კოსტუმი შეგვიძლია რაგუშეკისაგან ვიქირაოთ, ომამდე რომ მემამულესთან იყო მოჯამაგირედ, იმ რაგუშეკის შვილისგანო. სამაგიეროდ როზამ იგი ტურჩინსკის საკუპატეში შეიყვანა, სადაც, მეორე სართულზე, გადაკვრაც შეიძლებოდა. აქ არაყი დალიეს და მჟავე კიტრი და წვრილად დაჭრილი ძეხვი დააყოლეს. იგნაცმა ლუდიც დაუკვეთა. როზამ ფული გადაიხადა, მაგრამ ანგარიში დაკვირვებით შეამოწმა და ოფიციანტს ევაჭრა კიდეც, ერთი სიტყვით, „ძალიან მოჰქონდა თავი“ თავისი ფულებით, როგორც იგნაცმა თქვა.

შეზარხოშებულები და მხიარულები შინ რომ დაბრუნდნენ, ზოფკა დახვდათ ვერონიკას ქოხში. იგი კედელთან იდგა, წარამარა ფეხს ინაცვლებდა და ცისფერი კირით შეფეთქილ კედელს ხეხავდა ზურგით. თავსაფარი უკან გადასცურებოდა და დაუდევრად შეკრული შავი ფუმფულა თმა თვალებზე ჩამოშლოდა. თვალებიც შავი, დიდრონი და მშვენიერი ჰქონდა. ხმა დადიოდა, მამამისი ფრანგი იყო, მემამულესთან კამერდინერად მსახურობდაო. ალბათ მართლაც სამხრეთიდან იყო მამამისი. ყოველ შემთხვევაში ზოფკა ლამაზი, შავგვრემანი გოგო იყო. ნაადრევად დაობლებული, სოფლის მასწავლებელს შეხიზვნოდა და დიასახლისს ეხმარებოდა საოჯახო საქმეში. რაღა თქმა უნდა, ძალიან ღარიბად ცხოვრობდა.

ზოფკას დანახვაზე იგნაცი გამოფხიზლდა და მძიმედ დაეშვა ძელსკამზე, დაასლოკინა კიდეც, თუმცა კაცი ვერ გაარკვევდა, გაკვირვებისა თუ შიშისაგან. სამაგიეროდ როზა არ დაბნეულა. იგი კარებთან აისვეტა, დოინჯი შემოიყარა და უკმეხად იკითხა:

— რისთვის მოხვედი?

— მომინდა და მოვედი, — თავხედურად უპასუხა ზოფკამ. როგორც ჩანდა, სულაც არ შეშინებია როზასი.

— იგნაცს ტყუილა ნუ დასდევ, სულ ერთია, მაინც ვერ ჩაიგდებ ხელში! — გაჯავრებით დაუყვირა როზამ.

— შენ რაღას დასდევ, შე გლახის ჭიკო?

— მე დავდევ თუ თვითონ შემომიჩნდა?

ამასობაში ფანჯარასთან ჩამომჯდარ იგნაცს ტანსაცმლისა და თეთრეულის ფუთები დაეხსნა, პერანგები მაგიდაზე გადაეფინა, თავი გვერდზე გადაეწია და გულმოდგინედ ათვალიერებდა. ქალების ჩხუბს ყურადღებასაც არ აქცევდა.

— შენ გგონია ხელში ჩაიგდებ? — ყვიროდა გამწარებული როზა, — ვერ მოესწრები ამას! იგი ჩემია. ჩვენ უკვე ქსენძთანაც ვიყავით.

— უყურე ერთი, კოსტუმი უყიდია იგნაცისათვის ამ უნამუსოს, — ჩაიქირქილა ზოფკამ.

— დიახაც ვუყიდე. შენც უყიდე ასეთები, იქნებ მაშინ დაგიბრუნდეს, — შეუბრალებლად დასცინოდა როზა, — თვითონ შიშველ-ტიტველი დადიხარ და სხვას რა უნდა არგო! მე კი ბატონივით ვაცხოვრებ. ყველაფერი ექნება, ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს: კოსტუმები, შტიბლეტები, ჰალსტუხები! — ამ სიმდიდრეს რომ ჩამოთვლიდა, როზას თანდათან უნელდებოდა სიბრაზე. — იგნაცი ჩემი იქნება, მე ფულები მაქვს...

— შე ჭრომახო ძროხავ, — დაუყვირა ზოფკამ, — იმასა აღარ იტყვი, რა გზით შეაგროვე ეს ფულები იმ შენს ვარშავაში?

— შენც ადექი და წადი, ნახე ერთი, იოლად თუ იშოვება იქ ფული, — კიოდა უკვე როზა, — კიტრის ფასს თუ მოგცემენ მაგ შენ გახვრეტილ...

— გახვრეტილია თუ მთელი, მაგასაც ვნახავთ. ინანებ იცოდე, შე კახპავ, მაგ სიტყვებისათვის და მაგ ფულის გამოც.

ეს რომ თქვა, იგნაცისათვის არც შეუხედავს, ისე გავიდა ზოფკა ქოხიდან. წინკარში ისევ გაიმეორა: „ინანებ, ინანებო“. ასეც მოხდა, როზამ მართლაც ინანა. ჯვრისწერის დრო რომ მოახლოვდა, იგნაცმა მოულოდნელად განუცხადა, კოსტელში არ წამოგყვებიო. როზამ გულგრილად მოისმინა ეს ამბავი. „ბიჭების მეტი რა იშოვებაო“, — თქვა მან.

მართლაც, თუმცა როზა იგნაცზე კი იყო დანიშნული, მაგრამ ვერონიკას ქოხში მაინც ბევრი თანასოფლელი ბიჭი მოდიოდა, რომ დარწმუნებულიყვნენ, ორი ათასის გულისათვის ღირდა თუ არა როზას შერთვა. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო აზრით „არ ღირდა“, მაინც აღმოჩნდა რამდენიმე ახალგაზრდა, უკან რომ არ იხევდა. როზაც კარგად ეპყრობოდა ამ ბიჭებს და, თუკი იგნაცი სკოლაში წავიდოდა ზოფკასთან, იგი გვიან ღამემდე იჯდა ხოლმე მათთან და არაყს სვამდა. მასთან ბევრი დადიოდა: იმ რაგუშეკის ვაჟი, მემამულესთან რომ იყო მოჯამაგირედ, დადიოდა პეტრე მასელსკი, ლეონ სლესარჩუკი და სხვები. ლეონი ღონიერი და შრომისმოყვარე ბიჭი იყო. სწორედ იგი აირჩია როზამ იგ-

ნაცის მაგივრად. მაგრამ ჯერ საქორწინო საჩუქრები უნდა დაებრუნებინა უკან. ამიტომ როზა ბონიხასთან წავიდა.

დედაბერი მარტო დახვდა ქოხში. ბონიხა ძალზე დამწუხრებულიყო, რადგან გეგმები ეფუშებოდა: ფული ეცლებოდა ხელიდან, ოჯახში კი კიდევ ერთი მჭამელი ემატებოდა. იგი ზოფკას გულისხმობდა. იგნაცმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და ყმაწვილ გოგოს არ შორდებოდა. როზამ პირქუშად მოითხოვა: ის საჩუქრები დამიბრუნეთ, საქმროს რომ ვუყიდეო. ბონიხამ საკუჭნაოდან მომწვანო კოსტუმი, სულ სამჯერ რომ ეცვა იგნაცს, პალტო, ორივე პერანგი, ჰალსტუხები და შტიბლეტები გამოუტანა. ყველაფერი აქ იყო, პორტსიგარის გარდა: იგი იგნაცს მუდამ თან დაჰქონდა. წინდებიც გასარეცხად ჩაელბოთ. როზამ ფრთხილად შეახვია ყველაფერი, რომ არ დაჭმუჭნულიყო და ახალი სადავიდარაბო არ გასჩენოდა, თორემ ვინ იცის, ლეონი რას მოიმიზეზებდა. ქოხიდან რომ გამოდიოდა, პირდაპირ იგნაცს შეეჩეხა კარებში.

— ოჰო, აქ რას აკეთებდი? — ჰკითხა მან.

— ვერა ხედავ? — მკვახედ უპასუხა როზამ.

— რატომ მიგაქვს ტანსაცმელი?

— ლეონი უფრო მადლიერი დამრჩება.

— ლეონისთანა ორი ჩაეტევა ამ კოსტუმში.

ტანად ლეონი მართლა პატარა იყო იგნაცთან შედარებით, სამაგიეროდ უფრო ლონიერი გახლდათ.

— მერედა შენ რა გესაქმება?

იგნაცი სწრაფად მივიდა მასთან და მაგრად მოუჭირა მკლავებზე ხელი. ვაჟის შეხებაზე როზას ჟრჟოლამ დაუარა ტანში.

— რატომ მიგაქვს ყველაფერი? — კბილებში გამოსცრა იგნაცმა, — მე შეიძლება კიდევ დავფიქრებულიყავი.

— ძალიან კი მჭირდები, — უთხრა როზამ და ხელიდან დაუსხლტა. უკან არ მოუხედავს, ისე გაემართა სახლისაკენ. ლეონი უკვე იქ უცდიდა. მან ტანსაცმელი მოიზომა. მართლაც ყველაფერი დიდი მოუვიდა. ახალი სასიძოს ამ ტანსაცმელში გამოწყობა არაფრით არ შეიძლებოდა. სანამ მკერავი არ გადაკეთებდა და ლეონს არ მოარგებდა, მანამდი კოსტელში ვერ წავიდოდნენ. როზა ნაწყენი და შერცხვენილი დარჩა, მაგრამ წყენა და შერცხვენა რომ დაეფარა, ნაძალადევი მხიარულებით სვამდა არაყს ლეონთან ერთად, როგორც ადრე იგნაცთან. ვერონიკა მეორე ბოთლის მოსატანადაც კი გაგზავნა. ლეონმა წასვლა რომ დააპირა, როზამ ქუჩაში, სახლის წინ, შემოდგომის მოცისფრო ბინდბუნდში ვიღაცის ჩრდილი შეამჩნია, წინ და უკან რომ დაბორიალობდა. როზას გული აუფანცქალდა, თუმცა ვერ გაარჩია, ვინ იყო გარეთ. ცოტა ხნის შემდეგ იმ ვიღაცამ ფანჯარაში შეიჭყიტა. რა თქმა უნდა, იგნაცი გამოდგა.

როგორც კი ლეონი გავიდა, ქუჩიდან ყვირილი და ლანძღვა-გინება მოისმა. როზა გარეთ გავარდა და ფანჯრებიდან გამოსულ მკრთალ შუქზე ორი აჩრდილი დაინახა, ერთმანეთს რომ ებრძოდნენ, იგნაცი და ლეონი ჩხუბობდნენ. „შეჩერდით!“ — დაიკივლა როზამ, მაგრამ სიამაყემ და ბედნიერებამ ხმა ჩაუწყვიტა და საკუთარი კივილი თვითონაც ვერ გაიგონა. ბოლოს იგნაცმა, როზამ კარგად დაინახა ეს, გულისპირში ჩაავლო ხელი ლეონს და გამეტებით დასცხო მუშტი თავ-პირში. მერე, როცა გალახული და დაბოლმილი ლეონი ლანძღვა-გინებით გაემართა შინისაკენ, ფანჯრებიდან გამოსული სინათლის შუქზე როზას იგნაცი გამოეცხადა. მას ლეონისათვის წანართმევი ტანსაცმელი ეკავა

ხელში. სიტყვა არ უთქვამს, ისე შეათრია როზა შინ. იგი არყის და თამბაქოს სუნით ყარდა. ბოლჩა ძელსკამზე მიაგდო, ქალს წელზე მოხვია ხელი და მკლავები დაუჭირა. როზამ კინაღამ გრძნობა დაკარგა. იგი ტყუილა კი არ ეუბნებოდა დედამისს: „სისხლი თავში მაქვს ავარდნილი, სასწრაფოდ თუ არ გავთხოვდი, ცუდადაა ჩემი საქმეო“. იგნაცს მიბნედილი როზა ცალი ხელით ეკავა, მერე დაიხარა და ისე ახლო მიუტანა ცხვირ-პირი, რომ როზამ აღგზნებული მამაკაცის ოდნავ ძინძლდაკრული სუნი იგრძნო. იგნაცმა წასჩურჩულა:

— შავ კოსტუმს მიყიდი ჯვრისწერისათვის?

— გიყიდი, — უთხრა სულშეგუბებულმა როზამ.

ქალ-ვაჟი საწოლზე დაეცა. ცოტა ხნის მერე როზა ადგა, ლამპა ჩააქრო, წინკარსა და მეზობელ ოთახში გამავალი კარები, სადაც ვერონიკას ეძინა, ურდულით ჩაკეტა და ქმართან დაბრუნდა. იგი თუმცა ბუმბულის ლოგინში იწვა, მაგრამ ხელ-ფეხი გაყინული ჰქონდა და ერთიანად კანკალებდა. იგნაცის გული ისე აჩქარებულად სცემდა და ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, რომ ოთახის მეორე ბოლოში ისმოდა. „შეიძლება მართლა ავადმყოფია“, — გაიფიქრა როზამ. იგი წყალწაღებულ ზარმაცად თვლიდა აქამდე იგნაცს, ჰოდა, როცა გვერდით მიუწვა ლოგინში, შიშმა, სიბრალულმა და ბრაზმა მოიცვა ერთდროულად.

ძალიან მალე გაირკვა, რომ იგნაცი მართლაც ავადმყოფი იყო. შაქრის ავადმყოფობა, დღითი დღე რომ ერეოდა, და მოულოდნელი გულყრები იმაზე მეტყველებდა, რომ დიდი დღე აღარ ეწერა. ჯვრისწერიდან ორი კვირის შემდეგ იგი ისე ცუდად გახდა, აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. შობა რომ იდღესასწაულეს, როზამ ლიუტომსკში წაიყვანა ექიმთან. იმან, თავის მხრივ, სპეციალისტთან გაგზავნა ოსტროვეცში. ოსტროვეცელმა ექიმმა ყურადღებით გასინჯა, ათასნაირი წამალი გამოუწერა და რაღაც ნემსები დაუნიშნა, მაგრამ მთელ ზაგრუდკაში არავინ მოიძებნებოდა ისეთი, ამ ძვირადღირებული ნემსების გაკეთება რომ შესძლებოდა. ან უშველიდა კია ეს წამლები? იგნაცს დღითი დღე ელეოდა ძალა. მარტში უკვე საწოლიდან ძლივს დგებოდა.

როზას სასო წარეკვეთა. ასეთი ხარჯი გასწია, კოსტუმები, ფეხსაცმელები, პერანგები იყიდა, ქორწილი გადაიხადა — მართალია ბევრი არავინ ჰყოლიათ, მაგრამ ხომ მაინც ქორწილი იყო — და ასეთი ქმარი შეგრჩეს ხელში! ბედი არ გინდა? არადა რა ძვირი დაჯდა ყველაფერი! ამ ხარჯებმა მისი დანაზოგის კაი დიდი ნაწილი შეიწირა, ხოლო სულ ახლახან სამოცამდე ზლოტი დახარჯა კიდევ ექიმებსა და წამლებში. მწარედ აყვედრიდა იგი იგნაცს ამ თავის ხარჯებს.

აპრილში, როცა მზეს ძალა მოემატა, იგნაცი სულ მთლად მოეშვა. იგი არასოდეს ყოფილა მოძრავი და დიდი მოლაპარაკე, მოქნილი და შრომისმოყვარე და ახლა სულ წავიდა ხელიდან. საწოლიდან კი ჩამოცოცდებოდა გაჭირვებით, მაგრამ მთელი დღე უბრად იყო. უფრო ხშირად იწვა—მაღალი, გაძვალტყავებული, გაფითრებული: ჭერს მიშტერებოდა და გალურჯებულ ტუჩებს აცმაცუნებდა. უწინდელი სილამაზისაგან შუბლზე ჩამოშლილი ქერა თმაღა შემორჩენოდა მხოლოდ. როზა საათობით მოთქვამდა ხოლმე მის სიახლოვეს.

— მე ბებერი ვარ, — ყვიროდა იგი, — შენ კი ახალგაზრდა და მაინც კვდები. ნეტა რას ვიხარჯებოდი შენი გულისათვის, რატომ დროზე არ მოგიშორე თავიდან. არადა შემეძლო ლეონს გავყოლოდი, — სასოწარკვეთილი დაუმატებდა ბოლოს.

— უნამუსოები ხართ ორივენი, შენცა და ის შენი ლეონიც, — ძალისძალად წაიბუტბუტებდა ავადმყოფი.

მაგრამ აღარც ლეონი და აღარც სხვა ბიჭები ვერონიკას ქოხს აღარ ეკარებოდნენ. მათ ეშინოდათ უკვე როზასი. ხომ ასეთი ბრგე და მაგარი ბიჭი იყო იგნაცი (ახლა ისინი უსაშველოდ აჭარბებდნენ, იგნაცის ჯან-ღონეზე რომ ჩამოვარდებოდა საუბარი), მაგრამ როგორც კი როზა შეირთო ცოლად, მაშინვე დასუსტდა და დაავადმყოფდა. როზა საშიში ქალია, სისხლს წოვს მამაკაცებსო, ლაპარაკობდა ხალხი.

როცა საბრალო როზა დარწმუნდა, რომ საქმე წახდა და იგნაცს აღარაფერი ეშველებოდა, მოსთხოვა, შენი კუთვნილი მიწა მე დამიტოვე ანდერძითო. მაგრამ ავადმყოფს ამის გაგონებაც არ სურდა. მას ჯერ კიდევ შერჩენოდა საიმისო ჭკუა, რომ გაჯიუტებულიყო და უარზე დამდგარიყო.

— მიწები დაგიტოვო, რომ მერე ახალი ქმარი იშოვო და ჩემს მიწაზე მოწეული პურით ირჩინოთ თავი? ვერ მოესწრები!

— დამიტოვე, იგნაც, — ეჩიჩინებოდა როზა, — ძეგლს დაგიდგამ, იცოდე, თუკი მაგ მიწებს დამიტოვებ.

— რა ჭირად მინდა შენი ძეგლი, როცა მიწაში დავლპები და ჭია-მატლი შემჭამს.

— ქვის ძეგლს დაგიდგამ, ჯვრით დამშვენებულს. დამიტოვე.

— არ დაგიტოვებ.

— არ დამიტოვებ? კეთილი. ღმერთო, რა სწრაფად წარმავალი ყოფილა ბედნიერება, — გაიმეორა მან ოდესღაც ვარშავაში გაგონილი ფრაზა. — მაშინ რაღაზე ვიწვალო შენთვის, — აყვირდა იგი, — ჩაგაცვა, გაჭამო, მოგიარო? წაეთრიე დედაშენთან.

მაგრამ იგნაცს იმის თავიც აღარ ჰქონდა, საწოლიდან წამომდგარიყო. მაშინ როზამ ვერონიკა მოიხმარა და იგნაცი ურიკაზე დასვა. იგი ისე გახდა, სულაც აღარ იყო მძიმე. მერე ორივენი შეებნენ ურიკაში და მეზობლისაკენ გასწიეს.

გაზაფხულის ნათელი დღეები იდგა, როგორც აპრილს შეეფერებოდა. გზის პირას, საგუბარზე რომ გადადიოდა, მწვანე მოლი ამოხასხასებულიყო და ღიჭები ყვაოდნენ. იგნაცს ულონოდ გადაეწია თავი უკან, ფართოდ გახელილი თვალებით მინდვრიდან აფრენილი ტოროლების ნავარდს უცქეროდა და მათ წკრიალა გალობას ისმენდა.

როზას და დედამისს ქოშინი აუვარდათ, სანამ იგნაცს ბონიხას სახლთან მიიყვანდნენ. ასე თუ ისე მაინც საკმაო მანძილის გავლა მოუხდათ. ურიკა ბაღჩასთან მიაგორეს და ბონიხას უხმეს.

— ბონიხა, ჰეი, ბონიხა! — გაჯავრებული ყვიროდა როზა, — ჩაიბარე ეს შენი „ვაჟკაცი“, ძალიან მძორი კი გამოგიზრდია.

მთელი ოჯახი გამოცვივდა გარეთ. ატყდა ერთი ტირილი და ვაი უშველებელი.

— თუკი სიკვდილი უწერია, ისა სჯობია, თქვენსა მოკვდეს.

—მიწას არ მიტოვებს სამკვიდროდ!

— მერე რა, ახლავე წაიყვანეთ უკან!

ავადმყოფს ხან ერთ მხარეს მიათრევდნენ, ხან მეორეს. იგნაციც თავის მხრივ ისე იშორებდა მათ, თითქოს ბუზებს იგერიებსო. ბოლოს როზამ და ვერონიკამ საკუთარი სახლისკენ მოუსვეს და იგნაცი დედამისმა შეიყვანა შინ.

სოფელში მხოლოდ ამ ამბავზე ლაპარაკობდნენ. ორი დღის მერე ბონიხამ ფორანში ჩააწვინა იგნაცი და ცოლს მიჰგვარა. იგი ქოხში შევიდა და ზრდილობიანად მიესალმა ვერონიკას. როგორც ჩანდა, საქმის მშვიდობიანად დაბოლოებას ცდილობდა ყოველნაირად.

— ეს რაღა გამოვიდა, ვერონიკა: იგნაცი კარზე მომაყენეთ და კვდებაო, მითხარით. მეც ვუცდი, ვუცდი, მაგრამ რომ აღარ კვდება? მარტო რძე შემისვა თითქმის ნახევარი ვედრო. იქნებ სულაც არ მოკვდეს და მე ვარჩინო?

— აბა ვინ უნდა არჩინოს? — იკითხა გაბოროტებულმა როზამ, — ვინ, თუ არა დედამ?!

— დედა უკვე აღარა ჰყავს, — შეეპასუხა მეზობელი, — დაქორწინებული კაცის დედა ცოლია და მან უნდა უპატრონოს.

— როგორ ქმრობასაც იგი მიწევს, მეც ისეთ ცოლობას ვუწევ, — მწარედ შენიშნა როზამ.

— რა დროს მაგისი ცოლი იყო, ჩემო კარგო, — სევდიანად განაგრძო ბონიხამ, — ძალიან ადრე ჩაავლე ხელი. შენ უფრო ხნიერი კაცი შეგეფერებოდა.

— მე ასეთი მინდოდა, — ჩაიბუზღუნა როზამ.

— როგორიც გინდოდა, ისეთი იყიდე, — ისევ ტკბილად ჩაილაპარაკა ბონიხამ და გარეთ გასძახა: — აბა, ბიჭებო, მოიყვათ აქ.

იასეკმა და ფრანეკმა, საალდგომოდ რომ დაეთხოვათ არმიიდან, მიცვალებულივით გაფითრებული ძმა შემოიყვანეს და ლოგინზე დააწვინეს. დედამისმა საბანი გადააფარა. როზას კანკალი დააწყებინა ფრანეკის დანახვაზე: იგი ძალიან დავაჟკაცებულიყო, მზეზე გარუჯულ, მოღიმარ პირისახეს კოხტა ულვაშები უმშვენებდა.

„ყველაფერი ამის ბრალია“, — გაიფიქრა მან და დაბოღმილი შებრუნდა ფანჯრისაკენ. ირგვლივ ყველაფერი მწვანედ ხასხასებდა და მზის ოქროსფერ სხივებში ნებივრობდა. მას კი ცხოვრებამ არ გაუმართლა. ძმებმა იგნაცი დააწვინეს და ქუჩაში გავიდნენ, ფორანს მიაშურეს. როზა ფანჯრიდან ხედავდა მათ: ფრანეკი თამბაქოს ეწეოდა, სიგარეტი ცერა და საჩვენებელი თითით ეჭირა. ერთი-ორჯერ ძმასაც მოაწევინა. იასეკს ამ ზამთარს ტანი ისე აეყარა, მალე ნამდვილი საცოლე ბიჭი გახდებოდა. ეტყობა, სიმაღლით იგნაცს, ხოლო პირისახით ფრანეკს დაემგვანებოდა. იქნებ მასზე ლამაზიც კი გამოსულიყო.

სასოწარკვეთილი როზა ფანჯარას მოშორდა. ბონიხა შვილის სასთუმალთან იჯდა წყნარად. ახლა, როცა მისთვის რძე აღარ დაეხარჯებოდა, მომაკვდავი შვილი შეებრალა კიდეც. ვერონიკა საწოლს ზემოთ მიჭედებული საკიდრიდან ტანსაცმელს ხსნიდა და საკუჭნაოში გაჰქონდა. როგორც ჩანს, დასაფლავების დღისთვის ემზადებოდა. როზა ოთახის შუაგულში იდგა და იგნაცის გალურჯებულ პირისახეს და ხელებს მისჩერებოდა, ზეწარს რომ ჭმუჭნიდნენ. ავადმყოფი ხშირად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა, შუბლი ოფლით დაცვარულიყო.

საკუჭნაოდან შემობრუნებულმა ვერონიკამ როზას ყურში წასჩურჩულა:

— ქსენძთან უნდა გავგზავნოთ ვინმე, — და მაშინვე ფანჯარაში გასძახა: — ფრანუს, გაიქეცი ერთი ქსენძთან, უთხარი, მოვიდეს და წმიდა ზიარება მოიტანოს.

როზა მაშინვე ფანჯარას ეცა.

— არა, არა, ქსენძს კი არა, მწერალს დაუძახე! — მერე იგნაცს მივარდა და ნჯღრევა დაუწყო.

— იგნაც, იგნაც, ჩემო კარგო, გამოფხიზლდი, ჯერ კიდევ არაა გვიან, მიანდერძე ის ნაკვეთი, რაღაცით მაინც გადამიხადე სიკეთე...

მაგრამ იგნაცს აღარაფერი აღარ ესმოდა. როზამ კიდევ უფრო მაგრად შეანჯღრია. იგნაცს თავი ჩამოუცურდა ბალიშიდან: იგი უკვე მკვდარი იყო.

ადრინდელ ხარჯებს დასაფლავების ხარჯებიც მიემატა. ძეგლი არავის გახსენებია, მაგრამ ჯვრისა და თუნუქის გვირგვინის ყიდვა კი აუცილებელი იყო. ყველაფერი ეს ძალიან ძვირი დაჯდა. როზა ისევ მარტო დარჩა. ამდენი წვითა და დაგვით მოგროვილი ფული თითქმის შემოადნა ხელში, ვალის აღებაც კი მოუხდა. ვერონიკამ ისევ ლიუტომსკელ მებაღესთან დაიწყო მუშაობა. ყავა გამოილია: როზა კარტოფილის სუპსა და სამარხვო ატრიას გეახლებოდათ ხოლმე.

ნაადგომევს როზამ საგზაოდ დაიწყო მზადება: ვარშავაში წასვლა და სამსახურის შოვნა გადაეწყვიტა. გაუთვალისწინებელი ხარჯების შემდეგ დარჩენილი ათასი ზლოტი უკვე აღარავის იზიდავდა. ლეონი მათ ქოხს სიახლოვეს აღარ ეკარებოდა. სკოლაში, ზოფკასთან მოუხშირა სიარულს, ხოლო პეტრე მასალსკი ისეთი მოწიწებით ესალმებოდა როზას შეხვედრისას, თითქოს მათი სამრევლოს ქსენძი ან ქალაქიდან ჩამოსული მონაზონი ყოფილიყოს. თბილი გაზაფხული იდგა. როზა სოფლის გზებსა და შუკებში ხეტიალობდა ხოლმე. პურის ყანები აღაღანებულიყო, ცაში მერცხლები დანავარდობდნენ. როზა ფიქრობდა, რომ მისი ნაოცნებარიდან არც ახლა გამოვიდოდა რამე, ოჯახს მაინც ვერ შექმნიდა და ისევ ვარშავაში უნდა დაბრუნებულიყო, სადაც თვეში ორმოცდაათ ზლოტად დღე და ღამე გაესწორებინა შრომაში. როზა „დახელოვნებული“ მზარეული გახლდათ.

გაზაფხულის ერთ ასეთ თბილ დღეს ბონიხა ეწვია ვერონიკას. იგი იგნაცის სიკვდილის შემდეგაც შეივლიდა ხოლმე ვერონიკასთან, ცდილობდა კეთილი დამოკიდებულება შეენარჩუნებინა. ბონიხა დამყოლი და უბოროტო ქალი იყო. ჩხუბი არ უყვარდა და არც უნდოდა. პირიქით, ერჩივნა ყველასთან ღვთისნიერება გამოეჩინა.

იმ კვირა დღეს მეზობლებს იასის თანხლებით ეწვია იგი. ვერონიკა კოსტელში იყო წასული, როზა მარტო იჯდა შინ და დაღონებული ფიქრობდა ვარშავაში დაბრუნებაზე. იასი ფანჯარასთან დაჯდა, სწორედ იმ ადგილას, ადრე იგნაცი რომ ჯდებოდა ხოლმე, ბონიხა მორიდებით ჩამოჯდა ტაბურეტის კიდეზე, ფანჯარასთან რომ იდგა.

— მას მერე, რაც იგნაცი დავასაფლავეთ, — თქვა მან მცირე შესავლის შემდეგ, — თვითეული ჩემი ვაჟის კუთვნილი ნაკვეთი გაიზარდა. ფრანუსი, ჯარიდან რომ დაბრუნდება, ჩვენს ქოხში იცხოვრებს, ხოლო იასმა სხვა სახლი უნდა მოძებნოს. ჰოდა, ჩემო როზა, ვარშავაში შენ ისევ შეაგროვებ იმ ათას ზლოტს, იგნაცს რომ დაახარჯე. ახლა ძველებურად ბევრი მუშაობა აღარ დაგჭირდება, გასამრჯელოს მეტს მოგცემენ. იასი ამასობაში დაგიცდის; მიწას შენს სახელზე გადასწერს, მე არაფერი მექნება საწინააღმდეგო. შენ კი ის ორი ათასი მის სახელზე შეიტანე. ახლა ხარჯიც ნაკლები გექნება: საქორწინო კაბა გაქვს, ორივე კოსტუმი და პალტოც ახლებივითაა. ველარ მოასწრო საწყალმა იგნაცმა მათი გაცვეთა. მხოლოდ ფეხსაცმელის ყიდვა დაგჭირდება იასისათვის, იგნაცისა პატარა აქვს. ასე რომ ყველაფერი მოგვარდება, რამეგვარად ხომ უნდა ვიცხოვროთ ამ ქვეყანაზე.

როზამ კუშტად შეხედა იასს.

იგი აწითლებული იჯდა. ჯერ მთლად ყმაწვილი იყო. მის ზურგს უკან კი, ფანჯარაში, გაზაფხულის მოკრიალებული ცა ბრწყინავდა. იასი უზრუნველად და ბედნიერად იღიმებოდა.

— თანახმა ხარ? — ჰკითხა როზამ.

იასმა მტკიცედ, უყოყმანოდ დაუქნია თავი.

— ორი წლის მერე თვრამეტი წელი შეუსრულდება, — დაუმატა ბონიხამ.

— ოღონდ... — მოულოდნელად დაიწყო იასმა ბოხი ხმით და შეყოყმანდა, — ოღონდ მე... თუ შეიძლება... საათი მინდა მქონდეს...

როზამ უცებ ნაზი, დედობრივი ღიმილით გაიღიმა და ამ ღიმილმა თითქოს გაალამაზა კიდეც.

— კარგი, — ალერსით უთხრა მან, — რახან გინდა, გექნება.

ჰოდა, უკვე მთელი წელია როზა მეზობელ სახლში მუშაობს მზარეულად. იგი ძალიან დიდ გასამრჯელოს იღებს — სამოც ზლოტს. ამან საშუალება მისცა ვადამდე ეყიდა საათი. ახლახან ვკითხე, ზაგრუდკიდან წერილები თუ მოგდის-მეთქი. რა თქმა უნდა, მომდისო, მითხრა: ყველანი კარგად არიან, მე მელოდებიანო.

„მე მელოდებიანო“, ამ სიტყვებზე ნეტარებით გაიღიმა: მომავლის იმედი ასულდგმულებდა და ახარებდა. კიდევ ერთი წელი და იგი ისევ სოფელში დაბრუნდება ახალგაზრდა ქმართან, მოთმინებით რომ ელოდება მას, ელოდება ვერცხლის საათს და შავ კოსტუმს. ღმერთი იყოს შენი შემწე, როზა!

ოლგა ბერგოლცი

თარგმნა
დილარ ივარდავამ

* *

არ ვიცი,
არ ვიცი,
ვცხოვრობ და არ მესმის
როდისღა შევძლებ ან
როდისღა იქნება,
მიმწუხრის ქვეყნიდან
სიმღერა ან ლექსი,
ლაჟვარდებს მივაფშვნა
ვარსკვლავთა ჩინჩხლებად.
მძაფრია სურვილი
და დუმილს ვეცლები,
სიმღერა მომინდა იმგვარი ჰანგებით,
რის შემდეგ ჩვენ სევდით მიწაზე ვეცემით —
და ფეხზე რომ ვდგებით —
ვართ უფრო კარგები.
თუ რაზე იქნება სიმღერა, ვინ იცის,
არ ვიცი რა ვუთხრა
სანუკვარ ზმანებას,
ფრთებზე თუ აკვდება თოლიებს ივნისი,
ეს გული, ძვირფასო,
შენს ტრფიალს დანებდა.

* *

დას

დამსიზმრებია ბებერი ხატა,
სადაც ბავშვობა ვიდოდა ადრე,
სადაც ეს გული სიყვარულს ხატავს,
ეძებს სითბოს და იმ პირველ დარდებს.
დამსიზმრებია ნაძვის ხე, ლბილად
ირწევა თოვლში,
დაი კისკასებს, —

ფანჯრის რაფაზე ენთება დილა —
ყლალისფერ სხეულს აწვენს მიწაზე;
ხოლო საღამო მწუხარ არეთი,
ფანტავს სიზმრებს და გვაბრუებს წიწვი.
ოქროს სამყარო—ის ვარსკვლავეთი,
ჩვენს სახურავზე ათასფრად იწვის.
... ვიცი, ღმერთივით ბებერი არის
ხატა ამ სიზმრით,
ამ შეშფოთებით.
მჯიდროდ ჩარაზულ ფანჯარას ქარი
ეთამაშება ნაძვის ტოტებით.
ხოლო ოთახში ავეჯთან ერთად
ცხოვრობს მოწყენა,
არა ვგრძნობ, განა?
და მოწყენასთან ჯერ კიდევ ფეთქავს
მიტოვებული, საბრალო მამა.
რად მესიზმრება,
რად მესიზმრება
სამყარო, ცხელი, ტრფობის ქარებით,
მარია, დაო, ასე იქნება? —
კვლავ დამიძახე, გემუდარები.

* *

თუ გახსოვს ის გზა,
ან სიმღერა იმ უცნობ მგზავრის...
ჰანგი გვხიბლავდა
მწუხარების და სიხარულის.
მატარებელი — ყაზახეთის
ღამეთა ზარი —
თოვლს მიაპობდა,
რაღაც ჩუმი სევდა-ფარულით.
ჰანგს ჩვენც ავყევით
და თვალებით ვამბობდით სათქმელს.
ვგრძნობდით შიშის თუ
სინანულის გარდუვალობას,
დავრჩით უცვლელნი,
თუ ვეკუთვნით უფრო სხვა ნათელს,
გვიტაცებს ისევ
შორეული გზების გალობა?
როგორ მღეროდა იგი მგზავრი
ხუთი წლის წინათ,
ის გეოლოგი,
მზვერავი და მოხეტიალე:

„ო, აწ ჩვენს გზაზეც
განშორების ცრემლები ბრწყინავს,
თუ მოვკვდი ახლა
ვიცი ჩემთვის ველარ იალებ.“
აგვიყოლია იმ სიმღერამ,
დღეს ნუთუ ცხრება
ის სიკაშკაშე,
გულდაწყვეტა
წლების ძახილი...
კვლავ ჰანგი, იგი,
რად ჩამესმის იმედის ხმებად, —
ალბათ ტრფობისკენ მიმაქანებს
ზამთრის მარხილიც.

* *

შენ ივლი, როგორც ბრმები დადიან, —
გზას რომ იგნებენ ხელის ფათურით, —
მწუხრი დალანდავს სახედარდიანს,
მწუხრი — სულ მუქი ფერით გართული.

ჩემთან მოხვალ და...
კარებს გაგიღებ.
გეტყვი:
— მჯეროდა შენი ბუნების.
ჩემი სიცოცხლის ძვირფასს თარიღებს,
ექნება მადლი ამ დაბრუნების.

* *

ვერ გაგეგცევი, სევდავ, ვერაფრით,
ისე, ვით ღიმილს ვერ გავექცევი,
გულს ვახმიანებ მთრთოლვარე არფით —
წრფელი განცდით და...
წრფელი ლექსებით.
არა ძეგლების, ობელისკების,
არცა სასახლის ხარ კუთვნილება,
არამედ სისხლად კრთიხარ მზის ფერში,
ვით ანტიური აზრის ქმნილება.
შენ იკვირტები ფიქრიდან, ხმიდან,
იცი სიჩუმე,

იცი ხმაური
და მეც მჯერა რომ ცხოვრება გქმნიდა,—
ეპოქა შენს ჰანგს გვერდს ვერ აუვლის.
ვერ გაგექცევი ვერაფრით, სევდავ,
თუ მამღვრევს ვერცა დავმალავ, წყენას.
ამგვარ ვნებაში
ყველაფერს ვხედავ,
ჩუმ ალსარებად —
მომავლის რწმენად!

ხსოვნა

თუ მიწიერი ტკივილი მფარავს,
ცოცხალი ვრჩები სამარადისოდ.
არ დაგივიწყებ,
არც გეტყვი:
— კმარა!
ოღონდ წამოგცდეს, ჩემი არისო.
და მაშინ მდელო მზით დაფარული,
ჩემს პირველყოფილ ოცნებას რკალავს.
ვარ ერთი ყრყოლა იმ სიყვარულის,
რომელსაც უკვე წარსული მალავს.

* *

ახლა უნდა მოხდეს,
ახლა, სიჭაბუკევ!
როცა ყველაფერი
ამიცხადდა ბედად, —
შეუმჩნევლად, ჩუმად
როს მეწვია უკვე,
მსგავსი წყურვილისა —
ღვთაებრივი სევდა.
როგორ გახდა ზეცაც
ლურჯი, გამჭვირვალე,
სიმწვანე კი ირგვლივ
ხიდან ხეზე ცოცავს.

რა ფერები დააქვს
გაზაფხულის ქარებს, —
ახლა ყველაფერი
ჰგავს ღვთაებრივ ლოცვას.
სევდა სიყვარულზე,
მძაფრი ბედისწერაც,
მე მჭირდება ისევ,
როგორც მარცვალს — ხნული.
მეგობარო ჩემო,
მოუსვლელო ჯერაც,
შენზე ვფიქრობ, შენზე
და გეძახის გული.

თარგმნა
შოთა ნიშნიანიძემ

ტყე

მთებზე, მინდვრებზე, ახოებში, წყლისპირად, სერთან
დგანან ხეები ჩამწკრივებით, ცალ-ცალკე, ერთად.
ერთი ტყისპირად გამოსულა, როგორც ირემი,
აგერ მეორე გარინდულა კლდეზე ჯიხვივით,
როცა ქარია, ქალაქებში ხმები ირევა,
ხეთა შრიალი გამოისმის, როგორც ჭიხვინი.
ყველგან ტყე არი, ყველგან ჭალა, ყველგან ბალია,
კენწეროებმა ლაჟვარდების ფარჩა დახია.
ტყე დედამიწის სინოყივრეს იწოვს ფესვებით
და ხე ფოთლებით ლაჟვარდების მადლს ესესხება.

ტყე გარინდულა, ღმერთო ჩემო, რა დიდებულად!..
ხეები თითქო რალაცაზე ჩაფიქრებულან.
როგორც ტყის სული, ტყის ზღაპარი ან წყლის ბილიკი
მიხტის ბუჩქებში ასკინკილით წყარო ლიკლიკა.
რა უზრუნველად, რა ნებივრად, რა დამშვიდებით
სხივებს კენკავენ მოფუსფუსე ჭრელი ჩიტები.
ტყე კი ირწევა — ნეტარების მწვანე აკვანი.
არ წაბილწულა ამ ქვეყნიურ დრტვინვა-ყაყანით.
აქ შვებით სუნთქავ... და ვერ შეხსნის ამ ტყის დარაბას
ამქვეყნიური ვნებათღელვა, დავიდარაბა.
მაგრამ ეს რაა? რა ხმა ისმის, რა ჩოჩქოლია?
აქ ყველაფერი რიგზე იყოს, არა მგონია!

იყო ერთი ხე ვერცხლისფერი ფოთლებიანი,
მიწის მსუყე ცურს წოვდა ხარბად და მადიანად.
მის ბრგე სხეულში დულდა წვენი, სიცოცხლის წვენი
და მზისკენ მუდამ მიილტვოდა ჯიუტად, რწმენით.
მის გვერდით იქვე მეორე ხე იქოჩრებოდა,
ისიც მზის სხივებს ესწრაფოდა მყუდრო ჩეროდან.

მწვანე ფოთლებით ამაყობდა, კოკობზიკობდა,
— მე ბევრად უფრო კარგი ვარო, — გულში ფიქრობდა.
ასე — ვერცერთი პირველობას ვერ თმობდა, ვერა,
და, ჰა, ერთმანეთს ამრეზილად დაუწყეს ცქერა.
— მე გჯობივარო, და მზის სხივებს ვერ დამიკავებ,—
წამოექოჩრნენ ერთმანეთს და წაიკინკლავეს.
მწვანეფოთლება ვერცხლისფერ ხეს ჩამოეფარა,
ვერცხლისფერი ხე აიბურძგლა, როგორც მყეფარი.
ახლა მწვანე ხეს გადაუდგა ხე ვერცხლისფერი,
გაბრაზებისგან მოელრიცა მწვანეს კისერი.
ასე, ერთმანეთს არ უთმობდნენ, მზეს მიელტვოდნენ,
ერთმანეთს ჯიბრით ახლართავდნენ ტოტებში ტოტებს.
დიდხანს გაგრძელდა მათი ბრძოლა, დავიდარაბა,
დიდად შეწუხდა ულრანი ტყის მთელი ჯალაბი.
ხელებს იშვერდნენ, გაშველება მათი უნდოდათ,
მაგრამ ბღლარძუნი არ წყდებოდა ავთა, უნდოთა.
ერთმანეთს ასე ჩაეხლართა ტევრი და ტევრი,
ბევრი ჩამოჭკნა, ჩაიხუთა და გახმა ბევრი.
ხეების ტევრი ჩაიხერგა, როგორც მორევი,
ჯგლეთდნენ და ხელებს უბორკავდნენ ერთიმეორეს.
ველარ სუნთქავდნენ, ძველებურად ვერ მოძრაობდნენ,
მზის სინათლისთვის, ჰაერისთვის, ჩუმად დაობდნენ.
ასეთ ყოფაში არ ულირდათ სიცოცხლე გროშად
და სიზმარივით იგონებდნენ გარდასულ დროჟამს.
მალე ხეებში შიშნეული ჩადგა ხმაური,
ყველამ შეიგნო საკუთარი დანაშაული.
მწვანე ხემ — უკან მიდექითო, — ამოიგმინა,
ეს ხმა ჭალაში გაიტაცა სიომ ბიბინამ.
და უგნურ ხეებს ასეთნაირ უკანდახევას
მხოლოდ სიცოცხლის სიყვარული უკარნახებდათ.
ხეებმა უმალ დაივიწყეს მტრობა და შური,
მათ შორის უმალ ჩამოვარდა თანხმობა სრული.
ბევრი გადარჩა, (შერიგებულს გაცდნენ მეომრებს),
თანდათანობით განერიდნენ ერთიმეორეს.
მაგრამ ორი ხე, — ხე მწვანე და ხე ვერცხლისფერი
ველარ გადარჩა, მოლრეცილი დარჩათ კისერი.
გვიანლა იყო, ვერაფერმა ველარ უშველათ,
ველარ გადარჩნენ უსიკვდილოდ და დაუსჯელად.
მწუხარედ იდგნენ სხვა ხეები გადარჩენილი.
იდგა დუმილი და მოწყენა განაჩენივით.

იქვე, გარშემო დიდებული ტყე ბუბუნებდა
და მადლს სწირავდა სიცოცხლისთვის მზეს და ბუნებას.

იდგნენ ხეები აშოლტილნი და ახოვანნი
და ქარს მიჰქონდა ტყის სიმღერა მრავალხმოვანი.

იან დრდა

უმაღლესი პრინციპი

მოთხრობა

ჩეხურიდან თარგმნა ელენე ერისთავმა

ულაზათო, ცუდად დაუთოვებული კოსტუმი პროვინციაში მეკერილს ჰგავდა. პირისახე ნაყვავილარი ჰქონდა; კლასიკოსთა წიგნებით დამძიმებულ ჩანთას მუდამ თან დაათრევდა, მთელ გვერდებს ისე აღტაცებული უკითხავდა მოწაფეებს, რომ თავისი მთრთოლვარე ხმაც კი აღარ ესმოდა და დიახაც სასაცილო ჩანდა. გარეგნობის მიხედვით ადვილი იყო მისთვის ათასნაირი მეტსახელის შერქმევა, მაგრამ ამ სკოლაშიც ისევე მონათლეს, როგორც სხვა სკოლებში (იგი ხომ ოცი წელია მასწავლებლობდა).

ორი-სამი დღის შემდეგ, როცა მოწაფეებმა ლათინური და ბერძნული ენის გაკვეთილებზე მისი მაღალფარდოვანი საუბარი მოისმინეს, მაშინვე „უმაღლესი პრინციპი“ უწოდეს, ისე, რომ სულ მოკლე ხანში ზედმეტმა სახელმა მისი ნამდვილი სახელი ყველას დაავიწყა.

— უნდა იყოთ უმაღლესი ზნეობრივი პრინციპის მქონე... ჰმ... მოწაფეები და მაშინ აღარ იკადრებთ ისეთ სასაცილო და უღირს საქციელს, როგორიც არის, ვთქვათ, ამხანაგებისაგან გადაწერა, — ეუბნებოდა მოწაფეებს, როცა თავდახრილი ლათინური ენის ლურჯყდიან საკლასო რვეულებს ასწორებდა. უკანასკნელ ხანებში გულდასმით მუშაობდა და ხვეწდა ბოლო გაკვეთილის ყველა წინადადებას, ამ გაკვეთილით ამთავრებდა მეშვიდე კლასის პროგრამას და ისე იყო გატაცებული, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო ქვეყანაზე, ვერას გაიგონებდა და არც მის გულს გაეკარებოდა რა. სწორედ იმ დროს, როცა თავისი გამხმარი, მუდამ მელნით გასვრილი საჩვენებელი თითი მაღლა ასწია და ჩვეული რიხით განაცხადა, აბა, კარნახს ვიწყებო, ვიღაცამ დააკაკუნა. მერე კარი სწრაფად გაიღო და სკოლის დირექტორი შემოვიდა, კარს ზურგით მიეყრდნო და თითქოს ყელში ბურთი გასჩრიაო, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. ეს კია, მოწაფეებს ხელით ანიშნა, ნუ ადგებითო.

— სპარტანელებო, თერმოპოლიდან მოვიჩქარი! — წასჩურჩულა მეშვიდეკლასელმა რიშანეკმა გვერდით მჯდომ მოუჩკას და ამ ოხუნჯობით შეეცადა მიეჩქმალა მღელვარება, ანაზდეულად რომ დაეუფლა. მაგრამ გაფითრებულმა მოუჩკამ, უეცარი წინათგრძნობით შეშფოთებულმა, ყურიც არ ათხოვა, მელანში კალამი ჩააწო და ასევე უმიზნოდ დადო რვეულის ყდაზე. კალმისტარი ჩამოგორდა და სუფთა რვეულზე შავი ნაკვალევი დატოვა.

— ჰაველკა... მოუჩკა... რიშანეკ... მომყევით!

გაისმა მღელვარებისაგან ჩახრინწული დირექტორის ხმა. საკარნახოდ მომზადებული მასწავლებელი, შემართული თითი რომ გაკვირვებისაგან ჰაერში გაშეშებოდა, მყის შეესიტყვა:

— ბატონო დირექტორო, სწორედ ახლა ვიწყებთ წერას, ისე რომ თანახმად უმაღლესი პრინციპისა... მეტადრე თუ ეგ მოწაფეები არ დაესწრებიან...

მეშვიდე კლასის სამივე მოწაფე გაფითრებული წამოდგა, რვეულები ააშრიალეს და ამხანაგებს გადახედეს, თითქოს იმათ სახეზე უნდა ამოეკითხათ, რას უმზადებდა ბედი. ყველას ერთბაშად გაახსენდა, წინაღამით წყლის პირას გააფთრებით რომ კამათობდნენ. მთელ კლასში ყველაზე ენაჭარტალა რიშანეკმა ხმამაღლა წაილაპარაკა:

— უთუოდ რაღაც გვიხიმანკლეს.

დირექტორი კლასში ვეღარ გაჩერდა, დერეფანში სწრაფად გავიდა. „უმაღლესი პრინციპი“ კი ფრიად შეწუხდა, რომ სწორედ ეს მისი სამი საუკეთესო მოწაფე გაკვეთილს ვერ დაესწრებოდა; არადა მთელ იმედს იმათზე ამყარებდა. ბავშვური ცნობისმოყვარეობით ელოდა, ლათინურს როგორ დაწერდნენ. იგი აღელვებული გაჰყვა დირექტორს უკან.

მეშვიდე კლასის მოწაფეები ჰაველკა, მოუჩკა და რიშანეკი როგორც კი მიუახლოვდნენ კარს, იმწამსვე მიხვდნენ, რაც მოელოდათ. ღრიჭოდ დარჩენილ კარიდან თვალი მოჰკრეს სამ კაცს, დერეფნის დიდ ნათელ ფანჯარასთან რომ იდგნენ და ხაკისფერი ტყავის პალტოები ეცვათ. მოუჩკა მოტრიალდა და ისეთი მუდარით გადახედა მთელ კლასს, თითქოს გაკვეთილი არ მოუმზადებია, კითხვაზე ვერ პასუხობს და ამხანაგებს ევედრება, მიკარნახეთო. შუბლზე ოფლმა დაასხა. ფრანტა ჰაველკა პირველ მერხზე იჯდა ხოლმე; შემკრთალმა ერთხელ კიდევ მიირბინა თავის მერხთან; სამელნეს უნებურად დაუცო თავი და ისევ გაბრუნდა რიშანეკთან, კარის სახელურს რომ ჩაფრენოდა და უკან არც იხედებოდა. როცა კარი დაიხურა, კლასში დარჩენილ ყველა მეშვიდეკლასელს მთელ ტანში შიშის ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. ეს იყო 1942 წლის ივნისი[1].

„უმაღლესი პრინციპი“ ხუთ წუთში კლასში შემობრუნდა. მუხლები ისე უკანკალებდა, რომ კათედრამდე ძლივს მილასლასდა, სკამზე ჩაიკეცა, ფართო, წინ წამოწეულ შუბლზე გამხმარი თითები შემოიჭირა და უჩვეულოდ, ბავშვივით შესაბრალისად წაილაპარაკა:

— ეს რა გავიგონე... ეს რა მესმის!..

მერე ისევ მოიკრიბა ღონე, ავი წინათგრძნობით გაქვავებულმა მოწაფეებს გადახედა და ბლუკუნით წარმოთქვა:

---

[1] 1942 წ. ივნისში ჩეხეთის პროტექტორ ჰეიდრიხზე თავდასხმის შემდეგ გერმანელებმა საალყო მდგომარეობა გამოაცხადეს.

— თქვენი... თქვენი თანაკლასელები დააპატიმრეს. ეს... ეს უაზრობაა, გაუგებრობა, ჩემო... მოწაფეებო!

საღამოს შვიდ საათზე რადიომ გადმოსცა შემზარავი ამბავი და გამოაცხადა იმათი გვარები, ვინც იმ დღეს დაიხვრიტა: ფრანტინეკ ჰაველკა, კარელ მოუჩკა, ვლასტიმილ რიშანეკი. ისინი თურმე ჰეიდრიხის მკვლელობას უთანაგრძნობდნენ.

მასწავლებლები შვიდი საათისათვის მდუმარედ შეიკრიბნენ სამასწავლებლოში. ივნისის მზის სხივები ეცემოდა მაგიდას და ოქროსფრად აბრწყინებდა მტვერს. თავზარდაცემული ოცი ადამიანი კი მზით გაჩახჩახებულ ოთახში ისე დაბორიალობდა, როგორც უკუნეთ ღამეში. რაც მეტნი გროვდებოდნენ, მით უფრო გრძნობდნენ თავიანთ უძლურებას. ჩეხური ენის მასწავლებელი კელტნერი, შავთმიანი ყმაწვილი, მუდამ შუბლშეკრული, 28 ოქტომბრისადმი[1] მიძღვნილ პატრიოტულ ლექსებს რომ სწერდა, ახლა ფანჯრების გასწვრივ ბოლთას სცემდა და მზის სხივებს ძალაუნებურად ეღობებოდა. უცებ მან სკამს წაავლო ხელი, ფანჯრებისაკენ ზურგშებრუნებული გაჩერდა და სკამის საზურგეს ისე ჩაებღაუჭა, თითქოს იმ აზრის დასაყრდენს ეძებდა, თავში რომ დაებადა ოთახში სიარულის დროს.

— ესეც თქვენი მასარიკელების წყალობით მოხდა! ყველას დაგვხვრეტენ! — შმაგივით აყვირდა უცებ.

სკოლის დირექტორმა უღონოდ დაიკვნესა და შეეცადა როგორმე გულის ტკივილი დაეყუჩებინა. დანარჩენები უხმოდ იდგნენ, თითქოს სიკვდილი უკვე მიუსჯიათო. მხოლოდ ისტორიის მასწავლებელმა, სქელტუჩა ქვეშქვეშა კაცმა, ჩანთიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, მაგიდაზე დასდო და მისთვის ჩვეული მოთაფლული კილოთი, შიშმაც რომ ვერ მოაშლევინა, დაიწყო:

— ბატონო კოლეგებო! ზედმეტად არ მიმაჩნია დაუყოვნებლივ გამოვთქვათ ჩვენი გულწრფელი ერთგულება და სახელმწიფო მდივანსა და ბატონ მინისტრ მორავცუს ჩვენი აზრი მოვახსენოთ. ჩემს თავს ნება მივეცი და მიმართვის პროექტი წინასწარ შევადგინე.

შემზარავ სიჩუმეში წაიკითხა მან ოცი სტრიქონი, აღსავსე სულმდაბალი მორჩილებით. კალამი ხელის მოსაწერად მოამზადა და ქაღალდი მოწიწებით გაუწოდა უხუცეს კოლეგას, საღვთო სჯულის მასწავლებელს. სამოცდაათი წლის მოხუცმა აცახცახებული ხელით გამოართვა ქაღალდი, დინჯად, გულდასმით, ტკეპნით ჩაიკითხა და, როცა დაასრულა, ქაღალდი მაგიდაზე დადო.

— მოვხუცდი... ამ სიბერის ჟამს ტყუილს ვერ ვიტყვი.

გადაწყვიტეს, ამ მიმართვის მაგივრად მომხდარი ამბავი შეატყობინონ მეშვიდე კლასის მოწაფეებს, მათვე მიუთითონ, რომ დაგმონ ამხანაგების სამარცხვინო საქციელი, ოქმიც შეადგინონ და საკლასო ჟურნალში შეიტანონ.

— ოღონდაც ვინ გააკეთებს ამას?

ჩეხური ენისა და ისტორიის მასწავლებლებმა ერთხმად განაცხადეს:

— რასაკვირველია, კლასის დამრიგებელი.

ყველას გულზე მოეშვა, ვისაც ეს წილად არ ხვდა.

„უმაღლესი პრინციპი“ კი უსიტყვოდ იჯდა და თავისი მოკუმშული თითების სახსრებს დასჩერებოდა. ის კლასის დამრიგებელი იყო.

---

[1] 1918 წ. 28 ოქტომბერი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკად გამოცხადების თარიღია.

მეშვიდე კლასის ოთახი ცარიელი გეგონებოდათ. სადღა იყო ის ჟრიამული და ზუზუნი, ჯერ კიდევ გუშინ რომ გაჰქონდათ მოწაფეებს.

„უმაღლესმა პრინციპმა“ თავისი კლასის ოთახის კარი შეაღო და შევიდა. მაგრამ ისინი, ვინც ახლა მერხიდან მისასალმებლად წამოდგნენ, გუშინდელი მოწაფეების ლანდებს დამგვანებოდნენ, თუმცა მასწავლებელს ახსოვდა, ვინ სად, რომელ მერხზე იჯდა. თვითეულმა მათგანმა წუხელ ალბათ ფიქრით უკვე გადასცურა მდინარე ახერონი[1] და ისე გააცილეს ის სამი ამხანაგი, ახლა რომ თავიანთ მერხებზე აღარ ისხდნენ.

ისინი ანგარიშმიუცემლად დაეშვნენ მერხზე, როგორც კი მასწავლებელი კათედრას მიუჯდა. ეს უკვე კლასი აღარ იყო, არც კოლექტივი, ყველა საკუთრივ იჯდა თავისთვის, შიშისა და სიძულვილის კლანჭებში მოქცეული.

— მოწაფენო! — თქვა მან, მაგრამ პირველი სიტყვისთანავე ხმა აუკანკალდა, სუნთქვა შეეკრა. ფეხზე წამოდგა, რომ თავისუფლად ამოესუნთქა. რა ხანია ცოლი აღარ ჰყავდა და დაჭმუჭნული ტანსაცმელი ეცვა. შარვალი მუხლის თავებზე ამობეროდა.

— მოწაფენო! — ამოილაპარაკა მეორედ და იგრძნო, რომ საყელო უჭერდა, — პედაგოგიურმა საბჭომ... დამავალა, რომ... ჰმ... გუშინდელი... სამწუხარო ამბავი გაგიმარტოთ... უმაღლესი მორალური პრინციპის თვალსაზრისით მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: მტარვალის მკვლელობა დანაშაული არ არის.

ესა თქვა თუ არა, გულზე მოეშვა, დაბნეულობას აღარ გრძნობდა. უჩვეულო სიცხადით ხედავდა ახლა ყველა მათგანს, — მათ ხომ მეხუთე კლასიდან ხელმძღვანელობდა. ისინიც თვალებში მისჩერებოდნენ. მათ შორის იმყოფებოდა მიამიტი, ჯიუტი, მარჯვე, კეთილსინდისიერი და წყნარი ბიჭები, აგრეთვე გონებაჩლუნგებიც და გაიძვერებიც, მოზეპირენიც და ზარმაცებიც. იქნებ მათ შორის ისიც იყო, ვინც გასცა რიშანეკი... იქნებ უბრალო დავამ, გაუგებრობამ, ფარულმა სიძულვილმა კიდევ სხვა საშინელი შედეგიც გამოიღოს, მაგრამ შეიძლება კი რომელიმე მათგანს პირში ტყუილი უთხრას? უსაზღვრო სურვილმა შეიპყრო, სწორედ ამ ყმაწვილებისათვის ეთქვა ის, რაც გულში უდუღდა. საკვირველი იყო, რომ დილითვე პედსაბჭოზე ხმა არ ამოიღო... ახლა კი გადასწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მათთვის სიმართლე გაემხილა.

ჰოდა, თავის კლასს მშვიდად, წყნარად და ხმადაბლა გაუზიარა ყოველივე და თავისი თავიც სავსებით მათ მიანდო.

— ჰეიდრიხის მკვლელობა მეც მართებულად მიმაჩნია.

იგრძნო, ამით ყველაფერი იყო ნათქვამი, კათედრისაკენ მიტრიალდა, დაჯდა და საკლასო ჟურნალში იწყო ჩაწერა. მაგრამ ჯერ ქაღალდს კალამი არ შეხებოდა, რომ მერხებიდან ნაცნობი ხმაური მოესმა. „უმაღლესმა პრინციპმა“ თავი ნელა ასწია და კლასს გახედა. მის წინ თავაწეული, თვალებგაბრწყინებული და ჯარისკაცივით გაჭიმული ოცი მოწაფე იდგა.

[1] მდინარე ჩრდილოეთ საბერძნეთში. ბერძნული მითოლოგიით ამ მდინარეს გადასცურავდნენ ხოლმე გარდაცვლილთა სულები ქვესკნელში ჩასვლისას.

ანდრე მორუა

ოთხშაბათის იები

მოთხრობა

ფრანგულიდან თარგმნა ლია დარაშვილმა

ზემუდარებით, ჟენი, დარჩით!

საოცრად მომხიბლავი იყო დღეს ჟენი სორბიე. ბრწყინვალედ ნაამბობი ანეკდოტები და ამბები უწყვეტ ჯაჭვად მიჰყვებოდა საუზმის დროს ერთმანეთს. ლეონ ლორენის სტუმრები, მოჯადოებულნი და აღფრთოვანებულნი, ვერ გრძნობდნენ, დრო როგორ გადიოდა.

— ოთხი საათი სრულდება, დღეს კი ოთხშაბათია, ლეონ! ხომ იცით, დღევანდელ დღეს რომ იები მიმაქვს ხოლმე ჩემს საყვარელ მეგობართან...

— სამწუხაროა! — დამარცვლით თქვა ლეონმა იმ გასაოცარი ხმით, რამაც ასე გაუთქვა სახელი სცენაზე. — სამწუხაროა, მაგრამ ვიცი თქვენი ერთგულების ამბავი და ხელს ვერ შეგიშლით.

ჟენიმ გადაკოცნა ქალები, მამაკაცები ხელზე ეამბორნენ ჟენის, და ისიც გავიდა. გაიხურა თუ არა კარი, სტუმრები ერთხმად მოჰყვნენ მის ქებას.

— მართლაც რომ უჩვეულო ქალია. რამდენი წლისაა, ლეონ?

— ოთხმოც წელს აღარაფერი უკლია. ბავშვობაში, როცა დედას დავყავდი ხოლმე დილის წარმოდგენებზე „კომედი ფრანსეზში“, ჟენი უკვე დიდებული იყო სელიმენას როლში. მე კი, მოგეხსენებათ, ახალგაზრდა აღარა ვარ.

— ნიჭი უბერებელია, — თქვა კლერ მენეტრიემ. — რა იებზე გეუბნებოდათ?

— დასტურ პატარა რომანია. ერთხელ მიამბო, დაწერით კი არასოდეს დაუწერია. რა თქმა უნდა, ისე ლამაზად ვერ გიამბობთ, როგორც თვითონ ჰყვება.

— შესაძლოა, მაგრამ სხვა გზა არა გაქვთ. თქვენი სტუმრები ვართ და უსათუოდ უნდა გაგვართოთ. რაკი ჟენიმ მიგვატოვა, ის თქვენ უნდა შეცვალოთ.

— რა გაეწყობა! ვეცდები გიამბოთ ოთხშაბათის იების ამბავი. მეშინია კი, ჩვენი დროისათვის მეტისმეტად გულისამაჩუყებლად არ მოგეჩვენოთ.

— ნუ შიშობთ, ჩვენს ხანას სწორედაც რომ გულისამაჩუყებელი ამბები სჭირდება, — თქვა ბერტრან შმიტმა. — ნამდვილ გრძნობებს დანატრებული ჩვენი დრო ცინიზმით ჰფარავს სევდას.

— ეგრე ფიქრობთ? კეთილი. მაშ, დაგიოკებთ მაგ წყურვილს. აქ ყველანი ძალიან ახალგაზრდები ხართ, თქვენ არ შესწრებიხართ, როგორი იყო ჟენი. ცეცხლივით წითელი თმა დაჰფენოდა მომხიბლავ მხრებზე. ეშმაკური, ოდნავ

ელამი თვალები ჰქონდა. წკრიალა, ოდნავ მკვეთრი ხმა გრძნობით უჟღერდა, ეს ყოველივე კი უფრო აჩენდა ჟენის დამატყვევებელ, ამაყ მშვენიერებას.

— ენამჭევრი ყოფილხართ, ლეონ!

— ვშიშობ, ჩემი ენამჭევრობა ცოტა ძველმოდური არ იყოს! მაგრამ მაინც მადლობას მოგახსენებთ... 1895 წელს, კონსერვატორიის დამთავრებისას, პირველი პრემია მიიღო და მაშინვე მიიწვიეს „კომედი ფრანსეზში“. ვაგლახ, რომ საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რამდენი გაჭირვება მოელის ახალბედას ამ დიდებულ თეატრში — სახელგანთქმული მსახიობები თავის როლებს ადვილად არავის ანებებენ. ყველაზე მომხიბლავი მსახიობიც კი ათიოდე წელიწადს ელის მარივოს ან მოლიერის საუკეთესო როლს. მომაჯადოებელ ჟენის შეჯახება მოუხდა სცენის დედოფლებთან. სხვა მის ადგილას ბედს შეურიგდებოდა ან ერთ-ორ წელში გადაბარგდებოდა მადლენის ბულვარის რომელიმე თეატრში. მაგრამ ჩვენი ჟენი ასეთი არ გახლდათ. ბრძოლაში მყის ჩაება და ყველაფერი მოიხმარა, რაც გააჩნდა — მსახიობის ნიჭი, დახვეწილი კულტურა, მომხიბვლელობა და დიდებული თმა. სულ მალე თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი გახდა. ადმინისტრატორი მის მზეს იფიცავდა; ავტორები მოითხოვდნენ, ძნელი როლები მხოლოდ ჟენისთვის მიეცათ, რადგან, როგორც თვითონ ამბობდნენ, ჟენის გარდა მათი ხელოვნებით სხვა ვერავინ მოხიბლავდა მაყურებელს... კრიტიკოსები უჩვეულო ერთგულებით უკმევდნენ გუნდრუკს. თვით დაუნდობელი სარსეც კი ასე სწერდა მასზე: „ისე დახრის თავს, ისეთი ხმა აქვს, ნიანგსაც კი მოაჯადოებსო“.

მამაჩემი იმხანად იცნობდა ჟენის და ჩემთვის ხშირად უთქვამს, ჟენი პირდაპირ აღმერთებსო თავის ხელოვნებას. ძალიან ჭკვიანურად მსჯელობდა თურმე და სულ ახალ-ახალ, ამაღელვებელ ხერხებს ეძებდა. მაშინ თეატრში მეტად გულუბრყვილო რეალიზმით იყვნენ გატაცებულნი. ვთქვათ, რომელიმე პიესაში ჟენის გმირი უნდა მოეწამლათ, ჰოდა, ჟენიც მიდიოდა საავადმყოფოში, რომ თავისი თვალით ენახა, როგორ მოქმედებს საწამლავი. ადამიანურ ვნებათა ღელვას პირად მაგალითზე სწავლობდა. ხელოვნებაში ისეთივე კეთილსინდისიერი იყო, როგორც ბალზაკი, ერთ-ერთ რომანში თავისი სატრფოს გატაცება რომ აგვიწერა.

რა თქმა უნდა, მიხვდებით, რომ ასეთი გარეგნობის გოგონას, ვინც ოცდაორი წლის ასაკში უცებ მიაღწია დიდების მწვერვალს, მრავალი თაყვანისმცემელი ეყოლებოდა. ბედს ყველა სცდიდა, ამხანაგებიც, ავტორებიცა და ბანკირებიც. და სწორედ ერთი ბანკირი, ანრი სტალი ამჯობინა ჟენიმ ყველას. იმიტომ კი არა, რომ მდიდარი იყო, არა, ჟენი მშობლებთან ცხოვრობდა და არაფერი აკლდა. მხოლოდ იმიტომ ამჯობინა, რომ მასაც მიმზიდველი გარეგნობა ჰქონდა და, რაც მთავარია, ცოლად შერთვას ჰპირდებოდა. ალბათ გსმენიათ, რომ სტალის მშობლების გაჯიუტების გამო ეს ქორწინება ცოტა შეგვიანდა, მხოლოდ სამი წლის შემდეგ იქორწინეს, მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა. თავნება ჟენი ვერ შეეგუა ოჯახურ ცხოვრებას. თუმცა ეს სულ სხვა ამბავია. დავუბრუნდეთ ისევ „კომედი ფრანსეზს“, ჩვენი მეგობრის დებიუტსა და იებს.

წარმოიდგინეთ მსახიობის ფოიე იმ საღამოს, როცა ჟენი კვლავ გამოვიდა დიუმა-შვილის „ბაღდადელ პრინცესაში“. ეს პიესა უნაკლო არ არის და თუმცა აღფრთოვანებული ვარ ისეთი პიესებით, როგორიცაა „დემიმონდენი“, „ქა-

ლების მეგობარი“ და „ფრანსიიონი“, დიუმას უკიდურესობა „უცხოელ ქალსა“ და „პრინცესაში“ ღიმილს მგვრის; მაგრამ ვინც კი ნახა ჟენი ამ როლში, ყველა ამბობდა, მან თავისი გმირი დამაჯერებელი გახადაო. ამაზე ხშირად მილაპარაკია ჟენისთან. საკვირველია და მას სწამდა ის, რასაც თამაშობდა. ერთხელ მითხრა, იმ ასაკში თითქმის ისევე ვფიქრობდი, როგორც დიუმა-შვილის გმირი, და საოცრებად მეჩვენებოდა, როცა გაჩირაღდნებულ სცენაზე იმას წარმოადგენდნენ, რაც ჩემი გულის კუნჭულში ხდებოდაო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ როლის მიხედვით მას გაშლილი თმა უნდა ჰქონოდა და შიშველი მხრები, ჰოდა, განა მაყურებლის მოხიბლვა გაუძნელდებოდა? მოკლედ, საუცხოო იყო. და აი, ოვაციის შემდეგ, შესვენების დროს ჟენი ფოიეში ია. მაშინვე შემოეხვივნენ. ჟენი დივანზე ჩამოჯდა ანრი სტალის გვერდით და გამარჯვებით ფრთაშესხმული ჟღურტულებდა:

— უჰ, ჩემო საყვარელო ანრი, როგორც იქნა, ამოვისუნთქე. გახსოვთ, ამ სამი დღის წინათ რა საძაგლად ვითამაშე? სული მეხუთებოდა, მეჩვენებოდა, თითქოს ფსკერზე ვფართხალებდი. დღეს საღამოს კი თავი გადავდე და აკი ამოვტივტივდი კიდეც!.. მისმინეთ, ანრი, ბოლო მოქმედება რომ ჩამეშალოს, თავი რომ ვერ გავართვა, რა მეშველება? ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

კაპელდინერი შემოვიდა და ყვავილები შემოუტანა.

— ვინ გამომიგზავნა? ოჰ, სენ-ლუმ! იცოდეთ, თქვენი ძეტოქეა, ანრი. ჩემს ოთახში წაიღეთ.

— წერილიც არის, მადმუაზელ, — უთხრა კაპელდინერმა.

ჟენიმ გახსნა და გადაიკისკისა.

— ლიცეისტის ბარათია... მწერს, ლიცეუმში „ჟენის თაყვანისმცემელთა კლუბი“ ჩამოვაყალიბეთო.

— ყველა ჟოკეი-კლუბი ახლა თქვენი თაყვანისმცემლების კლუბად იქცევა.

— ლიცეისტები ყველაზე მეტად მიჩუყებენ გულს. ამ ბარათის დასასრულს ლექსიც არის. მისმინეთ, ძვირფასო:

ბოდიში ურითმო ლექსისთვის,
სიყვარულს რომ გიმხელთ,
დირექტორს ნუ ეტყვით ნურაფერს...

. . . . . .

განა მომხიბლავი არ არის?

— პასუხს გაუგზავნით?

— რა თქმა უნდა, არა! დღეში ათიოდე ასეთ წერილს ვღებულობ. ყველას როგორ ვუპასუხო! მაგრამ ძალიან კი მახარებენ. ეს თექვსმეტი წლის ჭაბუკი-თაყვანისმცემლები კიდევ დიდხანს იქნებიან ჩემი ერთგულნი.

— ვინ იცის? ოცდაათი წლის ასაკში ალბათ უკვე ნოტარიუსები გახდებიან.

— რატომ არ შეიძლება, ნოტარიუსებიც იყვნენ და ჩემი თაყვანისმცემლებიც?

— აი, კიდევ რა მოგართვეს, მადმუაზელ, — უთხრა კაპელდინერმა და ჟენის იების კონა გაუწოდა, ორი სუ რომ ეღირებოდა.

— ო, რა მომხიბლავია, შეხედეთ, ანრი. ბარათი არ იყო?

— არა, მადმუაზელ, მეკარემ მითხრა, ეს იები პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტმა მოიტანაო.

— ძვირფასო, — უთხრა ანრი სტალმა, — მომილოცავს, არც ისე ადვილია ამ იქს-იგრეკებით გატენილი ხალხის გადარევა.

ჟენიმ ღრმად შეისუნთქა იების სურნელი.

— შესანიშნავი სუნი აქვთ. აი, ერთადერთი ნიშანი ყურადღებისა, ასე რომ მსიამოვნებს. ვერ ვიტან გაბღენძილ და თავმომწონე მაყურებლებს, შუალამისას იმის სანახავად რომ მოდიან, თუ როგორ მოვკვდები სცენაზე, შუადღისას კი პალე-რუაიალში მიდიან, ზარბაზნის გასროლა რომ მოისმინონ.

— მაყურებლები მწვალებლები არიან, — თქვა სტალმა. — ისინი ყოველთვის ასეთები იყვნენ. გაიხსენეთ გლადიატორები... წარმოიდგინეთ, რა წარმატება ექნებოდა იმ მსახიობ ქალს, ვინც ასიოდე ნემსს გადაყლაპავდა...

ჟენის გაეცინა.

— ან იმას, საკერავ მანქანას რომ გადაყლაპავდა; აი, ეს იქნებოდა დიდების მწვერვალი.

„სცენაზე“ — გაისმა ხმა. ჟენი წამოდგა.

— აბა, კარგად იყავით! მივდივარ ასი ნემსის გადასაყლაპავად.

... ასე დაიწყო, როგორც ჟენის ნათქვამიდან ვიცი, ეს ამბავი.

შემდეგ ოთხშაბათს, უკანასკნელი შესვენების დროს, მომღიმარე კაპელდინერმა ისევ შემოიტანა იების კონა.

— ერთი ამას შეხედეთ! — წამოიძახა ჟენიმ, — ისევ ის სტუდენტი იყო?

— დიახ, მადმუაზელ.

— როგორი ბიჭია?

— არ ვიცი, მადმუაზელ, ვკითხო მეკარეს?

— არა, რა მნიშვნელობა აქვს!

მომავალი კვირის ოთხშაბათს როლი არ ჰქონდა, მაგრამ ხუთშაბათს რომ მოვიდა რეპეტიციაზე, ოდნავ შემჭკნარი იების კონა დაახვედრეს. თეატრიდან გასვლისას მეკარესთან შეჩერდა.

— მითხარით, ბერნარ, ჩემი იები ისევ იმ ყმაწვილმა მოიტანა?

— დიახ, მადმუაზელ, უკვე მესამედ.

— როგორია შესახედად?

— სასიამოვნო სახე აქვს, ძალიან სანდომიანი... ცოტა გამხდარია, ლოყებშევარდნილი. ნაღვლიანი თვალები აქვს და პატარა შავი ულვაშები, ლორნეტს ატარებს. ცოტა სასაცილო კია, ლორენტი და დაშნა...[1] ღმერთმანი, მადმუაზელ, მეტისმეტად შეყვარებული უნდა იყოს ეგ ყმაწვილი. როცა იებს მაწვდის და მეუბნება, მადმუაზელ ჟენი სორბიეს გადაეცითო, ძალიან წითლდება ხოლმე.

— რაღა ოთხშაბათობით მოდის?

— განა არ იცით, მადმუაზელ, პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტები ოთხშაბათობით ისვენებენ. ამ დღეს პარტერიც და იარუსებიც გაჭედილია; ყველა სტუდენტი თავის გოგოსთან ერთად მოდის ხოლმე.

— მასაც ჰყავს **გოგო?**

— დიახ, მადმუაზელ, მაგრამ ის გოგო მისი და უნდა იყოს. საოცრად ჰგვანან ერთმანეთს.

— საწყალი ბიჭი! ასეთი უგულო რომ არ ვიყო, ბერნარ, გეტყოდით, ერთ-

[1] პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტებს უთუოდ დაშნაც უნდა ეტარებინათ.

ხელ მაინც ამოგეყვანათ, თუნდაც ფოიეში, რათა თვითონ გადმოეცა თავისი იები.

— არა, მადმუაზელ, ამას არ გირჩევთ... შეყვარებული მაყურებლები მანამდე არ არიან საშიშნი, ვიდრე ყურადღებას არ აქცევთ. ისინი შორიდან სცემენ თაყვანს თავის საყვარელ მსახიობს და ამით კმაყოფილდებიან. მაგრამ თუ სულ მცირე ყურადღებას მაინც გამოიჩენთ, მაშინვე თავს მოგაბეზრებენ. საშინელებაა: თითს გაუწვდით — ხელი უნდათ! ხელს მისცემთ და მკლავს მოგთხოვენ. თქვენ იცინით, მადმუაზელ, მაგრამ მე კი გამოცდილება მალაპარაკებს. ოცი წელია აქ ვმუშაობ. ვინ იცის, რამდენი შეყვარებული ყმაწვილი ქალი და ტრფობით გადარეული ყმაწვილი კაცი მინახავს... ყოველთვის ვიღებდი ხოლმე მათგან გადასაცემად ყვავილებს, ბარათებს, მაგრამ ზემოთ, კულისებში, უკაცრავად, არ ვუშვებდი. რაც არ შეიძლება, არ შეიძლება.

— მართალი ხართ, ბერნარ. რა გაეწყობა, ვიქნები გულცივი, ფრთხილი და მკაცრი.

— ეს სიმკაცრე არ არის, მადმუაზელ, მხოლოდ გონივრული სიფრთხილეა.

გადიოდა დრო. ჟენი ყოველ ოთხშაბათს იღებდა ორ სუდ ნაყიდ იებს. მთელმა თეატრმა გაიგო ეს ამბავი. ერთმა მსახიობმა ქალმა უთხრა:

— შენი სტუდენტი ვნახე, შესანიშნავი ყმაწვილია! ისეთი რომანტიკული ეერი აქვს, პირდაპირ გაგაოცებს.

— როგორ მიხვდი, რომ ჩემი სტუდენტი იყო?

— შემთხვევით ვნახე მეკარესთან სწორედ იმ დროს, ყვავილები რომ მოიტანა და გაუბედავად უთხრა: „მადმუაზელ ჟენი სორბიეს გადაეცით, გეთაყვა...“ გულისამაჩუყებელი იყო. ეტყობა, ძალიან ჭკვიანია. არ უნდა სასაცილოდ გაიხადოს თავი, არადა ვერც გრძნობას მორევია!.. ერთი წუთით გულიც დამწყდა, ნეტავ ჩემთან მოდიოდეს-მეთქი, ვანუგეშებდი, მადლობასაც ვეტყოდი. განა ვერ ხედავ, ნახვასაც კი არა გთხოვს. შენს ადგილზე რომ ვიყო...

— ნახავდი?

— რატომაც არა. თუნდაც ერთი წამით... რამდენი კვირაა, ეს ამბავი გრძელდება. საცაა სეზონი დამთავრდება და შენც წახვალ... ალბათ გეშინია, თავს მომაბეზრებსო.

— მართალი ხარ, სისულელეა თაყვანისმცემლების თავიდან მოცილება, სანამ ბევრი გვყავს და თან ახალგაზრდები. ერთი ოცდაათი წლის შემდეგ კი, როცა ცოტანი დარჩებიან და თმაც აღარ შერჩებათ თავზე, თვითონვე დავუწყებთ ძებნას.

იმ საღამოს, წასვლისას, ჟენიმ მეკარეს უთხრა:

— ბერნარ, მეორე ოთხშაბათს, როცა ჩემი სტუდენტი მოვა, ასე უთხარით, თვითონ მომიტანოს იები მესამე მოქმედების შემდეგ. „მიზანთროპში“ ვთამაშობ, სცენისათვის მხოლოდ ერთხელ დამჭირდება ტანსაცმლის გამოცვლა. ავალ ჩემს ოთახში და იქ მოვიდეს... თუმცა არა! დერეფანში დაველოდები, კიბესთან ან ფოიეში.

— კეთილი. არ გეშინიათ, მადმუაზელ, რომ...

— საშიში რა არის? ათ დღეში საგასტროლოდ მივდივარ. გარდა ამისა, ყმაწვილი თავის სკოლაზეა მიჯაჭვული.

— ძალიან კარგი, მადმუაზელ, ოღონდ, როგორც გითხარით...

მეორე ოთხშაბათს ჟენი თავისდა უნებურად იმ უცნობი ვაჟისათვის თამაშობდა სელიმენას როლს. ძალიან უნდოდა მოსწონებოდა... ანტრაქტის დროს,

როცა მაღლა ადიოდა, საოცრად ღელავდა. ფოიეში დაჯდა და ელოდა. ირგვლივ მაყურებლები ირეოდნენ. ადმინისტრატორი რაღაცას ესაუბრებოდა ბლანშ პიერსონს, იმ დროს ჟენის მეტოქედ რომ ითვლებოდა. სტუდენტის ოქროსფრად მოსირმული შავი ფორმა არა და არ გამოჩნდა. მოუსვენრობამ შეიპყრო ჟენი, აღელვებული გაიქცა კაპელდინერთან.

— არავინ არ მიკითხა?

— არა, მადმუაზელ!

— დღეს ოთხშაბათია და იები არ მიმიღია. ბერნარს ხომ არ დაავიწყდა, ან რაიმე გაუგებრობა ხომ არ მოხდა?

— გაუგებრობა? რა გაუგებრობა, მადმუაზელ? ხომ არ ინებებთ მეკარეს ვკითხო?

— ჰკითხეთ, გეთაყვა... თუმცა არა, არ ღირს. მე თვითონ ვკითხავ ბერნარს შინ წასვლისას.

ჟენის გაეცინა,—„უცნაური ხალხი ვართ... ექვსი თვის განმავლობაში მის ერთგულებას არად ვაგდებდი, ახლა კი, როცა მისი ყურადღება მომაკლდა, ისე ვღელავ, თითქოს სატრფოს ველოდე... „ოჰ, სელიმენა, როგორ დაგენანება ალცესტი, როცა იგი აუტანელ ტანჯვას ვერ გაუძლებს და მიგატოვებს!“.

სპექტაკლის შემდეგ მეკარესთან შეიხედა.

— აბა, ბერნარ, სად არის ჩემი თაყვანისმცემელი, არ გამომიგზავნეთ?

— მადმუაზელ, მაინცდამაინც დღეს არ გამოჩენილა. პირველად მოინდომეთ მისი ნახვა და ამ ექვს თვეში პირველი ოთხშაბათია, რომ არ მოსულა.

— უცნაურია, იქნებ ვინმემ გააფრთხილა და შეშინდა?

— არა, მადმუაზელ, არა. ჩვენ გარდა არავინ იცოდა. თქვენ ხომ არავისთვის გითქვამთ? არც მე. ჩემი ცოლისთვისაც კი არ გამიმხელია.

— მაშ რა გგონიათ?

— არაფერიც არ მგონია, მადმუაზელ, იქნებ შემთხვევითი ამბავია, იქნებ მობეზრდა, ან იქნება ავად გახდა. ვნახოთ მომავალ ოთხშაბათს...

მაგრამ მომავალ ოთხშაბათს არც სტუდენტი გამოჩენილა და არც იები მოუტანია ვისმე.

— რა ვქნათ, ბერნარ? როგორ ფიქრობთ, მისი ამხანაგების მეშვეობით ხომ ვერ შევძლებდით სტუდენტის პოვნას? ან იქნებ სკოლის დირექტორი დაგვეხმაროს...

— რანაირად? სახელიც კი არ ვიცით მისი.

— მართალია. რა სამწუხაროა! ეჰ, ბედი არა მქონია, ბერნარ, ბედი!

— დამშვიდდით, მადმუაზელ. მთელი წელი ასეთი წარმატება გქონდათ, ახლაც საგასტროლოდ გაემგზავრებით და იქაც წარმატება გელით. ამას უბედობას როგორ ეძახით.

— მართალი ხართ, უმადური ვარ და მეტი არაფერი. ძალიან კი მიყვარდა ეს ჩემი ოთხშაბათის იები.

მეორე დღეს ჟენიმ პარიზი დატოვა. ანრი სტალი მოკრძალებით თან გაჰყვა. ყოველ ოტელში ვარდებით სავსე ოთახი ხვდებოდა ჟენის. როცა პარიზში დაბრუნდა, თავისი რომანტიკული მათემატიკოსი აღარც კი ახსოვდა.

ერთი წლის შემდეგ ჟენიმ ვინმე პოლკოვნიკ ჟენევრიერის წერილი მიიღო, პირად საქმეზე თქვენი ნახვა მინდაო. წერილი ძალზე თავაზიანი იყო. ჟენის

არავითარი საბაბი არ ჰქონდა უარი ეთქვა და პოლკოვნიკს სთხოვა, შაბათს, ნაშუადღევს მოსულიყო. სტუმარს სამოქალაქო შავი ტანსაცმელი ეცვა. ქენი პოლკოვნიკს იმ მოხდენილი სილაღით შეხვდა, რაც ბუნებითაც ჰქონდა მომადლებული და სცენამაც შესძინა. მაგრამ გარეგნულად კი, ბუნებრივია, მაინც გაკვირვება ეტყობოდა: რა უნდა ნეტა ამ უცნობ სტუმარსო?

— გმადლობთ, მადმუაზელ, ნება რომ დამრთეთ მოვსულიყავი, ჩემი მოსვლის მიზეზს წერილით ვერ აგიხსნიდით. თქვენი ნახვის ნებართვა ვითხოვე არა როგორც ვინმე თავხედმა მამაკაცმა, არამედ როგორც მამამ. ხომ ხედავთ, შავები მაცვია გლოვის ნიშნად. ორი თვის წინათ მადაგასკარში მომიკლეს შვილი, ლეიტენანტი ანდრე ქენევრიერი.

ქენის უნებური მოძრაობით თითქოს უნდოდა ეთქვა: „გულითადად თანაგიგრძნობთ, მაგრამ...“

— თქვენ ჩემს ვაჟს არ იცნობდით, მადმუაზელ, მე ვიცი. ის კი გიცნობდათ და გაღმერთებდათ. დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ რასაც ახლა გეტყვით, სიმართლეა. ამქვეყნად ყველაზე მეტად მას უყვარდით...

— მე მგონია, ვხვდები, პოლკოვნიკო! თვითონ გითხრათ?

— მე? არა. თავის დას უთხრა, იგი მისი მესაიდუმლე იყო. ყველაფერი იმ დღეს დაიწყო, როცა „სიყვარულისა და შემთხვევის თამაში“ გადიოდა. და-ძმა ერთად მოვიდა წარმოდგენაზე თეატრში. როცა შინ დაბრუნდნენ ჩემი შვილები, აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ თქვენზე: „რაოდენ ნატიფია მისი თამაში, რაოდენ ამაღელვებელი პოეზიაა...“ კიდევ ათას რამეს ამბობდნენ, რაც, ეჭვი არ მეპარება, თქვენ დაიმსახურეთ... მაგრამ, ხომ იცით, როგორ უყვართ ახალგაზრდებს ყველაფერი გაღმერთონ! საწყალი ჩემი ბიჭი, ისეთი ძეოცნებე და რომანტიკოსი იყო...

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ქენიმ, — მაშ ის იყო...

— დიახ, მადმუაზელ, პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტი, მთელი წლის განმავლობაში ყოველ ოთხშაბათს რომ მ[illegible]ჰქონდა თქვენთვის იების კონა, ჩემი ვაჟი გახლდათ, ანდრე. ეს ამბავიც ჩემი ქალიშვილისაგან ვიცი... იმედი მაქვს, ასეთი ბავშვური გულუბრყვილობა, აღფრთოვანება, ესოდენ მიამიტურად გამოვლენილი, არ გწყენიათ. ისე ძალიან უყვარდით... ოღონდ არ ვიცი, თქვენ თუ თქვენი ხატება, თვითონვე რომ შექმნა. მისი ოთახის კედლები თქვენი სურათებით იყო დაფარული... რა ხრიკს აღარ მიმართავდა მისი და, რომ თქვენი ფოტოგრაფისათვის კიდევ ერთი ახალი სურათი გამოერთმია. სკოლაში ამხანაგები დასცინოდნენ. აიღე და მისწერეო, აქეზებდნენ.

— რატომ არ მომწერა?

— როგორ არა. გწერდათ, მადმუაზელ, ოღონდ გამოგზავნას ვერ ბედავდა. ახლა მოგიტანეთ წერილების მთელი შეკვრა, მისი სიკვდილის შემდეგ ვიპოვეთ.

პოლკოვნიკმა ჯიბიდან პაკეტი ამოიღო და ქენის გადასცა. ქენიმ ერთხელ მაჩვენა ის წერილები: დაწერილია წვრილად, გაკრული ხელით, ნაჩქარევად და თუმცა მათემატიკოსის წერილებია, პოეტურია მაინც.

— შეინახეთ ეს წერილები, მადმუაზელ, ისინი თქვენ გეკუთვნით. ბოდიშს ვიხდი ამ უცნაური ვიზიტის გამო... მე თითქოს მოვალე ვიყავი ჩემი შვილის წინაშე... ნუ შეურაცხგყოფთ მისი სიყვარული, ის გულწრფელი იყო... მას ხომ სრულყოფილ მშვენიერებად მიაჩნდით. გარწმუნებთ, ანდრე ღირსი იყო თქვენი სიყვარულისა...

— კი მაგრამ, რატომ ერთხელაც არ მთხოვა, შევხვედროდი? ან რატომ თვითონვე არ ვეცადე მენახა? ოჰ, სულ ჩემი ბრალია... ჩემი...

— განა რა თქვენი ბრალია, მადმუაზელ... თქვენ ხომ არ შეგეძლოთ წინასწარ გამოგეცნოთ, ანდრე რომ სკოლის დამთავრებისთანავე მოითხოვდა გაეგზავნათ მადაგასკარში. რა თქმა უნდა, მიზეზი თქვენ იყავით... თავის დასაც უთხრა: „ან მასთან განშორება განმკურნავს ამ უიმედო გატაცებისაგან, ან ისეთ დიდ საგმირო საქმეს ჩავიდენ, რომ...“ განა ეს ერთგულება, კეთილშობილება და სიმტკიცე უკვე დიდი საქმე არ არის?

როცა პოლკოვნიკი წამოდგა, ჟენიმ მკლავზე მოჰკიდა ხელი:

— თითქოს ცუდი არაფერი ჩამიდენია, მაგრამ მაინც... მგონია, რომ მეც რაღაც მმართებს იმ აჩრდილისა, სიცოცხლით დატკბობა რომ ვერ მოასწრო... მისმინეთ, პოლკოვნიკო, მითხარით, სად არის თქვენი ვაჟის საფლავი? გეფიცებით, სანამ სული მიდგას, ყოველ ოთხშაბათს მივიტან ხოლმე იების კონას მის საფლავზე...

— აი, მიზეზი, ბატონებო, იმისა, რომ ჩვენი ჟენი, თუმც ზოგიერთ სკეპტიკოსს გულცივი და ცინიკოსი ჰგონია, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ყოველ ოთხშაბათს სტოვებს თავის მეგობრებს, სამუშაოს, ზოგჯერ საყვარელ ადამიანსაც და მიდის მარტოკა მონპარნასის სასაფლაოზე, იმ ლეიტენანტის საფლავზე, ერთხელაც რომ არ უნახავს... ხომ ხედავთ, სწორი ვიყავი, ეს ამბავი მართლაც მეტისმეტად სანტიმენტალურია ჩვენი დროისთვის.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბერტრან შმიტმა თქვა:

— ქვეყნად ყოველთვის მოიძებნებიან რომანტიკოსები იმათთვის, ვინც ამის ღირსია.

□

საღამო მშვიდობისა, ძვირფასო!

მოთხრობა

ფრანგულიდან თარგმნა დანიელ სიგაშვილმა

ხაით გაგიწევია, ანტუან? — ჰკითხა ქმარს ფრანსუაზ კენეიმ.

— ფოსტაში შევივლი, წერილს გავგზავნი და მაუგლისაც გავასეირნებ. წვიმამ გადაიღო. რახან მანტონის თავზე ცა გამოჩნდა, ალბათ გამოიდარებდა კიდეც.

— არ დაიგვიანო, ვახშამზე საბინა ლამბერტ-ლეკლერი და მისი ქმარი მოვიწვიე. გაზეთ „Eclaireur“-ში წავიკითხე, რამდენიმე დღით ნიცაში ჩამოსულან. ჰოდა, მეც მივწერე საბინას...

— ოჰ, ფრანსუაზ! კარგად იცი, რომ მისი ქმრის პოლიტიკა პირდაპირ გულს მირევს, ხოლო თვითონ...

— ნუ ბუზღუნებ, ანტუან. არ თქვა, საბინა მძულსო. როცა გაგიცანი, ის უკვე შენი საცოლე იყო.

— მართალი ხარ და არა მგონია, ოდესმე მაპატიოს ჩემი არჩევანი. სხვა რომ არაფერი, თხუთმეტი წელია აღარ მინახავს; ახლა ალბათ კარგა მომწიფებული დედაკაციც იქნება.

— საბინა დედაკაცი არ არის, — უთხრა ფრანსუაზმა, — ის მხოლოდ სამი წლითაა ჩემზე უფროსი. რამდენიც არ უნდა იწუწუნო, ის და მისი ქმარი ზუსტად რვა საათზე აქ იქნებიან.

— რატომ არ მკითხე? ხომ იცი, რომ ეს შეხვედრა არცთუ ისე სასიამოვნო იქნება ჩემთვის.

— კეთილ მგზავრობას გისურვებ! — მხიარულად მიაძახა ქალმა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ანტუანი გაწბილებული დარჩა. ფრანსუაზს ჩვევად ექცა სწორედ მაშინ გაეწყვიტა ლაპარაკი და მიეტოვებინა ქმარი, როცა კამათი გამწვავდებოდა.

კონცხზე, ირიბი და წახნაგოვანი ნაძვების ხეივანში მიმავალი ანტუანი ფიქრობდა: „ფრანსუაზი აუტანელი გახდა. კარგად იცოდა, რომ სულაც არ მეჭაშნიკებოდა იმ ცოლ-ქმრის ნახვა, თანაც განზრახვა დამიმალა... თანდათანობით იხსენებს წარსულს. მაინც რაში დასჭირდა საბინა ლამბერტ-ლეკლერის მოწვევა? იქნებ მოსწყინდა აქ? მაგრამ ვინ ისურვა ამ მხარეში ცხოვრება? ვინ მაიძულა მიმეტოვებინა პონ-დე-ლ'ერი, ჩემი ოჯახი, საქმეები და, რაც სრულიად არ მინდოდა, სამსახურიდან ჯერ კიდევ ახალგაზრდა გადავმდგარიყავი“.

წარსულზე ფიქრმა გაიტაცა ანტუანი. ახლაც ძველებური გრძნობითა და, შეიძლება ითქვას, სინაზით უყვარდა ცოლი. შეეძლო მთელი საღამო ეცქირა მისთვის. თხელი ცხვირი, ნათელი და დამცინავი თვალები, პირისახის სწორი ნაკვთები ჰქონდა ფრანსუაზს. მაგრამ რა ხშირად აგულისებდა იგი! რაც მართალია, მართალია, ავეჯის, კაბებისა და ყვავილების შერჩევისას ფრანსუაზი უჩვეულო გემოვნებას ამჟღავნებდა. მაგრამ თავდაჭერილობა აკლდა. როცა უნებურად რომელიმე მეგობარს აწყენინებდა ფრანსუაზი, ანტუანი მთელ დანაშაულს თვითონ იბრალებდა და თანაც უძლურებას გრძნობდა. ამისათვის ერთხანს კიდეც კიცხავდა ცოლს. ქალი კი ყურადღებასაც არ აქცევდა. კარგად იცოდა, როდესაც საღამოთი ანტუანი მასთან ალერსს მოისურვებდა, ყველაფერს აპატიებდა. ბოლოს იძულებული გახდა შეგუებოდა ქალის ხასიათს. მიხვდა, ათი წლის დაქორწინებულები იყვნენ და ფრანსუაზს ახლა რაღა გამოცვლიდა.

— მაუგლი, წამო!

ფოსტის ბიუროში შევიდა. გამობრუნებისას უარესად შემოეჯარა ფიქრები. „... ნეტავ კვლავ ისე ერთგულია?“ ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა, თუმცა ბევრჯერ მოქცეულა ფრანსუაზი წინდაუხედავად. ეს კი საკმაოდ უცნაური იყო. ნუთუ უფრო ბედნიერი იქნებოდა საბინა ლამბერტ-ლეკლერთან? ის ბაღი გაიხსენა პონ-დე-ლ' ერში, საბინას რომ ხვდებოდა. მთელი ქალაქი მათ დანიშნულებს ეძახდა და ისინიც დარწმუნებულები იყვნენ, წინ აღარაფერი დაუდგებოდათ.

„ცეცხლივით ქალი იყო“, — ფიქრობდა ანტუანი და გაახსენდა, როგორ ეკვროდა იგი ცეკვისას.

საბინა პირველი ქალი გახლდათ, ვისთანაც გულადად მოიქცა, არც თვითონ საბინა იყო წინააღმდეგი. შემდეგ ფრანსუაზი გამოჩნდა და მისთვის ერთბაშად ყველამ და ყველაფერმა არსებობა შეწყვიტა. ახლა უკვე ათი წელიწადია, რაც ერთად ცხოვრობენ. დრომ განვლო, სამი ბავშვი ეყოლათ.

როდესაც სასტუმრო ოთახში ნაზი ყვავილებით დაჩითულ, სადა კაბაში გამოწყობილი ცოლი დახვდა, ანტუანს დაავიწყდა კიდეც თავისი ბოლმა. ფრანსუაზმა მოაწყო ეს სახლი, ეს ბაღი, მნახველი აღტაცებაში რომ მოჰყავდა. სწორედ ფრანსუაზმა აიძულა, ვიდრე 1929 წლის კრიზისი დადგებოდა, რამდენიმე წლით ადრე მიეტოვებინა პონ-დე-ლ' ერი და ქარხანა. თუ ყოველივეს აწონ-დაწონის, ფრანსუაზს მისთვის ბედნიერების მეტი არაფერი მოუტანია.

— მიშელი და ბაკო ჩვენთან ივახშმებენ? — იკითხა ანტუანმა.

მას ერჩია, ბავშვებზე ელაპარაკა, ვიდრე სტუმრებზე.

— არა,—უპასუხა ქალმა,—ვიფიქრე, უფრო სასიამოვნო იქნება, მხოლოდ ჩვენ ოთხნი თუ ვიქნებით-მეთქი. ჰალსტუხი გაისწორე, ანტუან.

„სასიამოვნოო!" აი, კიდევ ერთი სიტყვა, ჭირივით რომ სძულდა ანტუანს. — არა, ეს „სასიამოვნო" არ იქნება, — თქვა თავისთვის და სარკის წინ ჰალსტუხი გაისწორა. საბინა ცხვირჩამოშვებული იქნება, ფრანსუაზი იკეკლუცებს ლამბერტ-ლეკლერთან. ის ხომ მინისტრია, ავტორიტეტული პიროვნება, ხოლო ანტუანი კი მოიღუშება და კრინტს არ დასძრავს.

„სასიამოვნოო"!..

მანქანის მუხრუჭების ხმა გაისმა, ხრეშზე საბურავები მოსრიალდა. კენეიებმა თავი ისე დაიჭირეს, თითქოს არაფერი მომხდარაო. წუთის შემდეგ ცოლქმარი შემოვიდა. საბინას ოდნავ დაკულულებული თმა, სავსე მხრები და ლამაზი თვალები ჰქონდა. ლამბერტ-ლეკლერს გამელოტებულ თავზე სამიოდე ღერი თმა გამაფრთხილებელ ძახილის ნიშანივით შერჩენოდა. ეტყობოდა, ცუდ გუნებაზე იყო. მას, რასაკვირველია, ეს ვახშამი დიდად არ სიამოვნებდა.

— საღამო მშვიდობისა, ძვირფასო! — უთხრა ფრანსუაზმა საბინას და გადაკოცნა. — საღამო მშვიდობისა, ბატონო მინისტრო!

— არა, ძვირფასო, — თქვა საბინამ, — ნუ ეძახი ჩემს ქმარს მინისტრს. მე თუ საბინას მეძახი, მას ალფრედი უწოდე... საღამო მშვიდობისა, ანტუან.

საღამო იმდენად თბილი და ნათელი იყო, რომ ფრანსუაზმა ყავა ტერასაზე გააწყო. ვახშამზე საუბარს თავი ვერ მოაბეს. ქალებმა მოიწყინეს. ჯიუტი ანტუანი, თავისი თავით უკმაყოფილო. წინდაუხედავად ედავებოდა ლამბერტ-ლეკლერს, რადგან იგი, როგორც საქმეში ფრიად ჩახედული კაცი, გულდასმით უხსნიდა ყოველ წვრილმანს.

— თქვენ ოპტიმისტი ხართ, ვინაიდან ხელისუფლებას წარმოადგენთ, — ამბობდა ანტუანი, — სინამდვილეში საფრანგეთის ბედი ახლა ტრაიკულია...

— როგორ გეკადრებათ, გეთაყვა, სრულიადაც არა. ფულის საკითხი არასოდეს არა სწყვეტს ჩვენს ბედს. საფრანგეთის ბიუჯეტი უკანასკნელი ექვსი საუკუნის მანძილზე ასეთ დღეში იყო და ეს კარგიც არის. დროდადრო აუცილებელია ის ხალხი გააკოტრო, ვინც თავისი კაპიტალის შემოსავლით ცხოვრობს... ამის გარეშე სად წახვალთ?.. წარმოიდგინეთ, რიშელიეს დროიდან ხელუხლებლად დამარხული დიდი თანხები...

— ინგლისის ბიუჯეტი გაწონასწორებულია, — ჩაიბურტყუნა ანტუანმა, — თან გადაჭარბებაც აქვთ. ყველა ინგლისელი, ვისაც კი მე ვიცნობ, არცთუ ისე ურიგოდ გრძნობს თავს.

—ძვირფასო მეგობარო, — უთხრა ლამბერტ-ლეკლერმა, — ვერ გამიგია, რა გაწუხებთ ფრანგებს ამ ორი ქვეყნის დამოკიდებულებაში; მათ ერთნაირი არც ისტორია, არც ზნე-ჩვეულებანი და არც მოთხოვნილებანი არა აქვთ... თუ საფრანგეთი გაწონასწორებულ ბიუჯეტს მოითხოვს, ჩვენ მზად ვართ ხვალვე მივცეთ, მაგრამ მას ეს არ სჭირდება. და თუ ასეთი ფორმულით დაკმაყოფილდებით, არცაა საჭირო ამდენი საშუალებების გამონახვა. ბიუჯეტის შემუშავება პოლიტიკური საკითხია და არა ფინანსური. თქვენ დამისახელეთ, რა წესწყობილება გსურთ სახელმწიფოში და მე გეტყვით, როგორი ბიუჯეტი შეიმუშაოთ. ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები მზად არიან ნებისმიერი ბიუჯეტი შეიმუშაონ. გნებავთ სოციალისტური, რადიკალური და გნებავთ რეაქციული. საკმარისია დაასახელოთ... ყველაფერი ბევრად უფრო იოლად ხდება, ვიდრე უვიცებს წარმოუდგენიათ.

— იოლად?!.. გაბედავთ კი ამის თქმას თქვენი ამომრჩევლების წინაშე?

ფრანსუაზს შეეძლო ერთი შეხედვითვე ამოეცნო ქმრის მოელვარე თვალებში მოძალებული სიბრაზე. მან საუბარი შეაწყვეტინა:

— ანტუან, ჩაიყვანე საბინა მონასტერთან, გადასახედი უჩვენე.

— ყველანი ერთად წავიდეთ, — თქვა ანტუანმა.

— არა, არა, ფრანსუაზი მართალია, — უარყო საბინამ, — ოჯახობანა დროებით შევწყვიტოთ... ასე უფრო სასიამოვნო იქნება.

ქალი ადგა. ანტუანი იძულებული იყო გაჰყოლოდა; გასვლისას ფრანსუაზს აღშფოთებული მზერა ესროლა, მაგრამ ქალმა არაფერი შეიმჩნია.

„სწორედ ამისი მეშინოდა! — გაიფიქრა, — ახლა ნახევარი საათით მომიწევს მარტო ყოფნა ამ ქალთან. ნუთუ ამით ისარგებლებს და იმ ახსნა-განმარტებას მომთხოვს, აგერ ათი წელია რომ ელის ჩემგან? დიდებული ამბავია!.. ფრანსუაზი კი მოხიბლულია, აქაოდა, მინისტრია ჩემი კავალერიო“.

— ეს რა სურნელებაა? — იკითხა ქ-მა ლამბერტ-ლეკლერმა.

— ფორთოხლის პლანტაციებისა. ხეივანი, სადაც ახლა ჩვენ ვართ, ფორთოხლის, ლიმონის, გლიცინიისა და ვარდებისაგან არის გაშენებული. მაგრამ ჩვენი ვარდები სულ მალე გაველურდება; გასხვლა უნდა... დაბლა ბილიკი რომ ჩადის, იმას მიჰყევით.

— თქვენ არ გაველურდით ამ მიყრუებულ ადგილას, ანტუან?

—მე?.. მე ყოველთვის ველური ვიყავი. ნეტა თუ არჩევთ რამეს ამ სიბნელეში? ქაშანურის აუზის ორივე მხარეს ცინერარიას ბუჩქებია. ბაღში ათასფერი ყვავილი ხარობს. ყოველ შემთხვევაში, ეს ფრანსუაზის სურვილი იყო, აქ, ბექობზე, ტევრი მოეწყო, მოეშენებინა დანამასტაკი, კურდღლის ცოცხა, გვიმრა, მთის შროშანა...

— მიხარია, ანტუან, რომ თქვენთან მარტო დავრჩი. ძალიან მიყვარს თქვენი მეუღლე, მაგრამ ვიდრე მას გაიცნობდით, მე და თქვენ დიდი მეგობრები ვიყავით, გახსოვთ?

ანტუანმა ნაბიჯი შეანელა, რათა ქალის სიახლოვე არ ეგრძნო.

— თქვენ მართალი ხართ, როგორ არ მახსოვს... არა, პირდაპირ იარეთ. გადადით პატარა ხიდზე, აი, მონასტერიც. ფილებს შორის რა ყვავილებია? იაჟუჟუნაა, მეტი არაფერი...

— გახსოვთ მეჯლისი კლუბში? მაშინ პირველად ვიყავი მეჯლისზე. პაპა-თქვენის მანქანით მიმაცილეთ შინ. ჩემს მშობლებს უკვე ეძინათ. ჩვენ ერთად შევედით პატარა სალონში, ერთმანეთს უხმოდ მოვეხვიეთ და ცეკვა დავიწყეთ.

— ნუთუ იმ საღამოს ერთხელაც არ მიკოცნია თქვენთვის?

— ერთხელო? მთელი საათი ვკოცნეთ ერთმანეთი. რა სასიამოვნო იყო! თქვენ ჩემი გმირი იყავით.

— განა იმედი გაგიცრუეთ?

— ომის დასაწყისში, პირიქით, უფრო დამატყვევეთ. შესანიშნავი იყავით. თქვენი ციტატები გულის ფიცარზე მეწერა. ახლაც მახსოვს... შემდეგ, როდესაც დაიჭერით და თქვენი შვებულების დროს ფრანსუაზ პასკალ-ბუშე შეიყვარეთ, უნდა გითხრათ, გაოცებული დავრჩი. როგორ შევხვდი ამ ამბავს? როცა შევიტყვე, რომ ჩემს სენჟანელ თანაკლასელ, მომხიბლავ, მაგრამ ოდნავ ქარაფშუტა ქალიშვილს ირთავთ, გამიკვირდა და შევწუხდი. თუმცა განა მარტო მე, მთელი ქალაქი ასე იყო. მაპატიეთ, ანტუან!

—კი მაგრამ რატომ? ჩვენ, ფრანსუაზი და მე, ხომ იმავე წრეს ვეკუთვნოდით და თანაც ჩინებულად შევეფერებოდით ერთმანეთს... შეხედეთ, საბინა, სინათლით განათებული ის კედელი მონაკოს კლდე გახლავთ... ძალიან ნუ გადაიხრებით, ტერასა აქ პირდაპირ ზღვაზე გადადის. ფრთხილად, საბინა!..

უნებლიე მოძრაობით წელზე მოჰკიდა ხელი. ქალი ელვის სისწრაფით შემოტრიალდა და ტუჩებში აკოცა.

— რა კარგია, ანტუან, სწორედ ამას ვნატრობდი! ძნელია თავი შეიკავო იმ ადამიანთან, ვისთანაც უკვე შეჩვეული იყავი. გახსოვს ჩვენი ამბორი ჩოგბურთის მოედანზე? ოჰ! ვხედავ, დაგაფრთხეთ, მაინც კენეი დარჩით. დარწმუნებული ვარ, რომ ერთგული მეუღლე იყავით.

— საოცრად ერთგული, უმწიკვლო.

— მთელი ათი წელი... საწყალი ანტუანი!.. და თქვენ ბედნიერი იყავით?

— საოცრად ბედნიერი.

—მაშ, ყველაფერი კარგად ყოფილა, ჩემო პატარა ანტუან... თუმცა საკვირველი ის არის, რომ ბედნიერებისა არაფერი გეტყობათ.

— რაზე მამჩნევთ?

— არ ვიცი, რაღაც გაღიზიანებული, გაჯავრებული, უსაქმური მეჩვენებით. თქვენ ხომ პონდელერელი კენეი ხართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუხებით აქტიური წინამძღვარი იყავით, აქ კი, როცა ჩამოშორდით მეგობრებს, თავი მიანებეთ თქვენს პროფესიას, საკუთარი ცხოვრება ცოლის გემოვნებას დაუმორჩილეთ. არა მგონია, არ ნანობდეთ.

— თავდაპირველად შესაძლოა ვწუხდი, მაგრამ ჩემი საქმე გამოვნახე. ყოველთვის მიყვარდა ისტორია... ვმუშაობ, რამდენიმე წიგნიც გამოვაქვეყნე. მათ, მგონი, მოწონება ხვდათ წილად.

— მგონიო? ისინი ხომ შესანიშნავი წიგნებია, განსაკუთრებით „ლუი XI“.

— წაგიკითხავთ?

— კი, თანაც განა ერთხელ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეც მიყვარს ისტორია და მეორე იმიტომ, რომ თქვენ გეძებდით. მე თქვენ გამაოცეთ. თქვენ ხომ ჩინებული მწერალი ხართ, ანტუან! არა, არ ვაზვიადებ. გამოგიტყდებით, გა-

მაბრაზა ფრანსუაზის საქციელმა, როცა ვახშამზე ჩემი ქმარი რამდენჯერმე შეეცადა ამ თემაზე ჩამოეგდო ლაპარაკი, ფრანსუაზმა კი შეაწყვეტინა. იგი უნდა ამაყობდეს თქვენი წარმატებით...

— არა, საამაყო არაფერია, თუმცა მართალია, ფრანსუაზს სრულიადაც არ აინტერესებს ეს ჟანრი. იგი უფრო რომანებს ეტანება. ამავე დროს თავის კაბებზე უნდა იფიქროს, თავის ბალზე!.. საკუთარი გემოვნებით შეარჩიოს, გალამაზოს. წარმოიდგინეთ, აი, ამ ყვავილების პატარა ბუჩქსაც მისი ხელი ატყვია. მას შემდეგ, რაც კრიზისი პონ-დე-ლ'ერს მოადგა, ცოტა არ იყოს გაგვიჭირდა. ფრანსუაზი თვითონ აკეთებს ყველაფერს.

— ფრანსუაზი აკეთებს ყველაფერს! ფრანსუაზს ასეთი გემოვნება აქვს! რა სასაცილოა ის ადამიანი, ვისაც ეს სჯერა. საოცრად თავმდაბალი ხართ, ანტუან! ფრანსუაზს ჯერ კიდევ ქალიშვილობისას ვიცნობდი. მას ბევრად უფრო ცუდი გემოვნება ჰქონდა, ვიდრე დღეს. ყოველ შემთხვევაში, ლამაზი ნივთებისა და ზიზილ-პიპილებისადმი პასკალ-ბუშეების გადაჭარბებული სიყვარული მოსდგამდა. ჰოდა, ის თქვენ ჩამოაყალიბეთ, მიაჩვიეთ სადა ხაზებს, წესრიგს... კაბა, ამ სალამოს რომ აცვია, ლამაზია, შესანიშნავად შერჩეული, მაგრამ არ დაივიწყოთ, ჩემო ძვირფასო, რომ ეს „სშიაპარელის“ მოდების სახლის ნამუშევარია. ისე კი გემოვნების დახვეწა არც ისე ძნელია.

— ცდებით, საბინა... კაბა თვითონ ფრანსუაზმა შეიკერა, ეგ იყო, მოსამსახურე წაიხმარა.

— ოჰ! არა, ჩემო პატარა ანტუან, ქალებს ვერ მოატყუებთ ამ ზღაპრებით. არსებობს თავის დაძვრენის ათასი ხერხი. აბა, სხვაგან სად ნახავთ ასეთი გემოვნებით შერჩეულ ოქროს ღილებს ასეთ მუქ მტრედისფერ ქსოვილზე... იქნებ ეს უმნიშვნელოა...

— სამწუხაროდ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გგონიათ. მე უკვე გითხარით, რომ ადრინდელი შემოსავალი აღარა გვაქვს. წავიდა ის დრო! პონ-დე-ლ' ერი აღარაფერს მაძლევს და ბერნარიც იწერება, შეიძლება რამდენიმე წელს ასე გაგრძელდესო. ჩემი წიგნები კარგად საღდება, ათასში ერთხელ წერილებსაც ვბეჭდავ. ასე რომ საწყალ ფრანსუაზს არავითარი საშუალება არა აქვს ასეთ ცნობილ მოდების სახლებში შეკეროს ტანსაცმელი.

— მაშინ სასწაული ყოფილა, ჩემო პატარა ანტუან, დაუჯერებელი სასწაული! ისლა დამრჩენია, თავი დავხარო. სხვათა შორის, მეც მებრალებოდა ყოველთვის ფრანსუაზი. ვერაფრით გამიგია, რატომ არ უყვარდათ იგი?

— როგორ, არ უყვარდათ?

— იგი სძულდათ, განა თქვენ არ იცოდით? საოცრად გამიკვირდა, როდესაც ნიცაშიც იგივე მითხრეს, რასაც პონ-დე-ლ'ერში ლაპარაკობდნენ.

— რაში ადანაშაულებდნენ?

— თითქმის ერთსა და იმავეში... ეგოისტია, მედიდური, მამაკაცებთან ამაყი, ქალებთან ორპირი, ძალზე გულჩახვეულიო. გარდა ამისა, თავდაჭერაც აკლია... მე მას ყოველთვის ვუთმენდი, მაშინაც კი, როდესაც ერთად ვსწავლობდით სენ-ჟანში. სულ ვამბობდი, „ფრანსუაზ პასკალ-ბუშე სინამდვილეში ბევრად უკეთესია, ვიდრე თავს გვაჩვენებს-მეთქი. ეს მხოლოდ მისი არაბუნებრივი კილო და არასასიამოვნო ხმაა, მის წინააღმდეგ რომ გამხედრებთ-მეთქი“.

— თქვენი აზრით, მას არასასიამოვნო ხმა აქვს?

— ანტუან!.. თუმცა ათი წლის შემდეგ, ცხადია, ამას ველარ შეამჩნევთ.

სხვათა შორის, ეს მისი ბრალი არაა. არა, მე არ ვსაყვედურობ, უბრალოდ ვერ შევგუებივარ იმას, რომ ქალს თქვენისთანა ქმარი ჰყავდეს და კიდევ...

— რა კიდევ?

— არა, არაფერი...

— საბინა, თქვენ უფლება არა გაქვთ ჩემთან ასეთი საუბარი წამოიწყოთ და აღარ დაასრულოთ. იქნებ იმასაც ამბობენ, ფრანსუაზს საყვარლები ჰყავსო?

— თქვენ გულით მეკითხებით, ანტუან?

— დიახ, გულით, მერწმუნეთ.

— კარგად მოგეხსენებათ, ძვირფასო, რომ ლამაზ ქალებზე ამგვარს ხშირად ლაპარაკობენ, მაგრამ ვინ იცის? ხომ გაგიგონიათ: ქურდმა ერთი ცოდვა ჰქმნა, დამკარგავმა ათასი... ფრანსუაზი წინდაუხედავია, პონ-დე-ლ'ერში კი მას ხმა დაუგდეს, ვითომ თქვენს ძმას ჰყვარობდა.

— ბერნარს?

— დიახ, ბერნარს.

— სისულელეა და მეტი არაფერი, ბერნარი პატიოსნების განსახიერებაა.

— მეც ყოველთვის ამას ვამბობდი. ფრანსუაზმა არ იცის, რა დამცველი ვყავარ! ეს რა ბუჩქია, მთვარის თეთრ შუქზე რომ ელავს?

— ჰერალდიკური შროშანა.

— მომაჯადოებელია. სახარების ვაზია, არა?

— არა, არა მგონია. გინდათ დავბრუნდეთ?

— ძალიან ჩქარობთ, ანტუან, მე სიამოვნებით დავრჩებოდი მთელ ღამეს თქვენთან ერთად ამ ბაღში.

— რაღაც შემცივდა.

— მომეცით ხელი. ვაი, მართლაც გაყინული გაქვთ! არ გინდათ ჩემი მოსასხამის ნახევარი მოგახუროთ? გეგონება, ასე გვერდიგვერდ გაგვეტარებინოს ჩვენი ცხოვრება... არასოდეს გინატრიათ, ანტუან?

— რა გინდათ, რომ გიპასუხოთ, საბინა? თქვენ ბედნიერი ხართ?

— ძალიან, ისევე, როგორც თქვენ, ჩემო საწყალო ანტუან. ესე იგი, სასოწარკვეთილი... იმ ბილიკს მივყვებით, მაღლა რომ მიდის, ასე არ არის? თქვენთან შემიძლია გულახდილი ვიყო. დიდხანს სიკვდილს ვნატრობდი, ახლა კი არა მიშავს რა, თავს ვიმშვიდებ. თქვენც ასევე?

— საოცარი გულთმისანი ყოფილხართ, საბინა...

— არ დაგავიწყდეთ, ოდესღაც მიყვარდით, ანტუან! ამიტომ სიფრთხილე გმართებთ. შეგიძლიათ ხელი მომაშველოთ? საშინელი აღმართია. მითხარით, ანტუან, როდის აღმოაჩინეთ, თუ რას წარმოადგენდა ფრანსუაზი? როდის შეიცანით მისი ნამდვილი ბუნება?.. ქორწინების დროს თქვენ იგი თავდავიწყებით გიყვარდათ.

— საბინა, ეჭვი არ მეპარება, რომ ამჟამად ჩვენ შორის არავითარ გაუგებრობას არა აქვს ადგილი, მინდა გამიგოთ... დღესაც კი ერთგული ვარ ფრანსუაზის, თუმცა სიტყვა „ერთგული“ ის სიტყვა არაა. მე მიყვარს ფრანსუაზი. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ჩვენი ქორწინების პირველი ორი წელი მართლა სიყვარულისა და თაყვანისცემის წლები იყო.

— ნუთუ?

— რა ნუთუ? არა, არა! საბინა, თქვენ აჭარბებთ, თქვენ ვერ წამართმევთ

ჩემს მოგონებებს. ფრანსუაზმა მაშინ დამიმტკიცა, როგორი ერთგულია ჩემი და როგორ ვუყვარვარ. ამას ბრმაც კი დაინახავდა! ჩვენ ერთმანეთისათვის ვარსებობდით. მარტოობაშიც ბედნიერები ვიყავით... არ გჯერათ ჩემი? ბოლოს და ბოლოს, საბინა, ხომ ვიცი, რას ვამბობ. მე ვიყავი მის გვერდით... თქვენ ხომ არა.

— თქვენზე ადრე მე ვიყავი, ჩემო საწყალო მეგობარო... თქვენს მეუღლეს მე ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვიცნობ. მისი და ელენ და თვითონაც ჩემთან ერთად იზრდებოდნენ. თითქოს ახლაც ვხედავ ფრანსუაზს სენ-ჟანის ეზოში ჩოგნით ხელში, მე და ელენს რომ გვეუბნება: „საჭიროა უფროს კენეიეზე გავთხოვდე და გავთხოვდები კიდევაც“.

— ეს შეუძლებელია, საბინა. პასკალ-ბუშეებსა და ჩვენს ოჯახს შორის ყოველთვის უთანხმოება სუფევდა. ფრანსუაზი მე არ მიცნობდა. ჩვენ, ჩვენ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. მაშინ მე შვებულებაში ვიყავი, რომ მემკურნალა.

— შემთხვევით? ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თქვენ ასე უნდა გგონებოდათ. მაგრამ ახლაც მახსოვს, ფრანსუაზი რომ მიყვებოდა, რა დღეში ჩავარდნენ... სინამდვილეში, ომი რომ დაიწყო, მათი მამა, ბატონი პასკალ-ბუშე გაკოტრდა. იგი თავაშვებული მოქეიფე და გატაცებული კოლექციონერი იყო. მისთვის მხოლოდ ეს ორი სიამოვნება არსებობდა. ქალიშვილები მამას ფაშას ეძახდნენ და მართლაც ზედგამოჭრილი იყო ეს სახელი... „ყვავილნარის“ სასახლის აღდგენამ იგი საბოლოოდ გააკოტრა... „ჩემო გოგონებო, — უთხრა მან ელენსა და ფრანსუაზს, — ორად ორი ოჯახია ამქვეყნად, ვისაც ჩვენი ხსნა შეუძლია: თიანჟებისა და კენეიების ოჯახი“. დებმა შეასრულეს მამის რჩევა!

— ვინ გითხრათ?

— თვითონ დებმა მითხრეს.

— თქვენ მე ამას ახლა მეუბნებით?

— არ შემეძლო მეგობარი გამეცა... თანაც არ მინდოდა მისთვის უკანასკნელი იმედი წამერთმია... პონ-დე-ლ'ერში და გინდაც დუვიელში ფრანსუაზს ხომ თქვენისთანა დონ კიხოტის გარდა არავინ შეირთავდა. შეძლებულ ოჯახებს არ უყვართ გაკოტრებულები.

— მაგრამ ბატონი პასკალ-ბუშე არასოდეს გაკოტრებულა...

— მართალია, მაგრამ საკითხავია, რატომ? ომის დროს მთავრობა დაეხმარა სიძის, მორის დე თიანჟეს თხოვნით. ის დეპუტატი იყო, ომის შემდეგ კი... ჩემზე უკეთ იცით, თქვენი პაპის გარდა არავინ დახმარებია. სწორედ ამაზე ოცნებობდა... ოჰ, აქაც რა საუცხოო სურნელება დგას... ტერასას მივუახლოვდით... ცოტა ხანს შეჩერდით, ანტუან, ძლივს ვსუნთქავ.

— ფერდობზე რომ ამოირბინეთ, ეს იმიტომ...

— ხელი დამადეთ მკერდზე, ანტუან, გული ამოვარდნაზე მაქვს... ცხვირსახოცი გამომართვით, ტუჩები მოიწმინდეთ. ქალები აუტანლები არიან... მაშინვე ამჩნევენ პომადის კვალს... არა, თქვენი ცხვირსახოცით არ მოიწმინდოთ. მაჩვენეთ!.. ასე გინდ გაგიწმენდიათ, გინდ არა. თქვენ რომ ასეთი ქმარი არ იყოთ, აქამდე გეცოდინებოდათ... მარცხენა მხარესაც მოიწმინდეთ, შეიძლება კვალი იქაც დავტოვე... კარგია... ახლა კი თამამად შეგვიძლია სინათლეზე გამოვჩნდეთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ სტუმრები წავიდნენ. ქალები ნაზად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

როდეზიის მატარებელი

მოთხრობა

გადმოიქართულა სოლომონ დემურხანაშვილმა

ბისკიდურზე მატარებელი გამოჩნდა. კარგად რომ მოახლოვდა, აგურით ნაშენი პატარა შენობიდან, წაწვეტებული სახურავი რომ ჰქონდა, სადგურის უფროსი გამოვიდა. იგი ახლად გაუთოებულ რკინიგზელის ტანსაცმელში იყო გამოწკეპილი. მტვერში ამოგანგლული აფრიკელი ვაჭრები, მოუთმენლად რომ ელოდნენ მატარებელს, ერთად აფუსფუსდნენ. ვიღაცის ტომრიდან ხისგან გამოთლილ ნადირს ამოუყვია გასაოცარი დრუნჩი. თიხით შელესილი ქოხიდან, გარს რომ ხრიოკი ბალი ევლო, შავკანიანი ბიჭები გამოცვივდნენ და ქათმები ააკრიალეს. ის ბიჭები შავ, გაძვალტყავებულ ჩონჩხებს წააგავდნენ.

სადგურიცა და კრაალიც[1], თუნუქით გადახურული ქოხიცა და კიდით კიდემდე გადაჭიმული ეს ქვიშნარიც მოელვარე დაისში ჩაიძირა. ხოლო მიწა დიდპატარა ჩრდილის რგოლებით აჭრელდა.

ზღვას წააგავდა ეს ვეება მოელვარე სამყარო გრილი ქვიშისა. იგი ახლა ბავშვების შავ ტერფებს ფსკერზე იწებებდა. ისინი კი მაინც მირბოდნენ და მირბოდნენ, ღრმა ნაკვალევს სტოვებდნენ ქვიშაზე.

სადგურის უფროსის ცოლი თავისი სახლის აივანზე იჯდა. პირბადე ჩამოეფარებინა, ქინქლას რომ არ შეეწუხებინა და დაისს გაჰყურებდა. მის თავთან, თითქოს ორპირი ქარი უბერავსო, ისე ქანაობდა ცხვრის მსუქანი ბარკალი.

სადგურზე კი ელოდნენ და ელოდნენ მატარებელს.

და აგერ ისიც, როდეზიიდან მომავალი მატარებელი! მან პირდაპირ ცას შეჰბლავლა, მოვდივარო, მაგრამ პასუხი არსაიდან იყო. ამაოდ შთაინთქა მისი ხმა.

---

[1] კრაალი — აფრიკული სოფელი.

თვალისმომჭრელად აბრდღვიალდა ვეება ორთქლმავალი, ზლაზვნით მოიქნია ტანი და ლიანდაგები დადრიკა. შემზარავი ღრიალითა და ღრჭიალით დამუხრუჭდა მატარებელი, მთელი სადგური დაფარა და გაჩერდა, ხვნეშით მოითქვა სული.

— აბა, ერთი ეგ მაჩვენე! — ახალგაზრდა ქალმა თავი გადმოჰყო ვაგონის ფანჯრიდან.

— ესა? — გაიღიმა ბერიკაცმა და თავის ნახელავს დახედა. რუხი, გამხდარი ხელებით ასწია წნული კალათა.

— არა, ეგ არა, — უპასუხა ქალმა, თან აფრიკელისაკენ გადმოიხარა, ძველი პლედის ნაგლეჯი რომ ჰქონდა მოხვეული. — აი, ის, ის...

მან ხმელი ხისაგან გამოთლილ ლომზე მიუთითა,

ჰერალდიკური ლომი იყო, შავ-თეთრი, სადა, ლამაზად გამოთლილი. მოხუცმა დიდი მოწიწებით გაულიმა და ისე გაუწოდა ქალს, მაგრამ მისი ღიმილი ნაძალადევი იყო, ეგებ მუშტარი მოვიზიდოო. ლომის დაღებული ხახიდან თითქოს ღრიალის ხმა მოისმოდა (მადლი ღმერთს, რომ ეს მოჩვენება იყო), ხოლო კბილებშუა შავი ენა მოუჩანდა.

— შეხედე, — თქვა ახალგაზრდა ქალის ქმარმა, — აი, ლომიც ასეთი უნდა!

ლომს კისერზე კურდღლის ტყავი ჰქონდა შემოხვეული. ნამდვილი ფაფარი იყო, დიდებული. მაშინვე მიხვდებოდი, რომ ეს მხატვრის გემოვნება გახლდათ, მისი საკუთარი შემოქმედების ნაყოფი.

მატარებელს ასდევდნენ და ჩასდევდნენ შავკანიანი მხატვრები, მტვერსაც არ ერიდებოდნენ, წელში წყდებოდნენ, ფეხის წვერებზე იწევდნენ, ოღონდ მგზავრებს კარგად დაენახათ მათი გასაოცარი საქონელი: აგერ ის ირემი, ხიფათის მოლოდინში რომ დაყურსულა და ნახტომისათვის გამზადებულა, ანდა მსხვერპლზე თავდასასხმელად შემართული ვეფხვი, ანდა წელში გამართული ჯარისკაცები, ხელში შუბები რომ უჭირავთ და კეთილი თვალებით იმზირებიან.

— რას აფასებ? — ჰკითხეს მგზავრებმა ბერიკაცს.

— ერთი პენია მიუგდეთ! — დაუძახეს ყმაწვილებმა. მათ გასაყიდი არაფერი ჰქონდათ.

ძაღლებიც მოწანწალდნენ და ვაგონ-რესტორნის ქვეშ დაყუნცდნენ, საიდანაც ჩახრაკული ხორცის სუნი გამოდიოდა. ისხდნენ მშვიდად ძაღლები და ყნოსვით ტკბებოდნენ.

ჰაერში გაწვდილან რუხი, შავი და თეთრი ხელები, ერთმანეთში ცვლიან ფულს, ნივთებს, ხმაურობენ, ვაჭრობენ. აგერ მშვიდად ჩაიარა რკინიგზელმა, ამ აყალმაყალს ყურიც არ ათხოვა, ვაგონის თვლებთან მივიდა და დაუკაკუნა, გულისყურით შეამოწმა. მერე ძაღლებს ჩაუარა და ვაგონ-რესტორანი შეათვალიერა. ვაგონის ფანჯრებში ადამიანთა თავები მოჩანდა. ისინი თეთრ ვაზაში ჩადგმული თაიგულებით მორთულ პატარა მაგიდებს ორივე მხრიდან უსხდნენ და ლუდს შეექცეოდნენ. მატარებლის ბოლომდე გავიდა რკინიგზელი, და სავაჭლოდ ვაგონთან შეჩერდა. სადგურის უფროსი და მემანქანე რაღაცაზე ლაყბობდნენ. რკინიგზელი შეეხმიანა, მათაც გაიცინეს. ორმა ბავშვმა, პური რომ მიჰქონდათ, ქვიშაზე ჩაიქროლეს, მერე რკინის ჭიშკარში შეცვივდნენ და ხრიოკ ბალში გაუჩინარდნენ.

მგზავრები ვაგონის ფანჯრიდან კუპემდე მიმოდიოდნენ, ფუსფუსებდნენ, ფულს ახურდავებდნენ, ერთმანეთს უხმობდნენ და ისევ ფანჯრებთან მოდიოდნენ, ბაქანს თვალს მოავლებდნენ და ქრებოდნენ.

— ბავშვებს ფორთოხალი არ აწყენთ... აი, ეს შოკოლადი კი რაღაც ძველსა ჰგავს...

გოგონამ, აქაოდა შოკოლადზე ეჭვი გამოთქვესო, კოლოფი გახსნა და ძაღლებს გადაუგდო, მაგრამ ქათმებმა დაასწრეს, თვალის დახამხამებაში შესანსლეს შოკოლადი. ისე სწრაფად დააფრინდნენ, რომ ძაღლებმა განძრევაც ვერ მოასწრეს, — აზრზეც ვერ მოვიდნენ, რა მოხდა.

— არ გინდა, ნუ იყიდი! — უთხრა ახალგაზრდა ქალმა ქმარს, წარბი შეკრა, თავი გააქნია და ლომი კვლავ მოხუცს დაუბრუნა, — ძალიან ძვირია, ძვირს აფასებ, — მოხუცს ფეხი არ მოუცვლია, იქვე იდგა. — არ გვინდა, არა, — თავს აქნევდა ქალი.

— სამნახევარი? — ხმამაღლა, დაჟინებით ჰკითხა ქმარმა.

— კი ბატონო! — გაიცინა მოხუცმა.

— სამნახევარი? — ურწმუნოდ გაიმეორა ქმარმა.

— თავი გაანებე, თუ ღმერთი გწამს! — შეაჩერა ცოლმა.

კაცი გაჩუმდა. მერე ცოლს მიუბრუნდა:

— შენ ხომ მოგწონს?

— არც ისე, დიდი არაფერია.

მოხუცმა აფრიკელმა თავი გვერდზე გადასწია, ლომი გამოართვა და ცერად გადახედა ცოლ-ქმარს.

— სამნახევარი, — ჩაიბუტბუტა ქმარმა, მოხუცს გამოაჯავრა.

ქალი ფანჯარას მოსცილდა. კუპეში შევიდა და სკამზე დაჯდა. მისი ფანჯრიდან, მატარებლის ერთ მხარეს, უდაბური სივრცე ჩანდა, ქვიშნარი, ეკალბარდებიანი. მეორე მხარეს კი, კარებში აყუდებული მისი ქმრის ზურგს უკან, ბაქანი ცოცხლობდა, ხმაურობდა. ვაჭრობდნენ ხის სათამაშოებით, ვაგონის ფანჯრებს უტრიალებდნენ ფეხშიშველი შავკანიანები. ქალმა თვალი მიაპყრო სადგურის შენობის წვეტიან სახურავს. გაახსენდა ლომი, კისერზე ბეწვის ნაჭერი რომ ჰქონდა შემოვლებული, და გაეღიმა. მაგრამ რა ექნა, ირმები, სპილოები, ბეჰემოტები იმდენი დაუგროვდა, რომ ჩემოდანში ველარც კი ეტეოდა. ნეტავ დაშვენდებიან ისინი სახლს? სად მიაქვს, რომ მიაქვს? ნუთუ არ დაჰკარგავენ თავიანთ რაობას, საკუთარ სამყაროს რომ მოსწყდებიან? იმ ზღაპრულ სამყაროს, ამ ბოლო დღეებში რომ იხილა ქალმა. მაგრამ ის კაცი, ბაქანზე რომ იდგა? არა, ის აღარ იყო ჯადოსნური ზღაპრის გმირი, ის ახლა თავით ფეხებამდე ჩვეულებრივი მიწიერი არსება იყო. საოცარია.

სადღაც სულის სიღრმეში ღვიოდა რწმენა, რომ მასთან შეხვედრა იმავე სასიხარულო დღეებისა და იმავე ჯადოსნური ადგილების ნახმევი იყო.

ზარს ჩამოჰკრეს, ვაგონისაკენ პირმოქცეულმა სადგურის უფროსმა ალამი აღმართა. ბაქანზე სასეირნოდ ჩამოსული მგზავრები ვაგონის კარებს ეცნენ. ერთმანეთს შველოდნენ ასვლაში. ისინი უკვე მოწყვეტილნი იყვნენ ბაქანსაც და ქვიშიან უდაბნოსაც.

მატარებელმა დაიქშინა. ვაგონ-რესტორანში ლუდის მსმელები უკვე ამღვრეული თვალებით იყურებოდნენ ფანჯრებიდან. სადგურის უფროსის ცოლმა მგზავრებს გადახედა პირბადიდან.

გაისმა საყვირის ხმა. ალამი დაეშვა. ვაგონები ერთმანეთს მიაწყდნენ, გაიზრიალეს და მატარებელი დაიძრა. ნელ-ნელა მოეფარა თვალს სადგურის შე-

ნობის წვეტიანი სახურავი, თვალს ეფარებოდნენ აგრეთვე მატარებელს ადევნებული აფრიკელი ვაჭრები, უკანასკნელად რომ მიაპყრეს უიმედო მზერა აუჩქარებლად ჩავლილ ფანჯრებს.

— აიღე, ბატონო, შილინგნახევრად.

ბერიკაცმა ისე გაფარჩხა ხელისგულები, თითქოს ნასროლი ბურთი უნდა დაიჭიროსო. ქალის ქმარმა ჯიბეზე გაიკრა ხელი, ორი გროში ამოიღო და ფანჯრიდან გადაუგდო.

ბიჭები ყიჟინით ეთხოვებოდნენ მატარებელს, ხოლო კუდამოძუებული ძაღლები გაშტერებული მისჩერებოდნენ ვაგონის თვლებს, დაგადუგით რომ გადარბოდნენ სახსრიდან სახსარზე.

სადგურის უფროსი მაშინვე დაბრუნდა თავის სახლში.

მოხუც აფრიკელს ქვიშაზე ფეხი დაუცურდა, თავი ძლივს შეიმაგრა. სულს რომ მოითქვამდა, ძვალ-ტყავად ქცეული ნეკნები აუდ-ჩაუდიოდა. იგი წელში გაიმართა, ჩუმად ჩაიცინა და თავი გადააქნია. გაშლილ ხელისგულზე ელაგა ქვიშაში აკრეფილი ფული, — ერთი შილინგი და ექვსი პენსი.

მატარებლის კუდმა ჩაუქროლა სადგურს.

ახალგაზრდა ქალის ქმარი კუპეში დაბრუნდა.

— აჰა! — წამოიძახა კაცმა, ნაძალადევად გაიღიმა და ცოლს ლომი წინ დაუდო. — შილინგნახევრად ვიყიდე.

— ეს რა არის? — გაოცდა ცოლი.

ქმარი ისევ იღიმებოდა.

— მე ხუმრობით შევევაჭრე მოხუცს და, როცა მატარებელი დაიძრა, ყვირილით გამომეკიდა: შილინგნახევრად წაიღეო, ბატონო ჩემო, და აი, შენი ლომი აქ არის!

ქალმა სათამაშო აიღო, ერთხანს ჩუმად დასცქეროდა პირდაღებულ ლომს, კისერზე ლამაზი ფაფარი რომ ეყარა, მერე თვალები საღლაც გაექცა, თითქოს ყურადღება სხვა რაღაცამ მოსტაცაო. გაბუტული ბავშვივით მოიღუშა, ტუჩები აუცახცახდა და ნელა, სულ ნელა ლომის ფაფარს თითი გადაუსვა.

— ეს რა ჩაიდინე? — ჩაილაპარაკა მან.

მისმა შეშინებულმა თვალებმა ქმარი დააბნია.

— ღმერთო ჩემო, — თქვა კაცმა, — რა მოხდა?

— თუ ამის ყიდვა გინდოდა, — ქალს ხმა აუკანკალდა, ხან ჩაუწყდებოდა და ხანაც ლამის ყვირილზე გადადიოდა, — რატომ ადრევე არ იყიდე? ან თუ ასე მოგეოხდა, რატომ ხამდვილი ფასი არ მიეცი. როცა ეგ ლომი შემოგთავაზა, რატომ მაშინვე არ გამოართვი? რად არბენინე მოხუცი? და თანაც რა მიეცი, შილინგნახევაო! აბა, დაფიქრდი, შილინგნახევარი.

სათამაშო ლომი ქმარს ხელებში მიაჩეჩა. ქმარი კი გაშეშებული იდგა და ხელები უმწეოდ ჩამოეშვა.

— მაგრამ შენ ხომ გინდოდა ლომი? ხომ მოგეწონა?

— ეს ხომ ნამდვილი ხელოვნებაა! — ბრაზიანად შეჰყვირა ქალმა.

— შენ ისე მოგეწონა... აკი შენ თვითონ მითხარი, ძვირად აფასებსო.

— აბა რა უნდა გელაპარაკო! — სასოწარკვეთილად ჩაილაპარაკა ქალმა.

ქმარი მდუმარედ მისჩერებოდა ცოლს. ის კი იჯდა კუთხეში, თავზე ხელი შემოედო და ფანჯარაში იცქირებოდა. ბოლმა ახრჩობდა. შილინგნახევარი!.. ჯერ ეს ძვირფასი ხე უნდა იშოვნო, მერე გამოთალო და მოაჩუქურთმო, მერე კურდღლის ბეწვისაგან ფაფარი უნდა გაუკეთო, კიდევ ეს ლონიერი ფეხები — ეს

ძარღვიანი კუდი, ეს შავი ენა, ტალღასავით რომ მოუქნევია კისერზე! ახლა ეს კბილებიც ნახე!.. და ეს ყველაფერი შილინგნახევრად გინდა იყიდო?!

იჯდა ქალი დაღონებული, არ უნდოდა არც ლაპარაკი, არც წამოდგომა — არავის დანახვა არ უნდოდა, არავის ხმის გაგონება, ეშინოდა, ვაითუ იმ ტკივილმა და უიმედობამ ისევ გაიღვიძოსო.

ვაგონში ჭვარტლი შემოდიოდა, ქალს მკლავზე ეყრებოდა, ის კი ვერაფერს ხედავდა, ქმრისთვის ზურგი შეექცია და გარინდებულიყო.

ქმარიც მუნჯივით იჯდა, ხელები მუხლებში ჩაეყარა და სავარძლის კუთხეში მიგდებულ ლომს მისჩერებოდა.

მატარებელმა დატოვა სადგური — უხსენებელი რომ დასტოვებს ძველ პერანგს — და ველზე რომ გაიჭრა, უდაბნოს ცას მიაკივლა, მოვდივარ... მოვდივარ... მოვდივარ!

პასუხი ამჯერადაც არ იყო!

წიგნიდან: „სურათეგი“

თარგმნა

მურმან ჯგუბურიამ

* * *

აქ დამირწიე შენ აკვანი, გამზრდელო ჩემო,
ამ ცისქვეშეთში შევეფარე პირველად ჩეროს;
დედოფალი ხარ, მდიდარი ხარ, თუ ხარ ბეჩავი—
არ ვიცი, მაგრამ სხვა ვინა მყავს მე ნათესავი!
ასეთი კარგი გაზაფხული სად იცის კიდევ,
ასეთი ლაღი სიხარული სადა აქვთ ჩიტებს?
აქ ვნახე შუქი, სიცოცხლეზე უფრო ნეტარი,
შორეთს მიმავალს სხვა რა უნდა წამყვეს ნეტავი?

* * *

დავტოვე მხარე ნისლისა და ხშირი წვიმების,
შენთან მოსული — მხოლოდ შენით გავიწირები,
მინდვრის ვარდები მიკავია ხელში სოველი,
თმა დაიმშვენე; აღარა ვარ მეტის მთხოვნელი,—
მე დავბრუნდები იმა მხარეს, მოვსულვარ სითა,
და ჭრიჭინების მომესმება გალობა გზიდან,
ჩავბერავ ლერწამს, სამშვიდობოს, წკრიალი ნელი
მოგესმას იქნებ, მაგრამ აღარ დაღვარო ცრემლი.

* * *

შენს სიმში — ხმაა, ჩემს კალათში — მინდვრის ყვავილი,
ქარია ნელი, მაგონდება ჟამი ჩავლილი...
არავინ იცის, ტალღა ზეცას როგორ ამუქებს,
ბორანს გადალმა მოელვარეს ვჭვრეტ სიჭაბუკეს;
იმ დღეს მეჩვენა: უსასრულო იყო ცხოვრება,
სიმღერა იგი მე ყოველთვის მემახსოვრება...

* * *

როდესაც დგება ცისქვეშეთში სიმღერის ჟამი —
ცხოვრების ჩემის ფართოვდება სიგრძე და განი,
როგორც გალობა, გარდამოდის ნათელი ციდან,
მტვერი ვარ ნათლის და გული მაქვს ცასავით წმინდა.
სულში შემოდის ელვარება ლაჟვარდი ზეცის,
ფრთები მესხმება ნიავივით მფრთონავი მერცხლის.
არ არი ფორმა, არცა ზღვარი არავითარი,
ჩემშია ყველა და ყოველი და ვარ მდიდარი.

* * *

მე აღარ ველტვი განდიდებას, ჩიხსა და პატივს,
სახსენებელიც ნუ იქნება ამქვეყნად მათი;
შენ იცი ჩემი ფარული და არაფარული,
და როცა ვტირი ცხარე ცრემლით მე საბრალული,
მე მავიწყდება ბედი ჩემი, ჩემად ხმობილი,
შენდამი ილტვის, მოწყალეო, სული ცოდვილი.
სანამდის უნდა მედგას ქედზე უღელი მძიმე?
შენს იქით სადღა ვეძიებდე ბეჩავი იმედს?
შენ განმიქარვე მიწიერი ფიქრი მწყინარი,
შენ შემიერთე მე, როგორც ზღვამ — სუსტი მდინარე,
წაიღე ჩემი განძეული, ამხსენი ტვირთი,
შენ გამინათე უსახური, ამაო ფიქრი,
შენ მიითვალე ლოცვა ჩემი, ყოვლადძლიერო,
და მარად შენთან, მარად შენთან მყავ ბედნიერი!

* * *

ვარ უსასრულო და შენი ვარ წინარე ყოვლის:
შენ დამცემ, შენვე განმადიდებ შენდამი ლტოლვით.
მე შენთან ერთად მომივლია ასე მთა-ველი,
შენა ხარ ყველგან, საითკენაც აღარ წაველი;
ჭალისპირეთში ისმის ნელი ხმა სალამურის,
უჩვეულოა ყოფნა ჩემი და საამური.

და ფეთქავს გული, როს ელვრება შენი ნათელი,
მომიდის სიტყვა ათასფერი და სანატრელი,
მუჭში მეტევა დღე ყოველი და ვამბობ ქებას, —
საუკუნეთა არ ილევა უშქარი წყება.

* * *

თუ დავიღალე, უფალო, და ვეღარ მოგყევი,
არ დამიბნელო მაინც ბეჩავს წუთისოფელი!
შიში და კრთომა მომიტევე, და სიძაბუნე,
და გული ჩემი დამიბრუნე ისევ საგულეს!
უკან მოხედვა მაპატიე შორეულ გზიდან,
შესაწირავი ჭკნება ხვატში, შუადღის ციდან
მზე აჭერს მიწას, მაპატიე ჭკნობა, ციერო,
ნულა მომიზღავ საბრალობელს სამაგიეროს!

* * *

ღამით ხმიანებს სალამური, ვარსკვლავთა წყება
მორჩილებს, როგორც საქონელი, შენეულ ნებას;
მწიფე მინდვრებში ბალახობენ შენი ჯოგები,
ყვავილებია გარეშემო და ტყის ფოთლები,
დილის ხანს ჯოგი აღარა ჩანს, ირევა მტვერი,
წავიდა ჯოგი, სალამური აწ აღარ მღერის,
ასე გავფანტე მე ამ სოფლად ჩემი ფიქრები,
მოვა ის ჟამიც, როცა ისევ შევიკრიბებით?

* * *

ყური მიაპყარ ხმობას მისას და გაიგონე,
კვლავ აპრილია და მზე ადგას გაშლილ მინდორ-ველს;
მიწა მიიწევს მაღლა, ზეცა ჩამოდის ქვევით,
საქანელაზე ირწევიან ქალ-ვაჟი ლხენით.
ასე ეხვევა ჩრდილს — ნათელი და ნათელს — ჩრდილი:
სად სიკვდილია, იქვე არი სიცოცხლე შლილი.
მწვანე ყლორტების ქვემოთ მჭკნარი ფოთოლი ყრია,
სიყმაწვილე და სიჭარმაგე ხელიხელ ვლიან.
წამი ხალისის და მოწყენის, შეყრის და გაყრის,
აპრილმა ისევ მომიტანა შვება და დარდი.
ცაში დაფრენენ მოღუღუნე თეთრი მტრედები,
ფიქრიანია დედოფალი ლურჯი ქედების;
ფარფატებს ჩრდილი, ქრება წამით და ჩნდება ისევ,
ის მავიწყდება, რაც ოდესმე მახსოვდა მტკიცედ.

და ისმის ველად სალამური, ხმიანებს მწველი,
ცხადსა და სიზმარს შეაერთებს განგების ხელი.

* * *

როგორც ვარსკვლავის როკვა ცაზე პირველყოფილი,
სავსეა ცეცხლით ტანი მისი; როგორც სოფელი,
უბრალო არი იგი თავად; როგორც პირველი
გრძნობა გულისა, ან ნაწვიმარ ველად მზირველი
თვალი რომ ნახავს ცისარტყელას ცაზე განფენილს,
ამნაირია ფერი მისი, როგორც სანთელი
კამკამებს იგი, და ციმციმი ალარ წყინდება,
ანდა ჩიტია, აწ ხის შტოით რომ გაფრინდება,
იგია თავად სიცოცხლე და თავისუფლება,
თავანი მისი არასოდეს არ ილრუბლება.

* * *

მე გამელვიძა. გადავიდა ბურუსი ნელი,
ყვავილის დარად გაიშალა აისი მწველი.
მე გამელვიძა განთიადზე, გავალე თვალი,
სადაა ურიცხვ ვარსკვლავების ნიშანი — კვალი.
რამდენმა წელმა გაიარა ქვეყნად, ნეტავი,
სადაა გმირი, უშიშარი და გამბედავი,
სადაა გვარი, ძველი მოდგმა, დროშათა მკედი,
მე გამელვიძა, მზის ნათელში ფოფინებს მტრედი.

* * *

მარტოკა ვზივარ სარკმლის პირას, სამყაროს პირას,
ირწევა ჩრდილი, ისმის ჩქამი და სხივი ბრწყინავს,
ნელი ნიავი აქანავებს ვარდების კონას,
სულშია ხმობა: მოვა ჟამი, უცილოდ მოვა!
ვიწრო ბილიკი დასავლეთის მთისაკენ მიდის,
ეზოში დგება შეღამების მსუბუქი ბინდი.
შორიდან მოჩანს და გუმბათი ლაპლაპებს ტაძრის,
უკანასკნელად იქ ვიყავი, შრიალებს ცაცხვი,
მწუხრის სიმღერა ისმის უკვე, სპეტაკი ბაგით
მზის ჩაბრძანებას უგალობებს მსუბუქი ჰანგი,
სიმღერა იგი შეაერთებს დღესა და ხვალეს,
სულშია ხმობა: ჟამი იგი დადგება მალე!

ვალენტინ კატაევი

წყარო უკვდავებისა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნეს თამარ ჩიჯავაძემ და შოთა ნიშნიანიძემ

ხვატიანი ზაფხული იდგა. დაცარიელებულ, ჩამკვდარ ქალაქში დაეკეტათ ფარდულები, დადუმებულიყო ბაზარიც, სადაც ჩამოსული გლეხები ჰაიჰარად ცვლიდნენ ფქვილს ქალაქურ საქონელზე. თამბაქო და ასანთი არსად მოიძებნებოდა.

მე გამადიდებელი შუშა მივუტანე ბუნინს. იგი ათონის ხედების ფიჭვის პატარა ყვითელ ყუთს ავაცალე, ეს ყუთი საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს ვიყიდეთ და ძალზე ძვირფას ნივთად ითვლებოდა, მესამე ადგილი ეკავა დედისეულ პიანინოსა და ლატარეა-ალეგროში მოგებული კედლის საათის შემდეგ.

მრგვალი გამადიდებელი შუშა, თითბრის კაუჭით რომ იყო ჩამაგრებული ყუთის სახურავში, ჯადოსნურად გიახლოვებდა ცნობილ მეჩეთის აია-სოფიას მინარეთებს, სკუტარის სასაფლაოს მუსულმანური საფლავების თეთრ მარმარილოს ძეგლებს, თითქმის შავ კვიპაროსებსა და მთლად უღრუბლო ლილისფერ ცას.

ჩემს საუკეთესო ქაღალდში შევახვიე ჯადოსნური შუშა და ზედ შემდეგი მადრიგალი წავაწერე:

„ძღვნად ივანე ბუნინს გამადიდებელ შუშასთან ერთად.

მოძღვარო ჩემო, ჯადოსნური მიიღეთ მინა, შიგ ცხოველმყოფელ მზის სხივებს სძინავთ. ასანთის კრიზისს და უქონლობას ანაზღაურებს მზის სხივი ასად. ამ ჯადოსნური მინის წყალობით მზეს მოუკიდეთ პაპიროსი, მზეს, როგორც ასანთს. რევოლუციის ქარიშხალმა ცა ჩამოფერთხა და მაინც დარჩა პანთეონი წარმართულ ღმერთთა, ახლა კი, ახლა ცის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2.

წყალობით, განგების ნებით თვითონ ღმერთების ჩამოგდების დროება დგება. თქვენ დიდხანს, დიდხანს ემსახურეთ ხელოვნების ღმერთს, ახლა კი თავად გემსახუროთ აპოლონ-ფები“.

ჩემს ნაწერს ყურადღებაც არ ათხოვა ბუნინმა. შავი უხარისხო თამბაქოს ნაფხვენებისაგან პაპიროსი შეახვია და თავის ნახელავს გამადიდებელი შუშით მზის სხივების ბღუჯა მიანათა, გამტვერიანებულ ფანჯარაში რომ შემოდიოდა სამარისებურად დადუმებული ქალაქიდან. წერტილის ოდენა წრეში ნაცრისფერი ბოლი გამოჩნდა — თითქოს სადღაც შორს, მინდვრად, ჩალის ზვინს წაუკიდესო ცეცხლი. ბუნინმა გააბოლა, წინ კი ნაცნობი საფერფლე დაიდგა. ახლა იგი ისე გაპრიალებული აღარ მეჩვენა, როგორც წინათ.

— ღმერთმა აგაშენოთ, — მითხრა ბუნინმა და ხელი მომიჭირა, — პირდაპირ მიხსენით და დიდად დამავალეთ!

შემოდგომაზე ისევ შეიცვალა მთავრობა, ქალაქი დენიკინელებმა დაიკავეს. და აი ერთ მოქუფრულ, წვიმიან დილას — როგორც პარიზში იცის ხოლმე — წავუკითხე ბუნინს ჩემი უკანასკნელი, გულდაგულ შესწორებული და გადათეთრებული მოთხრობა ერთ ახალგაზრდა კაცზე. ამქამად იგი სტუდენტად ვაქციე. პუშკინის გერმანის მსგავსად ჩემი გმირიც ბანქოს თამაშობდა და აკვიატებული ჰქონდა, ბევრი ფული უნდა მოვიგოო. მეორე ახალგაზრდას კი — ჩემი სიჯიუტით მე იგი მინიატურების პატარა ბულვარული თეატრის მსახიობად ვაქციე — შურდა სტუდენტის, ის კი არა და რევოლვერითაც უნდოდა მოეკლა, მაგრამ შედეგით ვერ მოკლა. რასაკვირველია, მომაჯადოებელი ბალერინაც ერია ამ ამბებში. ყოველივე ეს კი განწირულ ბურჟუაზიულ ქალაქში ხდებოდა, წითელ არმიას რომ შემოერტყა ალყა და თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ახლა რომ ვფიქრობ, მოთხრობის ერთადერთი ღირსება სოციალური განწირულების შეგრძნება იყო რევოლუციური აჯანყების წინა დღეს, როცა ქალაქის გარეუბნებსა და მუშათა უბნებში რევოლუციონერები გადამალული იარაღით იღჭურვებოდნენ, ხოლო „ფაბრიკების შავი მილების მიღმა გამოჩენილი ახალი დღის განთიადი უკანასკნელი დღის განთიადი იყო“.

ბუნინი გალაქულ მაგიდას დაყრდნობოდა და ჩუმად მისმენდა. მე შიშით ველოდი, სადაცაა სახეზე აღებეჭდება-მეთქი გაბრაზება ან სულაც გაბოროტება. მას კი თვალები მოეწკურა, სადღაც შორეთში იცქირებოდა, თითქოს მართლაც ხედავსო ფაბრიკის ვერჰარნისეული შავი მილების მიღმა რევოლუციის სისხლიან განთიადს, და არა მარტო მთელი სხეული, მისი მოდუნებული თითებიც, აბოლებული პაპიროსი რომ ეჭირათ სპილენძის საფერფლეზე, ღრმა მწუხარებას, თითქმის დაუფარავ გულისტკივილს გამოხატავდა.

— მე შევეცადე და თქვენი სიმფონიური პროზის პრინციპი გამოვიყენე, — ვუთხარი, როცა დავამთავრე. მან შემომხედა და, თითქოს თავისსავე ფიქრებს უპასუხაო, მწარედ მითხრა:

— რას იზამ, ასეც იყო მოსალოდნელი. ეს მე აღარ მგავს. თქვენ ლეო-

ნიდ ანდრეევის კვალს გაჰყოლიხართ. მაგრამ ერთი ეს მითხარით: ნუთუ თქვენი გმირივით მართლა მოჰკლავდით ვინმეს, რომ მის საფულეს დაპატრონებოდით?

— მე არა, მაგრამ ჩემი გმირი...

— ნუ სტყუით! — მკვახედ მითხრა, თითქმის დამიყვირა ბუნინმა, — თქვენს გმირს ნუ აბრალებთ! ყოველი გმირი თვითონ მწერალია.

— მაპატიეთ, მაგრამ რასკოლნიკოვი...

— აჰა, ასეც ვიცოდი. რომ ამ გვარს დამისახელებდით. მშიერი ახალგაზრდა კაცი, პიჯაკის უბეში რომ ნაჯახი დაუმალავს. იცის კი ვინმემ, რას განიცდიდა დოსტოევსკი, როცა ამ თავის რასკოლნიკოვს ქმნიდა. ჯერ მარტო გვარი რადა ღირს. მე მგონი, — ჩუმად თქვა ბუნინმა, — იმ წუთებში დოსტოევსკი თვითონ იყო რასკოლნიკოვი. ვერ ვიტან ამ თქვენს დოსტოევსკის, — მთელი გულით ამოიძახა მან. — საძაგელი მწერალია, შეჰქმნა რაღაც თავისებური, ნაძალადევი, არაბუნებრივი, დაუდევარი, გამოგონილი ენა, რაზედაც არავის არასოდეს არ ულაპარაკნია და არც ილაპარაკებს, იმეორებს და იმეორებს რაღაცას, თავს გაბეზრებს და გქანცავს გაუთავებელი ბლუკუნით. ყურით მიგათრევს და ცხვირს გატაკებინებს ამ მის მოგონილ სისაძაგლეში, რაღაც სულიერ ამონარწყევში, თანაც როგორი ხელოვნურია ყოველივე, მოგონილი და არაბუნებრივი. ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე! — ზიზღით წამოიძახა ბუნინმა და გადაიხარხარა. — აი საიდან მოდის ყოველივე, რაც რუსეთს დაემართა: დეკადენტობა, მოდერნიმზი თუ რევოლუცია. თქვენ, ახალგაზრდები, სულით ხორცამდე ხართ დაავადებული დოსტოევშჩინით, გზა ვერ გაგიგნიათ ცხოვრებაში, სულიერად თუ ფიზიკურად დაგამახინჯათ ომმა, არ იცით, რა უყოთ საკუთარ ძალებს, უნარს, ზოგჯერ უდიდეს ნიჭსაც. ეჰ, რა უნდა გელაპარაკოთ! — მან სასოწარკვეთით ჩაიქნია ხელი.

შეიძლება მსოფლიოში მან პირველმა ამოიღო ხმა დაკარგულ თაობებზე.

მაგრამ ჩვენი რუსული თაობა — ჩემი თაობა არ იყო დაკარგული. ის არ დაღუპულა, თუმცა კი შეიძლებოდა დაღუპულიყო. ომმა დაასახიჩრა, მაგრამ დიდმა რევოლუციამ იხსნა და განკურნა. როგორიც არ უნდა ვიყო, ჩემს სიცოცხლესა და ჩემს შემოქმედებას რევოლუციას უნდა ვუმადლოდე, მხოლოდ რევოლუციას.

მე რევოლუციის შვილი ვარ, შეიძლება ცუდი, მაგრამ მაინც მისი შვილი.

ეს იყო უკანასკნელი თვეები ჩვენი სამუდამო განშორების წინ. აი ბუნინის მაშინდელი ზოგიერთი შეხედულებანი, მე რომ შემაძრწუნა, რადგან საყოველთაოდ აღიარებულ აზრებს არ ჰგავდა:

— მოგეხსენებათ, რომ მთელი მისი გენიალობის მიუხედავად, ლევ ტოლსტოი ყოველთვის როდია წუნდაუდებელი. ბევრი რამ აქვს ნედლი და ზედმეტიც. მინდა ერთ მშვენიერ დღეს ავიღო, მაგალითად, მისი „ანა კარენინა“ და ხელახლა დავწერო. ჩემებურად კი არ დავწერო, — ასე

ვთქვათ — გადავათეთრო, მოვაშორო გაჭიანურებული ადგილები, გამოვტოვო რაღაც-რაღაცეები, აქა-იქ უფრო დავაზუსტო, დავხვეწო ფრაზა, მაგრამ, ცხადია, ერთი ასოც კი არ უნდა დავუმატო სადმე, ხელუხლებლად დავტოვო ყველაფერი ტოლსტოისეული. შეიძლება როდისმე მართლაც გავაკეთო, ოღონდაც როგორც ცდა, მხოლოდ ჩემთვის და არა დასაბეჭდად. თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, ასეთნაირად რედაქტირებული ტოლსტოი — ვინმე სტრახოვისა კი არა, ჭეშმარიტი, დიდი მხატვრის ხელით — კიდევ უფრო მეტი სიამოვნებით წაიკითხება და იმ მკითხველებსაც მიიზიდავს დამატებით, ვინც ვერ კითხულობს მის რომანებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სტილისტური დამუშავება აკლია.

ადვილი წარმოსადგენია, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობების რაკოჰიანტელს დააყენებდა ამ ჩემს უძალო, ახალგაზრდულ სულში ჩემი მასწავლებლის მიერ უბრალოდ, ჩვეულებრივად, ყოველგვარი მანჭვა-გრეხის ან. როგორც მაშინ ამბობდნენ — „ეპატირების“ სურვილის გარეშე გამოთქმული მისი ეს აზრები. მაგრამ ამ აზრებს შინაგანი დაჯერების ისეთი ძალა ჰქონდა, თვით ჭეშმარიტებაზე უფრო დიდ გავლენას რომ ახდენს.

***

განა შეიძლებოდა ასე ლაპარაკი დოსტოევსკისა და ტოლსტოიზე! ეს მე პირდაპირ ჭკუიდან მშლიდა. თუმცა... თუმცა ვითომ რატომ არ შეიძლებოდა? მე უკვე მაშინაც ვეჭვობდი, რომ მხატვრის ყველაზე დიდი და დასაფასებელი თვისება გაბედული, დამოუკიდებელი აზროვნებაა. ბოლოს და ბოლოს თვით დიდმა ლევ ტოსლტოიმაც ხომ არაფერს არ გაუწია ანგარიში და ყოვლად გულმშვიდად გააქიაქა შექსპირი. ტოლსტოიმ არა მარტო მისი აზრებისა და ფიქრების სიდიადეში შეიტანა ეჭვი, სასაცილოდაც აიგდო, როგორც საშუალო, უფრო ზუსტად, უვარგისი მთხზველი. ახლა ვაგნერს რა დღე აყარა, ან თანამედროვე ფრანგ პოეტებს, დიდებულ ბოდლერსა და ვერლენს! ვერც წარმოიდგენთ! თავისი სიცოცხლის მიწურულში კი ლამის პუშკინს მისწვდა. კი, კი, ამასაც აპირებდა!

მერე რა?

ტოლსტოი ტოლსტოიდ დარჩა, შექსპირი შექსპირად, ვაგნერი ვაგნერად, ბოდლერი ბოდლერად! ყველა თავის ადგილზე დარჩა. ისეთმა ბუმბერაზმაც კი ვერ შეარხია მსოფლიოს სიმები, როგორიც ტოლსტოი გახლდათ.

მაგრამ ამას გაცილებით გვიან მივხვდი, როდესაც მოვმაგრდი გრძნობებითა და გონებით. მაშინ კი ნეტარი ძრწოლვით ვისმენდი ჩემი მასწავლებლის სიტყვებს.

როცა ვკითხე, სკრიაბინზე, მის ახლებურ მუსიკაზე, მის ცდაზე — როგორმე შეერთებინა ხმა და ფერი, მის უცნურ ორკესტრირებაზე და არნახულ კონტრაპუნქტზე რას იტყვით-მეთქი, ბუნინმა დაახლოებით ასე მიპასუხა:

— სკრიაბინი? ჰმ, თქვენ გინდათ გაიგოთ, ვინ არის სკრიაბინი და რას

წარმოადგენს მისი მუსიკა, მაგალითად „ექსტაზის პოემა“? შემიძლია გიამბოთ. წარმოიდგინეთ მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი, გაჩახჩახებული ჭაღები, დიდი კომპოზიტორების ოვალური პორტრეტები, უზარმაზარი ორღანი და მის წინ სიმფონიური ორკესტრი — ვიოლინოები, პიუპიტრები, მოელვარე პლასტრონები და განთქმულ მუსიკოსთა თეთრი ჰალსტუხები. საზოგადოება — ჭეშმარიტად რჩეული: მუსიკის დიდი მცოდნენი და დამფასებლები, პროფესორები, არტისტები, მდიდრები, ლამაზმანები, ოფიცრები — მოსკოვის ინტელიგენციის ნაღები. ყველა მოლოდინს აუტანია. დარბაზი დაძაბულია, მოუთმენლობას ძლივს იკავებს. აი, დირიჟორმა ფრაკის კალთები ააფრიალა, ჯოხი აიქნია და დაიწყო სახელგანთქმული სიმფონია, თანამედროვე მოდერნისტული, დეკადენტური მუსიკის უკანასკნელი, ყველაზე უფრო რევოლუციური სიტყვა რომ გახლავთ: ჰოო... როგორ აგიწეროთ ეს სიმფონია უფრო გასაგებად? შევეცდები. ჰოდა, „მოიქნიეს ქამანები“, ვინ ალთას, ვინ ბალთას, თუმცა პირველად ასე თუ ისე მაინც არა უშავდა, ისე ისმოდა, როგორც საყოველთაოდ არის მიღებული, როგორც მოსკოვის სახელგანთქმულ კონსერვატორიას შეშვენის. და აი უცბად, სრულიად მოულოდნელად დასაკლავი გოჭივით აჭყივლდა ვიოლინო: „ვ-ი-ი-ჰ, ვ-ი-ი-ჰ!“ — ბუნინმა გაბოროტებული სახე მიიღო და ყოვლად მოურიდებლად აჭყივლდა. — მერე კი შემზარავად, გამგმირავად იბღავლა საყვირმა...

— იოან, შენ მთლად გადაირიე, — წამოიძახა ოთახში შემოვარდნილმა ვერა ნიკოლაევნამ. ყურები ნეკებით დაეცო.

— არა, მე გასაგებად ვუხსნი სკრიაბინის „ექსტაზის პოემას“, — ცივად უთხრა ბუნინმა და გამგმირავი მზერა მომაპყრო. — თქვენ კი, ცხადია, აღტაცებული ხართ „ახალი მუსიკით“, როგორც დოსტოევსკისა და ლეონიდ ანდრეევის თაყვანისმცემელ ახალგაზრდა პოეტს შეეფერება, არა?

— მე სკრიაბინის სიმფონიური ნაწარმოებები არასოდეს მომისმენია, საფორტეპიანო კი ძალიან მომწონს, — ვთქვი გაბედულად (ის კი არა და მოთხრობის დაწერას ვაპირებდი, სადაც მთავარი გმირი სკრიაბინის პრელუდიას უკრავს), მაგრამ ბუნინის გესლიან სახეს რომ შევხედე, ყოყმანით დავუმატე:

— თუმცა შეიძლება ჩემმა გმირმა გრიგიც დაუკრას...

— იქნებ ჩაიკოვსკიც? — რაღაც უცნაურად მკითხა ბუნინმა.

— რასაკვირველია, ჩაიკოვსკიც შეიძლება, — ვუპასუხე მე.

— მაშ, მაშ, — თითქოს სიხარულით წამოიძახა ბუნინმა. — გრიგი ან ჩაიკოვსკი, ლევიტანის სევდიანი ბუნება, ჩეხოვის მსუბუქი იუმორი... გმირი ქალი, რა თქმა უნდა, ყოფილი მსახიობია. გაყვითლებული ფოთლები, მარტოობა, აკვარელის საღებავები...

და უცბად მოულოდნელად დაუმატა:

— ანდერსენი გიყვართ?

— დ...იახ.

— ასეც მეგონა. ვერა, ამას თურმე ანდერსენი უყვარს. ახლა ანდერსენია მოდაში, ის კი არა და ალექსანდრე გრინსაც დიდი გასავალი აქვს. ჰოდა, როცა თქვენი მოთხრობის წერას დაიწყებთ, გრიგის, ჩაიკოვსკის, ლევიტანისა და ჩეხოვის გარდა ანდერსენიც არ დაივიწყოთ: მოიხსენიეთ საწყალი კალის ჯარისკაცი, დანახშირებული ქაღალდის ვარდი ან რაღაც

ამის მსგავსი. თუ მოახერხებთ, გრინის ჩიბუხიანი კაპიტანიც მიუმატეთ. ატმის ნაყენის სირჩაც ეჭიროს და — პროვინციელ საშუალო ასაკის ინტელიგენტ ქალებთან წარმატება ხელში გექნებათ. ო, ტყუილად იღიმებით, მოწყალეო ხელმწიფევ. სწორედ ეს ქალები, გრინისა და გრიგის თაყვანისმცემლები, უხვეჭენ მწერალს დიდებას, რომანტიკოსის, თითქმის კლასიკოსის სახელს უქმნიან. დაუჯერეთ ლიტერატურის გამოცდილ მგელს. არაერთხელ გამიხსენებთ შემდეგში. ეჰ, — შეცვალა მან უცბად კილო, — განა ამაშია საქმე? თავი და თავია, კაცმა უბრალოდ, მარტივად წერო, აი ეს ისწავლო.

— განა თქვენ მარტივად არ წერთ?

— არა, ისე არა, არა. სულ უბრალოდ, გესმით, სულ მარტივად უნდა წერო კაცმა. არსებითი სახელი, ზმნა და წერტილი. თუ აუცილებელია, შეიძლება დაქვემდებარებული წინადადება ითქმარო, ბავშვურად ნათელი, როგორც არაკი, როგორც ლოცვა, როგორც ზღაპარი. ხმაურზე ბულბული მოფრინდა. ყვავმა ყველი დაინახა. ყველმა ნერწყვი მოგვარა ყვავს, ან კიდევ ასე: „ზღაპარი თხაზე“. — და დაიწყო რაღაც ავისმაუწყებლად, იდუმალად, ყრუდ:

„ეს ვარსკვლავები კიაფობენ თუ მგლის თვალები, ყრუ შემოდგომის ღამეა შავი. შიშველი მუხა თავზე მადგას ნაგრიგალევი, ფეხქვეშ იმსხვრევა ფოთლების შვავი. შენ კი მარტო ხარ ამ ზღაპარში, ბებერო თხაო, მარტოობაა ხვედრი შენი, სასტიკი ხვედრი. ცაში ჰყვავიან და ზომავენ სამყაროს ქაოსს მგლის თვალები თუ თვალები ღმერთის“.

ცხადია, აქაც იყო სისადავე და სიმარტივე, მაგრამ ისეთი არა, რაზეც ეს წუთია ლაპარაკობდა ბუნინი. ეს არ იყო არც არაკი, არც ზღაპარი, არც ლოცვა. ეს ჰგავდა იგავს. უფრო სწორად ხილვა იყო: თხა და მგელი, თხა და მგელი ასომთავრულით, ზარდამცემი წინასწარმეტყველური ხილვა — ვერცხლით დაწერილი იგავი ზამთრის ყორნისფერ ცაზე: ვარსკვლავთა კაშკაშზე მოცახცახე შიშველი მუხა და მის ძირას მარტო, სულ მარტოდმარტო ამ სუსხიან შუაღამისას ფარას ჩამორჩენილი ეული თხა: ბებერი, ფერდებშევარდნილი რუსული ჯანდაგი თხა, ივანე ბუნინის გატანჯული, ჩამომხმარი, ბრძენი სახე მარტვილისა და ამასთან დიდი ცოდვილის ნამტირალევი თვალები რომ აქვს და ძალა არ შესწევს მზერა მოარიდოს ღვთის თვალებს, შემრისხავ თვალებს, ასე რომ ელავენ, ბოროტად ბრიალებენ ჭახჭახა ყინვაში. და ეს ძარღვმაგარი, კბილებდაკრეჭილი მგელიც თითქოს კიდევ ერთი ახალი სახეობაა ისევ იმავე ბუნინისა — ერთსა და იმავე დროს თხაც რომ არის ბუდას თვალებით, მგელიც, მსხვერპლიც, წვერწაწვეტილი ჯალათიც, მიწამდე რომ დასთრევს კავალერისტის შინელი. ეშმაკიც და ღმერთიც.

უბედურება ის იყო, რომ თავს ვერ ვუყრიდი ჩემს აზრსა და ფიქრს, — ვიძირებოდი ენით აუწერელი სიზმრების მოჩვენებით სამყაროში. ვგრძნობდი მხოლოდ, როგორ მძიმედ გუგუნებდა ჩემს ძარღვებში ცელსიუსის ორმოც გრადუსამდე გახურებული სისხლი — და ხან თხა ვიყავ, ხან მგელი,

კუდი-კუდ რომ მიჩანჩალებდნენ გატკეპნილ, ყინვისაგან გაქვავებულ ბილიკებზე.

მაგრად მაციებდა. სისხლს მიყინავდა პოლარული სუსხი. კბილს კბილზე ვაცემინებდი. სულთმობრძავივით ყელში გულისრევა მაწვებოდა, ოფის ოდენა სითბოც არ იყო გარშემო, როგორც მიტოვებულ ჯავშნოსან მატარებელში. ჩემ ირგვლივ იყო უსაზღვრო სივრცეები ყინულოვანი ოკეანისა, რომელზეც ჩრდილოეთის ციალის მძივებით ნაკერი სქელი ფარდა ლივლივებდა და კიდევ უფრო აძლიერებდა სუსხს. თვალებში კი ზუსტად ჩემ ზემოთ გაჩერებული პოლარული ვარსკვლავის ნათურა მანათებდა და თავისი სუსტი სინათლის მომაკვდინებელ მზერას არ მაცილებდა.

ერთმანეთს ცვლიდა წინასწარმეტყველური ხილვები, მე რომ მაშინვე სამუდამოდ მავიწყდებოდა. თუმცა ერთმა მათგანმა მაინც დამიტოვა სუსტი კვალი მეხსიერებაში.

...კაცი ქოშინით მირბოდა ჩოიჟინ-ლამის მონასტრის ქვით მოგებულ, გავარვარებულ ეზოებში. ეს ყველაზე სასტიკი და მრისხანე ლამა იყო, ვინც სახელმწიფო მისნის სახელს ატარებდა. ოდესღაც ჩოიჟინ-ლამამ მანჯურიის იმპერატორს შესთხოვა, სახელი მიეცა მისი მონასტრისთვის და უწოდეს მონასტერს „კეთილდღეობის მწყალობელი". ეს სახელი ახლა ამოტვიფრული იყო სამთავრო ტაძრის შესასვლელის დაფაზე მანჯურიულ, მონგოლურ, ჩინურ და ტიბეტურ ენებზე.

ამ კაცს მოსდევდნენ. იგი ტაძარში შემოვარდა. ტაძრის გარეთ თუ შიგნით ფერად-ფერად ლენტებზე ეკიდა ადამიანის მოჭრილი თავებისა და სხვა შინაგანი ორგანოების გამოსახულებანი. ეს გამოსახულებანი სიმბოლურად გამოხატავდნენ რელიგიის მტრებს და აუწყებდნენ მნახველს, რომ ასეთივე ხვედრი ელოდათ საიქიოში ურწმუნოთა და ერეტიკოსთ.

ეს კაცი რევოლუციონერი იყო და იმ ქალაქიდან გამოქცეულიყო, აჯანყებულ ლამებს რომ დროებით დაეკავებინათ. იმედოვნებდა, რომ ტაძარი იხსნიდა მას, თუკი მარცხენა რიგის იმ სკამის უკან დაიმალებოდა, სადაც ღვთისმსახურების დროს ერთ-ერთი უზენაესი ლამა—ხალიბო-ლამა იდგა, წინ კი კულტის საგნები ეწყო: ზანზალაკები, დაირები, ბობღანები, დაფდაფები, საყვირები, ნიჟარები და ფოლადის ძველებური სალოცავი კვერთხი — ოჩირი, ძალასა და უფლებას რომ ანიჭებდა ქურუმს ადამიანის სიცოცხლეზე. გარშემო სამოთხის გამოსახულება და ჯოჯოხეთის ცხელსა თუ ცივ საკირეში სიმწრით დაკლაკნილი შიშველი ცოდვილების სურათები ჩანდა. საზარელი ღმერთის ჟამსარანის მარჯნის სამი უზარმაზარი ხახადაღებული ნიღაბი დაცარიელებული თვალის ბუდეებით მიჩერებოდა დამალულს. ტაძარში შემოვარდნისას კაცმა მხარი გაჰკრა ბრინჯაოს გონგს. ჰაერში ტალღებად დაირწა ყრუ გუგუნი და წვრილი, მაღალი სურნელოვანი სანთლების ცისფერი ბოლი შეარხია.

შემდეგ გაისმა მონგოლური ჩექმების ბაკუნი, ტაძარში მტრები შემოვარდნენ და ბუდა ქალის მოვარაყებულ პატარა ქანდაკებაზე ორივე ხელით ჩაჭიდებული კაცი შეიპყრეს. ქანდაკებას მომაჯადოებელი წვრილი წელი

ჰქონდა. თხელი, თხის ტუჩებით იღიმებოდა. ქუთუთოები მზაკვრულად დაეხარა და ჩამოქნილი ფეხები ისე მორთხა, რომ მოოქროული ფეხის გულები რაღაც მანქანებით ზევით, ცისკენ ამოეტრიალებინა.

კაცი ახლა იატაკზე განერთხა, მაგრამ ჩაავლეს ხელი, წაათრიეს და ოქროსნაყშებიან ლურჯ ბოძზე მიაკრეს. თავგადახოტრილმა ლამამ კბილები გაახრჭიალა, ჩინური დანა იძრო სანდალის ხის მოსევადებული ქარქაშიდან და გულში ჩასცა რევოლუციონერს. მერე წითელი ყვავილივით გადაშლილ ჭრილობაში მოჭიდავის დაკუნთული, მხრებამდე გაშიშვლებული ხელი ჩაუყო და გული ამოგლიჯა. გაშხლართულ გვამს კი ფეხი ჰკრეს და მძორივით ჩამოიცილეს გზიდან.

ეს ჩემი გვამი იყო. ეს ჩემი გული მიაკრეს ჩინური აბრეშუმის ზონრით კონტრრევოლუციური აჯანყების დროშას და ააფრიალეს. ფრიალებდა იგი მხედრებისა და ფაფარაშლილი ცხენების თავზე, ფლოქვებით რომ სრესდნენ ყვითელ ყაყაჩოებს. ფრიალებდა ხინგანის ქედის თხემებზე და გობის უდაბნოზე, სადაც აბრეშუმივით ლბილი ჩინური ქარი დაზუზუნებდა.

...გულამოგლეჯილი ვეგდე მონასტრის გავარვარებულ ეზოში და ზედ დამცქეროდნენ მწვანე ლოკოკინებით შეხირხლული პატარა ბრინჯაოს ლომები, ბაყაყებს რომ ჰგავდნენ. სასაკმეველთა თავზე ხმელი ბალახის მწარე კვამლი მიცურავდა. მონასტრის კარიბჭის მოვარაყებულ წითელ სვეტებს შორის, ლამაზი კრამიტის სახურავი რომ ჰქონდა აპრეხილი კუთხეებითა და დადუმებული ზანზალაკებით, ბოგდო-გეგენის ყვითელმა კარეტამ გაიელვა. და იმავ წამში მე იმ რკინისგან უხეშად გამოკვერილ კოჭლ კაცად ვიქეცი, ცისკენ რომ აღეპყრო სახსრებიდან ამოგდებული და გადაჭრილი ხელები, სწორკუთხედი ტანის შუაგულში კი გაფლეთილი ნახვრეტი მოუჩანდა — მე ის ორმოცი წლის შემდეგ ვნახე ფაშისტების მიერ აფეთქებულ როტერდამის ნანგრევების გროვაში — ხოლო კუშტი ჩრდილოეთის ზღვის თოლიები განწირული კივილით გადი-გამოდიოდნენ ჩემს შენგრეულ მკერდში, სადაც გული ფეთქავდა ოდესღაც....

ო, ვინმემ რომ იცოდეს, რა სატანჯველია გულამოგლეჯილი რკინის კაც-ქალაქად ყოფნა, მარადიული უძრაობა და მდუმარება რომ აქვს მისჯილი თავისი ბეტონის კვარცხლბეკზე, და ამავე დროს ყინულზე გართხმული მკვდარიც იყო, ვის ღიად დარჩენილ თვალებში პატარა ჰოლარული ვარსკვლავი ირეკლება.

ჰოდა, როდესაც უკვე ვკარგავდი ძალ-ღონეს და ის იყო სამუდამოდ უნდა ჩავძირულიყავი ყინულის ნაპრალის უსაზომო სიღრმეში, სადაც ზღაპრულად მწვანე წყლის ყინულოვან დერეფანში „ნაუტილუსი“ მიცურავდა და გულხელდაკრეფილი კაპიტანი ნემო ხარბად ისუნთქავდა ჟანგბადის უკანასკნელ წვეთებს, მე ისეთი ციური სილამაზის ხილვები მომეჯარებოდა გარს, რომ ჩერდებოდა საცოდავი დრო მიწიერი და დგებოდა სულ სხვა, ზენარი დრო, ჩემს სხეულს რომ თითქოს სამარადჟამოდ გაუხრწნელს ხდიდა.

რაღაც სულიერ აღმაფრენას განვიცდიდი, ეს იყო „ექსტაზის პოემა“ — კიოდა საყვირი და მისი ხმა ვიოლინოთა მოგუდულ ჩურჩულს ფარავდა — ეს იყო აღმაფრენა უმაღლეს საზღვარს, უმაღლეს ნეტარებას მიღწეული და სამუდამოდ იქ დავანებული.

ხანდახან თითქოს ზედაპირზე ამოვტივტივდებოდი და ჩემს გამოფიტულ, დაუძლურებულ სხეულს შევიგრძნობდი. მეფარა ლაზარეთის თხელი საბანი და შიგ პოლარული სიცივე ატანდა.

დროდადრო შეგრძნების ძალა მიბრუნდებოდა და მაშინ მომდიოდა იოდისა და კარბოლის მძაფრი სუნი, რაიც იმ უცნაურ სივრცეს, სადაც მე ვიმყოფებოდი, უზარმაზარ მიტოვებულ ვაგზალს ამსგავსებდა — ჩემს ომისდროინდელი კოშმარების ჟმერინკას — ყრუ გუგუნით რომ იყო სავსე და ხელბარგების ზედახორა იდგა. ჩემ შორიახლოს უცბად ნაცნობ სახეებს ვხედავდი: მამას ძველი საშემოდგომო პალტო ეცვა და დედაბრის ჭრელი ხელჯაგები ეკეთა, ჩემს უმცროს ძმა ჟენიას კი, შემდეგში ევგენი პეტროვს, ჩრჩილისაგან შეჭმული აქლემის ბეწვის ყაბალახი ეხვია. ისინი ჩემ წინ იდგნენ და სასოწარკვეთით ჩამოეყარათ ხელები. მამაჩემს ღაწვებსა და ჭაღარა წვერზე ცრემლები ღვარად სდიოდა, ხოლო ჟენიას შავი თვალები სიბრალულითა და შიშით ჰქონდა სავსე.

ვგრძნობდი, რომ ეგონათ, თითქოს საცაა იმათ თვალწინ გავთავდებოდი, ან შეიძლება უკვე მოვკვდი და სხეული კიდეც გამიცივდა. მე კი ჩემი გამოფხიზლებული, მოზეიმე სული უკვე მამცნობდა, რომ კრიზისმა მშვიდობიანად ჩაიარა, რომ ახლა ვიცოცხლებ დიდხანს, იქნებ მთელ საუკუნესაც. ვგრძნობდი, როგორ მიბრუნდებოდა სიცოცხლის ძალა. მაგრამ არაფრის თქმა არ შემეძლო, გაღიმების თავიც არ მქონდა.

მესმოდა სუსტად, თითქოს ძალიან შორიდან იმათი ხმებიც, ჩემს სახელს რომ იმეორებდნენ. მაგრამ ამის გარდა კიდევ უფრო შორიდან მომდიოდა ომის ხმაურიც. იგი მამცნობდა ალყაშემორტყმული ქალაქის დათვლილ საათებსა და ევაკუაციის ამბავს, რაზეც უამრავი გემის საყვირი გუგუნებდა.

ალბათ მაშინ ტოვებდა სამუდამოდ სამშობლოს ჩემი ბუნინი!

მე კი ისევ ჩავიძირე ბედნიერი სიზმრების სამყაროში. ხოლო როდესაც გავიღვიძე, სხვადასხვა ნიშნებით მივხვდი, რომ ჩემ გარშემო უკვე სრულიად ახალი ცხოვრება დაწყებულიყო; ახალგაზრდა პოეტები წერდნენ ყველაფერზე, რაზეც მოხვდებოდათ, წერდნენ მენდელეევის „პერიოდული სისტემის“ უკანა გვერდზე, ოთხკუთხედებად რომ დაეჭრათ; წერდნენ მკრთალ ვარდისფერ, ეგრეთ წოდებულ სააფთიაქო ქაღალდზე, თხელი, სიფრიფანა და თითქმის უწონო რომ იყო, ხელში ფერფლივით გიქრებოდა და ერთ ეპოქასაც ვერ გაუძლებდა. წერდნენ ციხის დავთრებიდან ამოხეულ სქელ გამძლე ფურცლებზეც, სადაც ძველი რეჟიმის დროს აღინიშნებოდა პატიმრებისთვის შემოსული ფული და ახლაც მკაფიოდ აჩნდა ჯერ კიდევ გაყვითლებულ ქაღალდს შავად დაბეჭდილი სვეტები: „რიგითი ნომერი“, „გვარი, სახელი და მამის სახელი“, „თანხა — მან და კაპ.“, „ნებადართულია ან უარია ნათქვამი“. ეს დავთარი ბაზარზე გამოჩნდა და საწერ ქაღალდად გაიყიდა მაშინ, როცა კოტოვსკის კავალერიამ აიღო ქალაქი და ციხე არქივიანად გაანადგურა.

ახლა — იმ დროიდან ორმოცი წლის აქეთ — ვარჩევდი (თუ ვარჩევ?) დრომოჭმულ დაფლეთილ ფურცლებს, ვისთვისაც კიდეები გოგირდის მჟავასავით შემოეცვითა დრო-ჟამს.

სიმართლე რომ ვთქვა, ლექსები ისევე ცუდი იყო, როგორც მაშინ, მაგრამ ამ ქაღალდის ნაგლეჯებს შემოენახათ ჯერ კიდევ გამოუკვეთელი ჩემი ხელწერის კვალი, როგორც თავის ტვინის ქერქი ინახავს ხოლმე მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებულ შთაბეჭდილებათა ანაბეჭდებს მეხსიერების მექანიზმის მეოხებით, რის გასაღებსაც ვერა და ვერ დაუფლებია ჯერჯეროობით მეცნიერება.

რასაც მაშინ „იმ წლების აქეთ“ ერქვა, ახლა „ამ წლების იქით“ ჰქვია.

ვათვალიერებდი და ვარჩევდი საქაღალდეებში შენახულ სასწაულით გადარჩენილ სანახევროდ დამდნარ ფურცლებს და თითქოს ალალბედზე მივიკვლევდი გზას მდუმარე ქვეცნობიერების ტალანებში გაქვავებული ზმანებების ჩაბნელებულ საცავებისკენ, რომ ისინი გამეცოცხლებინა.

ჰოდა, ჩემი წარმოსახვის ძალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ უცბად გასაოცარი, თითქმის ხელშესახები უტყუარობითა და სიცხადით დავინახე ვიწრო შელესილი ქოხი. მისი ორი მესამედი ყვითელ სურნელოვან ჩალას ამოევსო, ცარცით შეთითხნილ გამჭვარტლულ ღუმელსაც ხახა დაეღო. ღუმელს კუთხეები მომრგვალებული ჰქონდა და პატარა თეატრალური სცენის პორტალს დამსგავსებოდა, რომლის სიღრმეში ხანძრის ფერია თამაშობდა და დროდადრო ანათებდა ერთადერთ მაყურებელს — ყმაწვილ ქალს, ხახვის ფურცელში შეღებილი შინ მოქსოვილი ქვედაკაბა რომ ეცვა.

იგი ღუმელის წინ იჯდა სკამზე და კოხტა, თუმცა ნაჯაფი ხელით წეწავდა ფთილას. დაძაბული შალის ძაფის ბოლოზე კი რუხი თითისტარი ცეკვავდა. გოგოს შიშველი ფეხი, ძალზე მოკლე თითები და კიდევ უფრო მოკლე ფრჩხილები რომ ჰქონდა, გულმოდგინედ ამოძრავებდა ლარტყს. ტრიალებდა ბორბალიც და ამოძრავებული ჰაერი სახეში უბერავდა გოგოს.

მოხუცი ქალი დროდადრო ჩამოცოცდებოდა ხოლმე ღუმელიდან, შავი ხელებით ბლომად მობღუჯავდა ჩალას და ხახაში ატენიდა ღუმელს.

ჩალა სწრაფად იწვოდა. ჯერ რძესავით თეთრ ბოლში გაეხვეოდა, მერე ერთ წამში ბრიალ-ბრიალით მოედებოდა ოქროსფერი ალი, თითქოს ივლისის შუადღის აუტანელი პაპანაქება რომ შემოენახა, მერე მაშინვე ყაყაჩოსფრად გაწითლებოდა, შემდეგ კიდევ ყაყაჩოს გულივით ჩაშავდებოდა და ღუმელის სიღრმეც მოსაწყენად ცარიელდებოდა, როგორც თეატრის სცენა, საიდანაც გაიტანეს დეკორაციები, უზარმაზარი ცარიელი იატაკი კი ისე მოჩანს, თითქოს ზედ არასოდეს არაფერი წარმოუდგენიათო.

ჰოდა, სულ ცოტა ხნის წინათ სიმხურვალითა და სინათლით ავსებული ვიწრო ქოხი უცბად ისე სამარესავით ბნელი და ცივი ხდებოდა, რომ ახალგაზრდა კაცი, ვისაც გაფხეკილ მაგიდაზე გაეშალა თავისი ქაღალდები ციცქნა სარკმლის წინ, ძლივას არჩევდა საკუთარ ნაწერს.

ეს ახალგაზრდა კაცი — შესახედავად ჯერ კიდევ ყმაწვილი — მე ვიყავი.

უფრო სწორად, შეიძლებოდა მე ვყოფილიყავი, ძალა რომ შემწევდეს აღვადგინო ის ჩემი შორეული, ახალგაზრდა „მე". მაგრამ რადგანაც ეს ჯადოსნური ძალა არა მაქვს, ახლა, ამ სტრიქონების წერის ჟამს, შემიძლია იგი მხოლოდ ჩემს მიმსგავსებად ჩავთვალო, არასრულყოფილ განსახიერებად ჩემი იმდროინდელი „მე"-სი — თუკი არსებობს საერთოდ დრო, რაც ჯერ კიდევ არ არის დასაბუთებული — იმდროინდელისა, ერთადერთი მატერიალური კვალი რომ დამიტოვა ამ დაფლეთილი და უვარგისი ოთხი ნომერი ფანქრით დაჩხაპნილი ქაღალდების სახით.

ის ჩემი ძველი, ახალგაზრდა „მე" უკვე აღარ არის — ვერ შემოვინახე, ფანქარიც გაილია, მაგრამ ამ ფერფლივით მსუბუქ ქაღალდზე დაჩხაპნილი ლექსები კი დარჩა. განა ეს საკმარისი არ არის?

„ჩემს სოფლელ მუზას მსხვილი ნაწნავი ძნად შემოუკრავს მშვენიერ თავზე. სიცივე დაჰკრავს მედუზასავით გლეხის ასულის ჩუმ სილამაზეს. ზამთრის საღამოს სასეირნოდ მივეშურებით, ავი კრუხივით მოქოთქოთებს გზაზე ბორბალი, ბზრიალებს მანა, მზის სხივებზე ნაელვარები და აქეთ-იქით ეხეთქება ჩრდილი ყომრალი. მე ჩუმად ვზივარ, უბრადა ვარ, ვაბოდებ ფრთხილად, ისიც ჩუმად ზის და თვალებში ჩუმად შემყურებს. გრძელდება ღამე, სუნთქვა გვიჭირს და მალე დილა თავს წაგვადგება ჩახუტებულებს".

ეგრეთ წოდებული „სამხრეთული სკოლის" გავლენით შეთხზული ეს ტაეპები მეტისმეტად მოსწონდა თვით ავტორს, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც გლეხის ასულის ჩუმ სილამაზეს მედუზასავით სიცივე დაჰკრავს.

ამ სტრიქონებს უნდა შეექმნათ წარმოდგენა პირმრგვალ სახესა და დიდრონ, თითქოსდა ცოტა უაზრო ლურჯ თვალებზე, ჩემთვის კარგად ნაცნობი შავი ზღვის მედუზის ან, თუ გნებავთ, მედუზა გორგონას ფერი რომ იყო, რაც მაშინდელი რომანტიკული დროის მითოლოგიურ სტილს ოდნავ ესადაგებოდა.

ახლა რომ ამეწერა ამ კოხტა სოფლელი გოგრუჭუნა[1] გოგოს თვალები — თუმცა რაღა საჭიროა ახლა, — უპირველეს ყოვლისა, მათ ვრუბელის პანის თვალებს შევადარებდი, მით უმეტეს, რომ, როგორც მახსოვს, სარკმლიდან ყვითელი ნამგალა მთვარე მოჩანდა. მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა: ლექსები მაინც არაფრად არ ვარგოდა, როგორც აღწერითი ლექსების უმრავლესობა, და ძირითადად ორი უკანასკნელი სტრიქონისთვის იყო შეთხზული, — ისინიც, რასაკვირველია, ყალბი იყო, რადგანაც გვიან განთიადს არასოდეს ეხილა პოეტი და მისი სოფლელი მუზა ერთმანეთს ჩახუტებულნი: უმანკო ყმაწვილ ქალს ჩვეულებრივად ღუმელზე ეძინა ხოლმე დედაბრის გვერდით. მელექსე კი თიხის იატაკზე წვებოდა მაგიდის ქვეშ გაფენილ უხეშ ტილოზე, ქათმის გამხმარი სკინტლი და ჩალის ღერები რომ შერჩენოდა, თავქვეშ ხელნაწერებით სავსე საველე ჩანთა ედო და დაბებკილი ცხვრის ტყაპუჭი ეხურა, ბალტის ბაზარზე თითქმის სულ ახალთახალ

---

[1] გოგრუჭუნა უკრაინაში პატარა, გამხმარ კვახს ჰქვია. ასე ეძახიან მოფერებით ლამაზ პირმრგვალ გოგოსაც.

ინგლისურ ფარაჯაში რომ გაეცვალა. ფარაჯა კი გუბრევკომის სამეურნეო განყოფილებიდან ჰქონდა მიღებული ს. ინგულოვის ბარათის წყალობით.

ლექსს, ახალგაზრდა კაცის აზრით, უძლიერესი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ერთ მოქალაქე ქალზე, მივლინებაში წამოსვლამდე რომ გაეცნო და არათუ მასთან რომანის გაბმა, ხეირიანად შეთვალიერებაც ვერ მოასწრო, ამიტომაც გადაწყვეტილი ჰქონდა ქალაქში დაბრუნებისთანავე აენაზღაურებინა დანაკლისი.

„მოქალაქეს“ იმიტომ ვწერ, რომ იმ ლეგენდარულ დროში რევოლუციამდელი სიტყვები, როგორიცაა „ბარიშნა“ თუ „მადმუაზელ“, გაუქმებული იყო. სიტყვა „ქალიშვილი“ კი, როგორც მიმართვა ყოველდღიურ ხმარებაში მაიაკოვსკიმ რომ შემოიტანა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოდაში და წმინდა ლიტერატურულ სიტყვად ითვლებოდა. „ახალგაზრდა არსება“ რომ მეხმარა, ძალზე დიკენსისებური იქნებოდა, ძველმოდური, ამიტომ სასაცილო და უგვანოც. „ტურფა“ კიდევ უფრო უარესი იყო, „მანდილოსანი“ შეურაცხმყოფელ-დამცინავი. „მოქალაქე“ კი სავსებით შეეფერებოდა იმ დროებას, რადგანაც ანატოლ ფრანსის წიგნს — „ღმერთებს სწყურიათ“ მახსენებდა. საბჭოთა რევოლუციური რომანების უქონლობის გამო ანატოლ ფრანსის ეს წიგნი და ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი“ გახლდათ ის რომანები, საიდანაც ვსესხულობდით მთელ რევოლუციურ რომანტიკას, ესთეტიკას და ტერმინოლოგიას.

ახლა უბრალოდ ვიტყოდი გოგო-მეთქი, მაშინ კი მხოლოდ „მოქალაქე“ უნდა გვეთქვა, უკიდურეს შემთხვევაში „ახალგაზრდა მოქალაქე“ — სხვანაირად არ შეიძლებოდა.

...გოგრუჭუნას კი ეს არ უხდებოდა...

მე—უფრო სწორად, ჩემი გმირი—წინასწარ ვტკბებოდი იმ დღით, როცა „პოეტების კოლექტივში“ ან სამხრეთ როსტას [1] „დეპეშების დარბაზის“ ესტრადაზე გამოვჩნდებოდი დავაჟკაცებული, მზემოკიდებული, შთაბეჭდილებებით სავსე. ოდნავ დამცინავი, ყოველგვარ სანტიმენტალობას მოკლებული, თუნდაც უხეში იერი მექნებოდა, შილაიაგადაფარებულ მაგიდაზე ახალი ლექსების შეკვრას დავაგდებდი და წავიკითხავდი ზეპირად — რა თქმა უნდა, ოდნავ წამღერებით — ჩემს საუკეთესო ლექსებს ჯერ ერთს ან ორს, შემდეგ კი უფასო, მაგრამ აღფრთოვანებული აუდიტორიის დაჟინებული მოთხოვნით დანარჩენ თორმეტ ლირიკულ ლექსს, საკმაოდ გრძელ რევოლუციურ პოემას, ხუთტაეპოვანი იამბით რომ მქონდა დაწერილი, და რამდენიმე ძველ სონეტს ციკლიდან „რკინა“.

არ გეგონოთ, რომ მე — ან თუ გნებავთ, ის ახალგაზრდა კაცი — შემოქმედებით მივლინებაში გახლდით სოფელში. ახალშობილი საბჭოთა რესპუბლიკა თავის ახალგაზრდა პოეტებს სულ სხვაგვარ მივლინებებში აგზავნიდა.

---

[1] Российское телеграфное Агенство — რუსეთის ტელეგრაფის სააგენტო.

იგი მივლინებული იყო „სამხრეთ როსტას“ განყოფილების მიერ რევკომის მანდატით ერთ-ერთ ყველაზე უფრო მიყრუებულ მაზრაში. დავალებული ჰქონდა ყოველდღიური ბიულეტენებისათვის რაც შეიძლება მეტი თემისა თუ სოფლის კორესპონდენტები მოეკრიბა. ამ მიზნისათვის მისცეს წინასწარ გამზადებული ბეჭდიანი ბლანკები, სადაც კორესპონდენტის გვარი უნდა ჩაეწერა: ესა და ეს „თემკორი“ თუ „სოფლკორი“. აგრეთვე უნდა გადაეცა მისთვის პატარა დაბეჭდილი ინსტრუქციაც, სადაც ჩამოთვლილი იყო მისი უფლებანი და მოვალეობანი.

უფლებანი ცოტა იყო, მოვალეობანი კი, როგორც მაშინ უყვარდათ თქმა — მთელი ვაგონი. პირველ რიგში — უშიშრად ებრძოლათ ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ ნდობის ბოროტად გამოყენებისა და რევოლუციის წმიდათაწმიდა კანონების დარღვევის წინააღმდეგ.

ინსტრუქციის სწორედ ამ პირველმა მუხლმა მიხსნა—ან, თუ გნებავთ, იხსნა ამ მოთხრობის გმირი სიკვდილისგან, რაზეც თავის დროზე იქნება ნაამბობი. რევკომის გაცემულ მანდატში უკლებლივ ყველა პიროვნებას, დაწესებულებას თუ სამხედრო ნაწილებს ევალებოდათ ყოველგვარი დახმარება გაეწიათ მანდატის წარმდგენელისთვის. მას უფლება ჰქონდა ესარგებლა ყოველგვარი ტრანსპორტით: აეროპლანით, მოტოდრეზინით, სამხედრო ეშელონებით და ორთქლმავლებითაც კი.

სინამდვილეში მივლინებულნი უმეტესად ფორნებით მგზავრობდნენ, ფორნებს კი ძალზე უხალისოდ იძლეოდნენ სააღალო ბეგარით გაწამებული ადგილობრივი ხელისუფალნი.

მე მას ჩემი ხორცი და ჩემი სული მივეცი, ჩემი სახელის მიცემა კი არ მოვისურვე, მეშინოდა, რაღაც უჩრდილო კაცად არ ვქცეულიყავი.

მას რიურიკ პჩიოლკინი დავარქვი. რით არის ცუდი სახელი რუსი ჭაბუკისათვის, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ზუსტად რევოლუციის წინ რომ დაიბადა? არავინ უწყის რატომ და, მაშინ მოდაში შემოვიდა დიდი მთავრების ლამაზი სახელები: იგორი, გლები, ოლეგი, რიურიკი, სვიატოსლავი.

ამის შემდეგ შვებით ამოვისუნთქე, მთელი ჩემი საზრუნავი სხვას დავაკისრე.

რიურიკ პჩიოლკინი მთელი დღეები ფორნით დაჯანჯღარებდა მაზრაში, მერე შეივლიდა თემის გამგეობაში, წარადგენდა თავის მანდატს და თემ-ალმასკომის თავმჯდომარეც განაწესებდა რომელიმე ქოხში. დაბინავება კი გზირის საქმე იყო. თავისი ძალაუფლების სიმბოლოს — დუდგულას ჯოხს მიუკაკუნებდა ხოლმე სარკმელს და დაიძახებდა:

— ეი, დიასახლისო, აბა, მიიღე რწმუნებული!

— თქვენ კი ამოწყდით, რაღა მე გადამეკიდეთ, სხვასთან არ შეიძლებოდა მაგის მიყვანა?

— არ შეიძლებოდა, თქვენი რიგია.

— ისემც მამა გიცხონდება.

პჩიოლკინიც ერთხანს იდგა ქოხის წინ მიწაში ჩაფლულ ბრტყელ დასვრეტილ ქვაზე, მერე რკინის რაზას გაჰკრავდა თითს, გაუბედავად გადააბიჯებდა ზღურბლს და ჩაბნელებულ წინკარში შედიოდა. შემდეგ ხელის

ცეცებით კიდევ უფრო ბნელ ქოხში შეყოფდა თავს, სადაც ქათმის ბუმბულის, თიხისა და ხორბლის ჩენჩოს მძაფრი სუნი იდგა.

როცა თვალები სიბნელეს შეეჩვეოდა, შალმოხვეულ მოხუც ქალს დაინახავდა და დარბაისლურად მოიხდიდა ქუდს გახოტრილი თავიდან. უნდოდა დამოუკიდებელი კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა, სოფლური წესები რომ იცოდა. შემდეგ მორიდებულად დახრიდა თვალებს, პირჯვარს გადაიწერდა ხატის წინ და მეტისმეტი მოწიწებით მიესალმებოდა დიასახლისს.

— ღმერთი კი ალბათ არცა გწამს, ხომ? — შეეკითხებოდა დაცინვით დედაბერი.

— მწამს, ბებო.

— ნუ სტყუი, ჩამოჯექი ძელსკამზე. ეგ იქნება შენი საწოლი.

— დიდი მადლობა.

— ერთი ამას დამიხედეთ, რა მარიფათიანია! ჯერ ტუჩზე რძე არ შეშრობია და უკვე რწმუნებულია. ბოდიში და რისი რწმუნებული ბრძანდებით? თუ პურის თაობაზე ხართ მოსული, დაგაგვიანდათ, უკვე მოათავეს ეგ საქმე, თუ შინ ნახადი არაყი გაინტერესებთ, არ ვხდით, ბატონო, მაგას არ მივსდევთ.

— არა, მე ჟურნალისტი ვარ.

დედაბერი ზიზღით აპრუწავდა დანაოჭებულ ტუჩებს.

— მაშასადამე, კანცელარიის მოხელე ხარ?

ვერც ვერა საშუალებით გააგებინებდი, ვინ არის ჟურნალისტი.

ამასობაში ღუმელიდან ფრთხილად ჩამოძვრებოდა ფეხშიშველი კოხტა გოგრუჭუნა გოგო, მკერდზე რომ ხაშხაშით სავსე ჯამი მიეკრა და თავი ისე ეჭირა, ვითომ სულაც არ აინტერესებდა ახალგაზრდა რწმუნებული, თუმცა ცნობისმოყვარეობა კი კლავდა. პირმრგვალი სახე კიტრის ნაყენით მოეზუზნა, გაღაჟღაჟებულ ლოყაზე კი, პაწია ვარდისფერი ბაგის ახლოს, კიტრის თესლი მიკვროდა.

დაახლოებით ასე იყო ყველა სოფელში, სადაც პჩიოლკინი დიდი სიამოვნებით ჩერდებოდა ერთი თუ ორი დღით, ხანდახან სამითაც კი, იმ პრინციპის მიხედვით: „ნამუსიც კაი საქონელია“.

ქალაქში ნაშიმშილევი ყმაწვილი აქ ძღომაზე მიირთმევდა ხოლმე რუხი პურის კვერებს, დამარილებული ღორის ქონის ოთხკუთხედებს, მწვანე პამიდორის მწნილს, თხელ ფაფას, ღომსა და სხვა ნოყიერ სოფლურ საჭმელებს, ბედს შეგუებული ქალები რომ უმასპინძლდებოდნენ ხოლმე ბოლოს და ბოლოს გუბერნიის ცენტრიდან ჩამოსულ მდგმურს, სადაც სურსათის წიგნაკებით ცხოვრობდა ხალხი. ამ წიგნაკებს კი წმინდა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან თითქმის არაფერს არ იძლეოდნენ იმათზე.

...ეს პერეკოპის აღების შემდეგ იყო...

იქნებ ოჯახის უფროსი კაცები ასე ალერსიანად არც მოქცეოდნენ მას, მაგრამ მარტოხელა რწმუნებულს, დაუწერელი კანონის მიხედვით, მამა-

სახლისი ყოველთვის რომელიმე ჯარისკაცის ქვრივთან ან დედაბრებთან აბინავებდა, ვინც დანატრებული იყო ოჯახში მამაკაცს. ასე რომ, თუ კვებას ვიგულისხმებთ, სოფელში მივლინება ნაწილობრივ ახლანდელი დასასვენებელი სახლის საგზურს წააგავდა.

ამავე დაუწერელი კანონის მიხედვით, თუ მივლინებული ზედმეტად რამდენიმე დღე დარჩებოდა მდგმურად, იგი უნდა დახმარებოდა ქალებს საოჯახო საქმიანობაში, გაეკეთებინა კაცის საქმე და მასპინძლის პური მუქთად არ ეჭამა.

როგორც ყველა პირწმიდა ქალაქელი, პჩიოლკინი არ იყო შეჩვეული ფიზიკურ შრომას, ასე რომ დიასახლისებს ვერაფერი ხეირი ჰქონდათ მისგან. ეს კია, რომ არასოდეს ამბობდა უარს შრომაზე, პირიქით, თვითონ თხოულობდა საქმეს, რადგანაც ეუხერხულებოდა მუქთახორობა, უხაროდა კიდეც, როცა დიდი ხნის დაგროვილ გამხმარ ნაკელს ფიწლით გადაჩიჩქნიდა და ან ზურგით გადაათრევდა ნალიაში ორ თუ სამ არც მაინცდამაინც მძიმე, ქატოთი თუ სიმინდის ტაროებით სავსე ტომარას. ესეც ბევრი იყო მისგან!

შესახედავადაც სანდომიანი ბიჭი იყო, შავთვალა. მის გადახოტრილ თავს რომ დაინახვდნენ, ქალებს ეგონათ, ახალი მოხდილი აქვს პარტახტიანი ტიფიო, ეცოდებოდათ, აჭმევდნენ და ხანდახან ზუმფარასავით მაგარი შინაური თამბაქოს მწვანე ფოთლებითაც ამარაგებდნენ. თამბაქოს იგი წმინდად ჭრიდა და აქუცმაცებდა ჯაყვით, ზოგჯერ უქალალდობის გამო სიმინდის თხელ ფუჩეჩში ახვევდა და სიამოვნებით აბოლებდა. თავის მხრივ არც პჩიოლკინი რჩებოდა ვალში; საველე ჩანთაში ყოველთვის ჰქონდა მომარაგებული პატარა შავ კონვერტში ჩაწყობილი ნემსები, ორი კოჭი ორმოცი ნომერი ძაფი, ვერცხლისფერ მუყაოზე დამაგრებული ერთი დუჟინი სადაფის ღილები თუ სხვა იაფფასიანი გალანტერია. საგანგებოდ რომ შეეძინა ოდესის ბაზარზე საქონელგაცვლისათვის. ეს მეცნიერული სიტყვა ახლა უკვე დიდი ხნის გასულია მოდიდან და მხოლოდ სახელმძღვანელოებში იხსენიება, მაშინ კი ის ღერძი გახლდათ, რომლის გარშემოც ბრუნავდა მთელი ეკონომიკა.

მოქალაქე სამუშაო ადგილზე იღებდა ულუფას და ნაწილს ისეთ ნივთებზე ცვლიდა, რაც სოფელში გამოადგებოდა სანოვაგეზე გადასაცვლელად. ნაწილს აქედან თავის სარჩენად ხმარობდა, ნაწილს ისევ იმავე ბაზარში ცვლიდა სხვა კიდევ უფრო საჭირო საქონელზე. ერთი სიტყვით, ყოველ მხრივ იყენებდა მოთხოვნილების, ფასების მერყეობისა თუ სამხედრო კომუნიზმის ეპოქის პოლიტიკური ეკონომიკის სხვა მისთანა კანონებს. ასე აგრძელებდა, სანამ საქონელი არ გაუთავდებოდა, შემდეგ კი ისევ შემოიჭერდა მაგრად ქამარს და მოთმინებით ელოდა, როდის მიიღებდა ახალი თვის ულუფას, ან კიდევ ოჯახიდან გაჰქონდა რაიმე ნივთი ბაზარზე.

სოფელში საქონლის ეს გაცვლა გაცილებით უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ქალაქში, სადაც ათასნაირი შუაკაცები, სპეკულანტები და გადამყიდველები ხალხს უსინდისოდ ატყავებდნენ. მეცნიერული ენით რომ ვთქვათ — სოფელში გაცვლა-გამოცვლა გაცილებით მეტ პროცენტს მატებდა ძირითად თანხას.

ერთი სიტყვით, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა, თუ „დიალექტიკა ჰეგელისაგან არ გვისწავლია“, არც ეკონომიკა აგვითვისებია მარქსის მიხედვით.

ისე არ იფიქროთ, თითქოს სოფელში მივლინება მხოლოდ და მხოლოდ ნეტარება ყოფილიყოს. სრულებითაც არა. ეს ძალზე სახიფათო საქმე გახლდათ, მაზრები სავსე იყო დენიკინის, ვრანგელის, პეტლიურასა და მახნოს ბანდებიდან გადარჩენილი ხალხით. ამას ემატებოდა ზაბოლოტნის, ზელიონის, ანგელოზისა თუ ვიღაც მარუსკა ნიკიფოროვას ბანდებიც, მიყრუებულ გზებზე რომ დათარეშობდნენ და თავს ესხმოდნენ მივარდნილი სოფლის საბჭოებს, ართმევდნენ საზიდრებს, ცხენებს, კლავდნენ სოფლის კომუნისტებს, გუბრევკომისა და საოლქო აღმასკომის ინსტრუქტორებს, სათესი ფართობის გასადიდებლად რომ გამოეგზავნათ ცენტრიდან. იმ ხანად ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები, მოუსავლიანი, შიმშილის წელიწადი გველისო.

ბანდები ხელს უშლიდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენას, თესავდნენ შფოთს. მათი ამოძირკვა კი ძნელი იყო. ისინი საზღვრის ახლოს დაძრწოდნენ, საჭიროების შემთხვევაში ადვილად გადადიოდნენ დნესტრზე და მეფის რუმინეთს აფარებდნენ თავს.

ისე რომ სოფლად მივლინება გადაუჭარბებლად თითქმის იგივე იყო, რაც ფრონტზე და ისიც წინა ხაზზე გაგზავნა..

ასეთ პირობებში მოქმედებდა სამხრეთ როსტას ახალგაზრდა ინსტრუქტორიც. იგი ისეთ მიყრუებულ კუთხეებში აგროვებდა თავის კორესპონდენტებს, სულიც რომ გაეფრთხობინებინა მისთვის რომელიმე ბანდას, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა.

ფანქრის გარდა სხვა არავითარი იარაღის ტარების უფლება არ ჰქონდა. კრიტიკულ შემთხვევაში თავისი მჭევრმეტყველების, მკვირცხლი ფეხებისა თუ სასწაულის იმედზე უნდა ყოფილიყო.

მივლინება დასასრულს უახლოვდებოდა. ორი-სამი თემიღა იყო შემოსავლელი და მერე ქალაქში დაბრუნებაც შეიძლებოდა.

კორესპონდენტები უმთავრესად სოფლის ინტელიგენციისგან ირჩეოდა. ესენი იყვნენ თემის მწერლები და სოფლის მასწავლებლები, ჩვენი ინსტრუქტორისთანა ახლადგამომცხვარი ყმაწვილები, სემინარიის დამთავრებისთანავე ომში წასვლაც რომ მოესწროთ მეორე თანრიგის მოხალისეებად და შემდეგ პრაპორშჩიკის ჩინიც მიეღოთ.

ერთი შეხედვით თითქოს ძნელი არ იყო ინსტრუქტორის მოვალეობა: უნდა გულღიად გასაუბრებოდი შენს თანატოლს, შეიძლება ფრონტელ ამხანაგსაც, დაგეყოლიებინა მუშაობაზე, გადაგეცა მოწმობა, მრგვალი საბჭოთა ბეჭედი რომ ჰქონდა დასმული, და ინსტრუქცია. მერე ნელ-ნელა გაჰყოლოდი შენს გზას, თვალები გეცეცებინა აქეთ-იქით, შეგეთხზა ლექსები, სალამოს კი რომელიმე ქოხში სართავი ჯარის ზუზუნში, ქონის ჭრაქისა თუ კვარის შუქზე ჩაგეწერა ისინი.

ღმერთო ჩემო, მე მახსოვს კვარი! თუმცაღა სულ ახლახან ჩვენი ხელოვნური თანამგზავრიდან მთვარის პანორამას გადმოსცემდა ტელევიზორი.

ყველა მასწავლებელი და სოფლის მწერალი ადვილად როდი თანხმდებოდა საბჭოთა კორესპონდენტობას. ზოგიერთს დიდხანს ჭირდებოდა ჩიჩინი, ზოგი კი გადაჭრით ამბობდა უარს და სხვადასხვა საპატიო მიზეზს იშველიებდა: აქაოდა, საკმარისად განათლებული არა ვარ და შეიძლება შევრცხვეო, ან არ მინდა რაიმე უსიამოვნება შემემთხვესო, ხოლო რა უსიამოვნება შემემთხვევა, თავადაც მოგეხსენებაო. ასეთი ქარაგმების შემდეგ პჩიოლკინს ხანდახან ისე გაუფუჭდებოდა გუნება, მზად იყო იმ წუთსვე გასცლოდა ამ მიყრუებულ მხარეს, სადაც კაპიკის ფასად შეიძლება უკვალოდ გამქრალიყო და ვერც ვერავის გაეგო, რომ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას შესწირა თავი!

აქამდე იგი მარტო დადიოდა ხოლმე სოფლებში. ახლა კი მაზრის აღმასკომის სატრანსპორტო განყოფილების გამგემ ეკონომიის მიზნით პჩიოლკინი რომელიღაც სხვა ამხანაგს გააყოლა. იგი რესორებიანი ბრიჩკით იყო მოვლინებული ცენტრიდან მაზრის მიყრუებულ თემში, რომ აგიტაცია გაეწია საშუალო გლეხებისა და ნეზამოჟნიკებისათვის — უკრაინულად ღარიბებს ნიშნავს — სათესი ფართობი გაადიდეთ და კულაკების გავლენის წინააღმდეგაც იბრძოლეთო.

მგონი, ისიც იმ დაუდგრომელი სერგეი ინგულოვის გამოგზავნილი იყო სოფელში.

ამხანაგი მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში იჯდა. მაგიდას ჟოლოსფერი პლუშის სუფრა ეფარა, ზედ წყლიანი გრაფინი, თასი და გაბზარული ჭიქა იდგა.

მას გადაეშალა მოსკოვის ილუსტრირებული ჟურნალი „ბეზბოჟნიკ“ — იგი ყოფილი ოდესელი ბოლშევიკი ოსოსლავსკის რედაქციით გამოდიოდა — და თვალებთან მიეტანა გასაოცარი გრაფიკული ნახატები იმ მხატვრისა, ვისაც თავისთვის უცნაური ფსევდონიმი — მოორი აერჩია. ეს იყო ღმერთი საბაოთის კარიკატურა, ძველმოდური პენსნე რომ ეკეთა, მელოტ თავზე კი შარავანდედი ადგა. მის გვერდით ეხატა კიკინებიანი რაბინი, შავზოლებიანი მოსასხამი რომ ეცვა, იქვე იდგა ჩალმიანი მოლა, ნიორს რომ მიუგავდა თავი, და ბოლოს ჩვენი მართლმორწმუნე მღვდელიც უმშვენებდათ მხარს, ლოთი კაცის თვალები და გაბუშტული ცხვირი რომ ჰქონდა. აქვე იყო დაბეჭდილი პირველი პროლეტარული პოეტის დემიან ბედნის ლექსები. ეს ისეთი თავზარდამცემი მკრეხელობა გახლდათ მაშინ, რომ არავის გაუკვირდებოდა, ცას რისხვით ეჭექა და შავი ღრუბლებიდან ჩამოვარდნილ მეხს მყის დაეფერფლა უღმერთო ჟურნალი, მისი რედაქტორი, მეკარიკატურე, მელექსე და ხელისმომწერნი.

როცა უცხოს შემოხედვა იგრძნო, ამხანაგმა ჟურნალი ძირს დასწია. აღმოჩნდა, რომ ეს გრძელცხვირა კაცი, ვისაც ოდნავ ნაყვავილარი პირისახე, წინასწარმეტყველივით ქედმაღლურად აძგიბული შეტეხილი წარბები და გაავებული მამლის თვალები ჰქონდა, მღვდელი იყო. ლითონის პენსნე

უფრო დაბლა წამოეცვა ცხვირზე, ვიდრე საჭირო იყო, შავი ზონარი კი ყურს უკან გადაეგდო.

— ჰოო, ყმაწვილო, — ჩაიდუდღუნა მან ცხვირში, — როგორც ჩანს, თქვენ განგაწესეს ჩემს თანამგზავრად? თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ მე უთანამგზავროდ, ასე ვთქვათ, სოლოდ კი მერჩივნა. მაგრამ რაკი ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ არ აქვს საკმაო სახსრები, თვითეულ მოქალაქეს საკუთარი ფორანი მისცეს, ამიტომ წინააღმდეგი არა ვარ ჩემს ჯაბახანაში დაგითმოთ ადგილი. ოღონდ გაფრთხილებთ: ვერ ამიტანია, როცა მავიწროებენ, ჰოდა, თუ წრიალს დაიწყებთ, გვერდზე მიმაჭყლიტეთ და, რაც მთავარია, ლაყბობით თავს მომაბეზრებთ. მაშინ გთხოვთ დაუყოვნებლივ დატოვოთ ჩემი ჯაბახანა და ფეხით განაგრძოთ გზა.

ეს ის „წითელი მღვდელი" აღმოჩნდა, ვისზეც უკვე გაგონილი ჰქონდა პჩიოლკინს. ახლა იგი მოხალისედ მიდიოდა შორეულ სოფლებში, რათა სათესი ფართობების გასადიდებლად აგიტაცია გაეწია. მაგრამ ამის გარდა სხვა მიზანიც ჰქონდა, რაც ცენტრისთვის უცნობი იყო: იგი ახალი რევოლუციური ქრისტიანული ეკლესიის მოქადაგე გახლდათ, ასეთი ეკლესია თვითონ შეექმნა თავის ოცნებაში. ჰოდა, გადაეწყვიტა ესარგებლა მივლინებით და მოეხდინა რელიგიური გადატრიალება, დაემხო სრულიად რუსეთის საეკლესიო იერარქია და ძველი ეკლესიის ნანგრევებზე მის მიერ ჩამოყალიბებული ახალი, წმინდა მისტიკური ქრისტიანობის დროშა აღემართა.

მასთან მგზავრობა ნამდვილი ტანჯვა გამოდგა. ეჭვიანი კაცი აღმოჩნდა, ჭირვეული, უსაზღვროდ თავდაჯერებული და არაჩვეულებრივად დიდი წარმოდგენის მქონე თავის თავზე. მისი აზრით, ძველი რეჟიმის დროს იგი ჯეროვნად ვერ დააფასეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურმა მესვეურებმა და „კონსისტორიის ვირთხებმა", ყოველთვის გზას რომ უღობავდნენ, ათასნაირ ხრიკებს უწყობდნენ, რათა არქიელის წოდება არ მიეღო. თვითონ კი ღვთის რჩეულად მიაჩნდა თავი, მოციქულის ცეცხლოვანი მახვილი რომ შეემართა.

ხორკლიანი ყელი მუქი წითელი ფერისა ჰქონდა და ინდაურს მიუგავდა.

მთელი გზა ენა არ გაუჩერებია მღვდელს, თვითეულ სიტყვაზე, თვითეულ შორისდებულზეც კი ედავებოდა თანამგზავრს. ეშმაკობით დასტყუა ახალგაზრდა კაცს, რომ პოეტი იყო, და გესლიანად დაუწყო ახალ პოეზიასა და მხატვრობას დაცინვა. იმპრესიონისტების და ბარბიზონელების სურათებს ხახვიან ერბოკვერცხს უწოდებდა, ვრუბელსა და ჩურლიონისს კი, ვის წინაშეც ქედს იხრიდა ახალგაზრდა კაცი, ხუდოჟნიკებს[1]. თანაც ისე ავიწროებდა თავის ყმაწვილ თანამგზავრს, რომ ეს უკანასკნელი ლამის გადმოვარდნილიყო კოფოდან.

როცა მღვდელმა მაიაკოვსკის გინებაც დაიწყო და თქვა, უნიჭო ვიღაცაა, პოეტ აპუხტინს არც კი შევადრიო, ახალგაზრდა კაცმა ველარ მოით-

---

[1] худо — ცუდი.

მინა და მთელი ხმით ულრიალა: შენ თვითონ არაფერი გაგეგება ხელოვნების, პირწმიდა კონსერვატორი და კონტრრევოლუციონერი ხარ და დღევანდელ კომუნისტურ საზოგადოებაში შენისთანებისთვის ადგილი არ არის, არცა მსურს შენთან ერთად მგზავრობაო. მერე გაცეცხლებული ბრიჩკიდან გადმოხტა და ფეხით გაუყვა გზას. მთელი ძალით მიაბაკუნებდა ლანჩაავარდნილ ჩექმებს ყინვისგან გაქვავებულ ნაურმალზე. თუმცაღა ზამთარი იდგოდა, გაყინულ მინდვრებში არსად ჩანდა თოვლის საბურველი. მხოლოდ ალაგ-ალაგ მწვანედ ღიოფობდა შემოდგომის დაჩიავებული ნათესები. შემზარავი სანახავი იყო ეს გაშიშვლებული, ჩაშავებული მინდვრები, მოუსავლიან წელიწადს და შეიძლება შიმშილიანობასაც რომ უქადდა ხალხს.

პჩიოლკინს მალე ეტკინა ფეხები და იძულებული გახდა ისევ დამჯდარიყო ბრიჩკაზე ისეთი იერით, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ასე გამეორდა რამდენიმეჯერ. განსაკუთრებით დიდი ჩხუბი მაშინ მოუვიდათ, როცა მღვდელმა ბუნინი ახსენა და საცოდავ დეკადენტად მოიხსენია, რაკი ერთ ლექსში ამბობდა: „ატირდნენ პრანწიები“ და „ნახნავებში ლილისფერი ტალახიაო“.

— დეკადენტური აბდაუბდაა! სად გაგონილა იტიროონ ჩიტებმა ან ტალახი ლილისფერი იყოს. სად გინახავთ ლილისფერი ტალახი? გამოგონილია, დაღვლარჭნილი, მოდერნისტული.

— კი მაგრამ ის ხომ კლასიკოსია, კლასიკოსი, — ტირილს ცოტა უკლდა, ისე ყვიროდა პჩიოლკინი. — მე უფლებას არ მოგცემთ ასე ილაპარაკოთ აკადემიკოსზე. მე თვითონ მისი მოწაფე ვარ.

— გეტყობათ კიდეც, რომ მოწაფე ხართ. ლილისფერი ტალახი! ჰა-ჰა-ჰა!

როცა ღამის გასათევ ადგილას მიაღწიეს, პჩიოლკინმა გადაჭრით თქვა უარი მასთან ერთად მგზავრობაზე და ცალკე ქოხში მოთავსდა.

სოფელში ხელად გავარდა ხმა, ცენტრიდან მრისხანე „წითელი მღვდელი“ ჩამოვიდა დ ხვალ, კვირას, ეკლესიაში წირვაზე იქადაგებსო. ამან რატომღაც ძალიან შეაშფოთა სოფლელები.

დილით პჩიოლკინი ეკლესიაში მივიდა, რომ გაეგო, რა ხდებოდა იქ. ამბიონზე მან თავისი თანამგზავრი დაინახა, სააღდგომო ფარჩის სამოსელში გამოწყობილი. სამოსი ძველი იყო, მაგრამ ბრჭყვიალებდა და მაინც მოხდენილი ჩანდა. მღვდელს გაძვალტყავებულ ხელში ჯვარი ეპყრა და პირველ რიგში მდგარ შეშინებულ დედაბრებისკენ გაეწვდინა, სადღესასწაულო თავსაფრები რომ ეხვიათ.

ამ სოფლის კეთილი მოხუცი მღვდელი კი გვერდით ედგა და არ იცოდა, სად წაელო მოკლე, ბავშვური ხელები. შეცბუნებული ხან თავის ნეხვშემხმარ გლეხურ ჩექმებს დაჰყურებდა, ხან კიდევ გამჩენის ყოვლისმხედველ თვალს მიაჩერდებოდა გუმბათის ჭერზე, ვარსკვლავიანი ცის ფონზე რომ დაეხატა რომელიღაც უხეირო მხატვარს. შუაში, ღრუბლის ქულებზე კი თვით მოხუცი საბაოთი დაბრძანებულიყო და გულმოსული უგდებდა ყურს ჩამოსული დეკანოზის ქადაგებას.

მან ჯერ სათესი ფართობების გადიდებაზე ილაპარაკა, მერე უფრო და უფრო შეხურდა, უცბად იქაურ მღვდელს გადახედა გაფხორილი მამალი-

ვით და არც შეჩერებულა, ისე მოურიდებლად დაუწყო მისთვის საძულველ მართლმადიდებელი ეკლესიის თავადთა გინება.

— განა ესენი მოციქულებია? — ყვიროდა იგი გაცხარებით, — ქრისტეს მოციქულებს თასები ხისა ჰქონდათ, სამაგიეროდ თავები ჰქონდათ ოქროსი, ამათ კი, ამ, უკაცრავად და, თვითმარქვია მოციქულებს, თასები აქვთ ოქროსი, თავები კი ხისა.

მან თითები დააკაკუნა ამბიონის რიკულზე და მერე სამკერდე ჯვარი მოკუნტული სოფლის მღვდლისკენ გაიშვირა:

— ღორმუცელა, ლოთი, მრუში!

უკანასკნელ სიტყვაზე ამბიონის წინ საპატიო ადგილას მდგარი აბრეშუმის შავ კაბაში გამოწყობილი ფოფოდია ჯერ გაფითრდა, შემდეგ წითლად აუფორაჯდა სახე და აწრიალდა, მაგრამ დედაკაცებმა დაამშვიდეს. ხოლო სადღესასწაულო თეთრ ტყაპუჭებსა თუ კალთებშემოცვეთილ ფარაჯებში გამოწყობილი ხოხოლები და მოლდაველები, ბარონ ვრანგელის განადგურებისა თუ პოლონელ პანებთან ომის შემდეგ ამ ცოტა ხნის წინ რომ დაბრუნებულიყვნენ, მოღუშვით სდუმდნენ და ულვაშები ჩამოეყარათ. პჩიოლკინს ისე მოეჩვენა, თითქოს ჰაერში რაღაცამ ავად დაქროლა, თითქოს რაღაც ჩრდილი ჩამოწვა და მისდა უნებურად შიშით მუხლები მოეკვეთა. ამიტომაც ხალხს გაერიდა, გარეთ გამოვიდა და ბინას მიაშურა.

განთიადისას სარკმელზე ფრთხილად, მაგრამ დაჟინებით მოუკაკუნეს და გააღვიძეს. ეს გუშინ თემკორად არჩეული ახალგაზრდა მასწავლებელი იყო.

— კოლეგა, გირჩევთ, დროს ნუ დაკარგავთ და აქედან აიბარგოთ, სანამ გვიან არ არის. კეთილ ხალხში ორთვალა გიშოვეთ, რომ მეზობელ თემამდე მიგიყვანოთ. ისე მოუსვით, უკან არც მოიხედოთ, — ისეთი კილოთი წასჩურჩულა კოლეგამ, რომ პჩიოლკინს თავიდან ფეხებამდე ჟრჟოლამ დაუარა. სწორედ ასე გააჟრჟოლა ეკლესიაშიც.

იმ დროს ადამიანები ერთმანეთს არათუ ერთი სიტყვით, ერთი შემოხედვით, ერთი ამოოხვრით, არამედ დუმილითაც კი უგებდნენ.

პჩიოლკინმა თავისი ჩანთა ამოიღლიავა და ერთი წუთის შემდეგ უკვე ორთვალათი შარაგზაზე მირახრახებდა. ფათაფუთში შიგ ჩალის დაფენაც ვერ მოესწროთ. ირიჟრაჟა. მალე კიდეც გათენდა. ცივი, მშრალი, მოქუფრული დღე იყო. გარშემო მომზრალი მიწა, ჩალის ძველი ზვინები და ქარის წისქვილები ჩანდა, ფრთებს რომ ისე აფართხუნებდნენ, თითქოს სადღაც გარბიანო.

როცა დამშვიდდა და მიიხედ-მოიხედა, პჩიოლკინმა ჩვეულებისამებრ გუნებაში ლექსის შეთხზვა დაიწყო ბუნებაზე. ამჟამად მან იგი გაასულიერა:

„ტილოს კაბაში მკერდჩახსნილი, ნაწნავჩაშლილი მინდვრებში გარბის გაზაფხული სიცილ-კისკისით და კვალში მისდევს ნათესების მწვანე გიზგიზით ახლად მოხნული სტეპის აჩრდილი“.

ფეხშიშველა გაზაფხული ისევ იმ კოხტა გოგრუჭუნა გოგოს — „მაზრის მუზის“ ვარიანტი იყო და არცთუ სავსებით ეპასუხებოდა პჩიოლკინის შიშით აფორიაქებულ გულს, თუმცაღა სოფლის ეკლესიის ავბედითი სამრეკლო უკვე კარგა ხანია მოფარებოდა ფერდობს.

პჩიოლკინს გაახსენდა, ქოხების სარკმლებში როგორ ბჟუტავდა სანთლები. რა გულმოდგინედ ლოცულობდნენ დედაბრები ეკლესიაში და ღმერთს ევედრებოდნენ, მინდვრები თოვლით დაფარეო. ეს უფრო ესადაგებოდა მის სულიერ მდგომარეობას.

„...სოფელი იყო თოვლის მთხოვნელი, მიშტერებოდა ცას გაოგნებით, სასანთლეს გავდა მთელი სოფელი და სანთლებივით ენთო ქოხები. ღმერთო მაღალო, იყავ მოწყალე, მოგვეცი თოვლი, გვაშორე ალხი, პირჯვარს იწერდა კაცი თუ ქალი, დედაბერი თუ პაწია ბალღი“.

ლექსი კიდეც აუჟღერდა სულში, რომ უცბად, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ცხენოსანმა რაზმმა გადაუღობა გზა პჩიოლკინს. პირველად წითელი კავალერიის ესკადრონი ეგონა და კიდეც გაეხარდა, რა კარგად აცვიათო ახლა წითელარმიელებს. ყველა ერთნაირად იყო ჩაცმული, ყველას ახალი, ვარსკვლავებიანი ქუდი ეხურა.

მაგრამ მაშინვე სადავემოქაჩულმა ცხენმა დასჭიხვინა თავზე და მწვანე დუჟი გადმოყარა, ლამაზ-ლამაზი მეთაური კი, მოსირმული თეთრი ყაბალახი რომ ჰქონდა მოგდებული, უნაგირიდან პჩიოლკინისკენ გადმოიხარა.

— ვინა ხარ, შენი დედაც კი... რწმუნებული?

— ჟურნალისტი ვარ.

— აბა, კანცელარიის ვირთხავ, ჩამოეთრიე ორთვალადან.

— ჟურნალისტი სულაც ის არ არის, თქვენ რომ გგონიათ, — ცალყბა ღიმილით წაიჩურჩულა პჩიოლკინმა.

— რა იცი, მე რა მგონია, შენი...

— მე გაზეთებში ვწერ.

— გაზეთებში? აბა, ბიჭებო, ერთი პანჩური ამოარტყით მაგას. ამას დამიხედეთ, თითქოს თავისი ოჯახი იყოს, ისე დაფარფაშებს ჩვენს სოფელში!

— ამხანაგებო, ეს გაუგებრობაა, მე ნება მაქვს, რევკომის მანდატი მაქვს.

— ერთი უყურეთ, არ გამოგვეცხადა ცოცხალი ამხანაგი. ჰაიტ, შე წითელდუნდულა ტილო! სიმინდებში შეიყვანეთ ეგ! ორთვალა კი უკან გააბრუნეთ.

მჭიდროდ დარაზმულიყო შარშანდელი სიმინდის მოუჭრელი ღეროები, ორ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა; შრიალებდა უხეში, ხანჯლებივით ალესილი ფოთლები. პჩიოლკინი მიხვდა, რომ წითელარმიელებად გადაცმულ ბანდას ჩაუვარდა ხელში და ახლა დასახვრეტად მიჰყავდათ. ზურგში თოფის კონდახებს უბიძგებდნენ, ნავთისა და იარაღის ზეთის მძაფრი სუნი რომ ასდიოდა.

პჩიოლკინს თავზარი დაეცა, გონება დაუბნელდა, სხეული მოუდუნდა. უეცარი ელდით დადამბლავებული შინაგანი ორგანოები ნერვული ცენტრების ბრძანებას აღარ დაემორჩილნენ და პჩიოლკინმაც მისდა სამარცხვინოდ ჩაისვარა. ამასობაში ბანდის ატამანი, ბრიგადის მეთაურის ხავერდის

ასალიან უნაგირზე რომ იჯდა დოინჯშემოყრილი, პჩიოლკინის ჩანთიდან ქაღალდებს ალაგებდა და გულგრილად კითხულობდა ერთმანეთის მიყოლებით, სანამ დაბეჭდილ ინსტრუქციას არ წააწყდა. ინსტრუქციამ დააინტერესა, რადგანაც პირველივე მუხლი ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ კანონიერების დარღვევისა და უფლებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მოუწოდებდა.

საოცარია, მაგრამ სწორედ ამან იხსნა პჩიოლკინი.

— მოიცათ, ბიჭებო, — დაიძახა ატამანმა, — ჯერ ნახეთ, ურია არ იყოს და, თუ ურია არ არის, გაუშვით, ჯანდაბას მაგის თავი. ოღონდაც ამას იქით, სადაც საჭირო არ არის, იქ ცხვირს ნუღარ ჩაყოფს და თვალით არ დაგვენახოს!

ბიჭებმაც სწრაფად და მოურიდებლად შეამოწმეს, რომ პჩიოლკინი ებრაელი არ იყო, ქაღალდებიანი ჩანთა მიაჩეჩეს, პანჩური ამოარტყეს, აბა გაიქეცი, სტუდენტო, დაუყვირეს და ორი-სამი ტყვიაც მიაყოლეს. ტყვიებმა ნაზად გადაუსტვინეს პჩიოლკინს თავზე და მრუდე ტრაექტორიით მარტის ავისმაუწყებლად მოქუფრულ ცაში აიჭრნენ.

ხომ შეიძლებოდა ეს წვეტიანი, კონუსისებური ტყვია შეცდომით თავში მოხვედროდა პჩიოლკინს და სამუდამოდ მოესპო სიყვარულის, სილამაზისა და პოეზიის ის ღვთაებრივი სამყარო, პჩიოლკინის სიცოცხლე რომ ერქვა და სავსე იყო მისი თუ სხვისი, უკვე შექმნილი თუ შეუქმნელი, ან მხოლოდ ახლა აღქმული და გაგებული ლექსებით, როგორიც გახლდათ, მაგალითად, ველემირ ხლებნიკოვისა და ნიკოლოზ ბურლიუკის ჯადოსნური და შეშლილი სტრიქონები:

„ვარსკვლავთა შორის ცურავს გველის სისინით ავი შურისძიების სული და მოკვეთილი თავი. მშვენიერების ჩრდილი, დედოფალია ჭირის! წყლით ავსებული კასრი მიაქვს გაშლილი მხრებით, და ცახცახებენ თმები, ვით ვიოლინოს ხმები“.

მხოლოდ ასეთი შეშლილი სტრიქონები შეიძლებოდა მოგონებოდა ნაძალადევი სიკვდილის წუთს!

„ზოგიერთები წყალს ჭიქით სვამენ, ზოგი კი პეშვით წყალს ყინულისას, და გაზაფხულის ნისლიან ღამით აჰყვება კაცი თავის გულისხმას. ვხედავ ცისკიდურს ნისლებით ასხმულს, უვარსკვლავებო ღამეა ქუში, არ შევხვედრივარ ცხენოსან ასულს და გზებზე ცხენის დავლანდე დუჟი. ნისლი მდინარის ლოკავს ნაპირებს, ისმის ჩურჩული და წყლის ჩქაფანი, და ტირიფებში გარბის აპრილი და უფრიალებს მწვანე ფაფარი“.

მხოლოდ იმ წუთში, როცა ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე, ირგვლივ კი მისი სამშობლოს შავი, დამზრალი მინდვრები იყო, შეიძლებოდა გაელვებოდა თავში პჩიოლკინს ეს ღვთაებრივი სტრიქონები:

„ჩემი ქვეყნის მიდორ-ველად, ტრამალ-ტრამალ, ჭალა-ჭალა, გორაკ-გორაკ, სერით-სერზე, სოფელ-სოფელ, შარა-შარა, სადაც ბერწი ჭაობია და

ლელია გადამჭკნარი, ღამღამობით ვიღაც დადის სნეული და დამაშვრალი ბურავს ღამის მოსასხამი, თითქოს იყოს ჯადოქარი. მდინარესთან სველ ქვიშაზე რჩება ცხენის ნაფლოქვარი".

მე ბუნებას აღვწერ—ვარსკვლავებს, ტყეს, ყინვას, ზღვას, მთებს, ქარს, სხვადასხვა ადამიანებს. ესაა ჩემი საღებავები. მაგრამ განა ადამიანის გენიით შექმნილი ლიტერატურა, პოეზია ბუნების ნაწილი არ არის? რატომ არ შემიძლია ვისარგებლო მისი ნათელი, ელვარე საღებავებით, მით უმეტეს, რომ მე ვარსკვლავებს სიტყვიერი ხორცი უნდა შევასხა, გადავამუშავო. გენიოსი შეშლილი პოეტების ლექსები კი უკვე ხორცშესხმულია, მზამზარეული, აიღე, როგორც ნაწილი მარადიული ბუნებისა, და ჩასვი შენს თავისუფალ პროზაში!.

პჩიოლკინის სულის მისაღებად გამოგზავნილმა აზრაილმა ააფათქუნა თვისი შავი, ფარატინა ფრთები, აწრიალდა, ხან ზევით აიჭრა, ხან ძირს დაენარცხა უზარმაზარ მოზუზუნე კრაზანასავით, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია...

„წინ იყო სტეპი, გზა ხრიოკი და უდაბური, მე კი გავრბოდი და მიცემდა გული საშინლად, მაგრამ უეცრად ოტარიდმა ღრუბლით დამბურა, შორს გამიტაცა და სიკვდილსაც გადამარჩინა."

როგორც მონადირეებისაგან დამფრთხალი კურდღელი, ისე გარბოდა სიმინდებში პჩიოლკინი, მიამტვრევდა ნაღერლებს, თავში რომ უხათქუნებდნენ. ჩანთა გულზე მიეკრა, გზადაგზა ტანსაცმელს ისწორებდა. მირბოდა ასე, ვინემ ბანდიტთა რაზმის თოხარიკით მიმავალი ცხენების თქარუნი არ მიწყდა.

„...სველ ქვიშაზე რჩება ცხენის ნაფლოქვარი".

ქვეყნად სიჩუმემ დაისადგურა. ის ცოცხალი იყო, მისი მოკლული სული კი დალეწილ სიმინდებში, გამხმარ მიწაზე ეგდო, მკვდრეთით აღდგენის მოლოდინში, მსგავსად მისი მეორე სულისა, სმორგონის მისადგომებთან რომ დატოვა დიდი ხნის წინათ. კიდევ ერთი მისი სული ეყრებოდა სხეულს პარტახტიან ტიფიანთა ლაზარეთის საწოლზე, ბუდისტთა დაფდაფების ხმაურში, ლამათა წმინდათაწმიდა წარწერების ქვეშ, მენდელეევის ელემენტების ცხრილს რომ მოგავდა.

ყველა ისინი კი უსათუოდ აღსდგებიან, რამეთუ უკვდავნი არიან.

ჰოდა, დატოვა რა გამხმარ სიმინდებში განრთხმული თავისი სული მკვდრეთით აღდგენის მოლოდინში, პჩიოლკინი გაუყვა შავ და მწვანე მინდვრებს, გვერდს უვლიდა სოფლებსა და ხუტორებს, მიისწრაფოდა, ჩქარა მიელწია სამაზრო ქალაქამდე და არავის გადაყროდა გზაზე.

ორი დღე მიდიოდა ბალტასკენ, თავს არიდებდა დასახლებულ ადგილებს, ღამეს დათოვლილ სიმინდის ზვინებში ან მოწნულ ნალიებში ათევდა, ქვასავით მაგარ და ქარვასავით ყვითელ ტაროებზე. მისი საჭმელი მინდორში შემთხვევით დარჩენილი ჭარხალი იყო.

„ის პირს იბანდა ეზოში ღამით, ვარსკვლავიანი ცა იყო მკაცრი, ნაჯახს ეყარა მარილივით ვარსკვლავის ნამი და დგაფუნობდა წყლით სავსე კასრი. ვარსკვლავი დნება, როგორც მარილი, უფრო ქუფრია, უფრო შავი წყალი დამზრალი, ხიფათი უფრო ხიფათია, უფრო მწარეა, მიწაც კი უფრო მიწაა და უფრო საზარი."

იმეორებდა მანდელშტამის ამ ლექსებს და მარტოდმარტო მიეხეტებოდა გზაზე. დაბლა ჩამოწოლილიყო უზარმაზარი ცა, ხოლო მოლურჯო-მოშავო ღრუბლები, ანტრაციტის ლოდებივით დამძიმებულნი, თითქოს ყოველ წუთს ემუქრებოდნენ თავზე დამზღვლევას პჩიოლკინს.

მაგრამ საოცარია, ყოველივე ეს დიდებულად ეჩვენებოდა პჩიოლკინს, როგორც ჯერ ხელთუქმნელი რევოლუციური ხელოვნების ნაწარმოები, ღვთაებრივი აზრითა და არაადამიანური სილამაზით აღვსილი.

საცოდავი მართლა შეშლილიყო შიშისგან.

წამოთოვა, საოცრად აცივდა. ქარი, თოვლი, ცა და მიწა ერთმანეთში აირია. პჩიოლკინი შეჩერდა, ასე ეგონა, რომ თვით წარბშეკრულმა და რისხვისაგან გალურჯებულმა ღმერთმა საბაოთმა ისმინა ხალხის ვედრება და „ქარბუქს თოვლი დაათესინა...“

„თოვლს დაუფარავს ტრამალი, გზები და ვკარგავ იმედს შიშით მოცული, რა უსახელოდ და ფუჭად ვკვდები ღმერთის წინაშე მთლად მარტოსული“.

აქ ღმერთი მხოლოდ პუშკინისეულ პეტრე დიდის ვარიანტს წარმოადგენდა:

„საზარელია მისი სახე, მრისხანე სახე, იგი სწრაფია და მშვენიერი და ღვთის რისხვაა მთელი არსებით“.

პჩიოლკინმა ეს საზარელი სახე თავის მხრივ რისხვით გაალურჯა, სამაგიეროდ, თოვლით მონამქრულ გზებზე უსახელოდ სიკვდილი, ქარბუქი და თოვლის დათესვა საკმაოდ დამოუკიდებლად ჟღერდა.

შემდეგში — ანუ მრავალი წლის წინათ — ვირწმუნე. რომ რუსეთში ყოველთვის იყო, არის და იქნება ერთადერთი უკვდავი პოეტი, ერთადერთი ეროვნული გენია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს რომ ატარებდა.

ჩვენს დროშიც ასეა. ჩემს მეხსიერებაში რამდენიმე ასეთი პოეტი იყო.

სიკვდილის პირასაც კი პჩიოლკინს თვალწინ ედგა ახალგაზრდა ქალის, „მოქალაქე ქალის“ ხატება, მას რომ სული დაუკოდა. არც დღე, არც ღამე არ ასვენებდა იმ იდეის მსგავსად, კაცს რომ ერთხელ აეკვიატება, ტვინს ულლიდა და უქანცავდა, ისე უტყუარი, თითქმის ხორცშესხმული იყო მისი სიახლოვე, ისეთ საუცხოო წვრილმანებს უხატავდა ცხადად წარმოდგენა. და მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი დაუფლების წყურვილს მაინც ვერ უკლავდა, რადგან პჩიოლკინს უკვე გატაცებით უყვარდა იგი. ქალი, რა თქმა უნდა, ვერც ხვდებოდა ამას, უფრო მეტიც, აღარც ახსოვდა პჩიოლკინი, ვინაიდან სულ რამდენიმეჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს „დეპეშათა დარბაზისა“ თუ „პოეტთა კოლექტივის“ ოროომტრიალში და მხოლოდ რამდენიმე არაფრის მთქმელი სიტყვა თუ ეთქვათ ერთმანეთისთვის.

და მაინც უყვარდა იგი პჩიოლკინს — დღითიდღე უფრო ძლიერად, უფრო ხელაღებით — ან იქნებ ყოველივე მხოლოდ ეჩვენებოდა? — მაგრამ ქალი ხომ თვალწინ ედგა დღისით თუ ღამით, სიკვდილის წუთსაც კი, განურინებელი, საოცრად სანატრელი — თეთრი ბეწვის მალახაის გრძელი ყურები ორი ნაწნავივით მიტმასნოდა მკერდზე და ქამრამდე ჩასდევდა.

ერთხელ, როცა ეს ციმბირული ქუდი მოიხადა, თითქოს მეორე ქუდი

გამოუჩნდა, შავი ხუჭუჭა თმის ქუდი, მალახაის ქვეშ რომ დატკეპნილიყო და ქალმა თავის გაქნევით აიპენტა. პჩიოლკინს აღარ ახსოვდა, რა ეცვა ქალს, მგონი, სალდათური დაბამბული ქურთუკი, გრძელზე გრძელი სახელოები კი აეკეცა, რათა პატარა შავგვრემანი ხელები და უშნოდ დაქნილი მარმარილოსავით აჭრელებული ფრჩხილები არ დაემალა სახელოებს. წვრილ მოქნილ წელზე ოფიცრის ქამარი შემოერტყა, მაუდის ძველი ქვედატანი მუხლებს ძლივს უფარავდა, ფეხებზე შავი ტოლაღები ეხვია და ლილებზე შეკრული თითქმის ბავშვური ფეხსაცმელები ეცვა.

ხორბლისფერი ლამაზი სახე ჰქონდა, ქუში, ყოველ შემთხვევაში, უტეხი თვალები და პატარა მოლურჯო ხალი ნაზ ლოყაზე. უფერული, თუმცა ვნებიანი და ამავე დროს თითქოს უბიწო ბაგის ზემოთ კი მუქი ქინქლი მოსდებოდა.

დღედაღამ ეს ბაგე ედგა პჩიოლკინს თვალწინ, ძილში თუ ცხადში მისი ტუჩებისკენ რომ მოილტვოდნენ დაუსრულებლივ, დაკმაყოფილების გრძნობას კი არ ანიჭებდნენ.

ასეთი ნახა პჩიოლკინმა პირველად ქალი. შემდეგ გარეგნობა ცოტა შეეცვალა. მგონი, ზამთარში პარტახტიანი ტიფი თუ სახადი გადაეტანა და როცა ისევ შეხვდა „დეპეშათა დარბაზში“, გამხდარი ჩანდა. გრძელყურებიანი თეთრი ქუდი რომ მოიხადა, მოსამზადებელი კლასის შეგირდივით გადახოტრილი თავი ნაჭუჭიდან გამოვარდნილ თხილის გულივით ამოუძვრა. პატარა, პროპორციული თავი ჰქონდა, მომცრო ყურები, ცალი ყური მოწაფის მელნით დასვროდა, ხოლო თმა კი საავადმყოფოს დალაქს ოკროზოკროდ გადაელიჯნა.

იგი თურმე მემანქანედ მუშაობდა „გუბჩეკას“ ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებაში, საგუბერნიო სახალხო განათლების განყოფილებასთან არსებულ პარტიულ სკოლაში დადიოდა და მოსკოვის სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდა.

როგორც ჩანს, ლიტერატურის ცოდნის გასაფართოებლად დადიოდა ასე გულმოდგინედ „პოეტთა კოლექტივსა“ და „დეპეშათა დარბაზში“, სადაც ყოველდღე გამოდიოდნენ პროპაგანდისტები და მწერლები. მოდიოდა მარტო, დამოუკიდებელი, ოდნავ ზიზღიანი იერით, მაღალი წრის ხალხს რომ სჩვევიათ ხოლმე, ყურადღებით უსმენდა მოთხრობებსა და ლექსებს, მაგრამ არაფერს კი არ ამბობდა.

— მოქალაქევ, მე თქვენ აქ პირველად არ გხედავთ, — მიმართა ერთხელ პჩიოლკინმა. — მგონი, პოეზიის თაყვანისმცემელი ბრძანდებით? თუმცა იქნებ პოეტებისა?

— აქ ჩემს საერთო განვითარებას ვიმაღლებ.

— განა მას ამაღლება სჭირდება?

— რა თქმა უნდა.

— ჩემი ლექსები არ მოგწონთ? — ჯიქურ, თუმცა საკმაოდ თავმომწონედ ჰკითხა პჩიოლკინმა.

— მომწონს, — უბრალოდ უპასუხა ქალმა.

— მოხარული ვარ. მე თუ მოგწონვართ?

— თქვენც მომწონხართ.

ამ გულახდილობამ მყის გაუბათილა პჩიოლკინს თავისი შეხედულება ამ ყმაწვილ ქალზე, როგორც ადგილობრივ ტენუარ დე მერიკურზე, როგორც გულცივ პარტიულ ქალზე, ზიზღს რომ გვრიდა წვრილბურჟუაზიული ბოჰემა და არ სწამდა ქარაფშუტული დამოკიდებულება სიყვარულისადმი.

პჩიოლკინს, ცოტა არ იყოს, გული გაუტეხა იმ ამბავმა, რომ ქალი ასე იოლად დაჰყვა მის კურკურს. ჰოდა, რაკი თვის თაყვანისმცემელთა სიაში შეიტანა, მისდამი ინტერესიც საგრძნობლად გაუნელდა. გამარჯვება ძალზე იოლი ეჩვენა პჩიოლკინს. ოღონდ ქალზე უარი კი არ თქვა, დაახლოება შემდეგისთვის გადადო, რომ სიამოვნება გაეხანგრძლივებინა.

— იმედი მაქვს, რომ პოეტი არ იქნებით? — დაუდევრად ჰკითხა პჩიოლკინმა.

— იმედი იქონიეთ, — უპასუხა ქალმა. სწორედ იმ წუთს შეამჩნია პჩიოლკინმა მის შავგვრემან ყვრიმალზე მოცისფრო პატარა ხალი, ასე რომ ამშვენებდა ქალს. გადახოტრილი თავი სულაც არ ამსგავსებდა ბიჭს, პირიქით, უფრო ქალურს ხდიდა.

— ჩვენ შეიძლება მალე შევხვდეთ ერთმანეთს, — ისე, სხვათა შორის, უთხრა პჩიოლკინმა.

— მეც ასე მგონია, — უპასუხა ქალმა და გაუკვირდა, ამ ყმაწვილმა რომ გაცილება არ შესთავაზა.

— სალუტი და ძმობა! — უთხრა პჩიოლკინმა და ხელი ასწია.

ქალმაც გაუღიმა გამოთხოვების ნიშნად. პჩიოლკინი თავს გამარჯვებულად თვლიდა. მაგრამ როცა შუაღამისას გამოელვიძა თავის ცივ ოთახში, სადაც შპალერი ჭირხლის ალმასებს მოეხატა, მიხვდა, რა სისულელეც ჩაიდინა. მას აქეთ სულ ამ ქალზე ფიქრობდა. არ უნდა ესულელა და სანამ თონე ცხელი იყო, პური მაშინ ჩაეკრა. ოცნებაში უკვე მისი პატარა ხელი ეჭირა და ისე კოცნიდა ქალს. წინასწარ ლექსებიც კი შეთხზა:

„მაგ მშვენიერ ხელს, ჩემს ხელში რომ ცახცახებს, დნება, ვიოლინოს ყელს შევადარებ, ნაზს და უზრუნველს, ო, მაგ ტუჩებზე ქამანივით დაცოცავს ვნება, ღიმილის ვარდზე ფუტკარივით რომ დაზუზუნებს“.

„ღიმილის ვარდი“, ცხადია, მისი მეგობრის იური ოლეშას არსენალიდან იყო მოპარული.

პჩიოლკინს თვალწინ ედგა ქალის ღიმილის ეს ფერმკრთალი ვარდი, ხოლო პატარა ხალი ზედ მოფარფატე ფუტკრად ქცეულიყო. სულელი! ამაზე ოცნების ნაცვლად შეეძლო სავსებით რეალურად დამტკბარიყო.

„ო, ნეტარ არს პოეტი, — თხზავდა ისევ იგი ამ გაყინულ ოთახში ბალიშზე მიწოლილი. — ოღონდ ბრძენი, არა იგი, ვინც გულის ძგერა დაითვალა და შემდეგ დაწერა „მღერის კოცნაო“, არამედ იგი, ვინც თვისსა ვნებას ვერ მოუძებნა სიტყვა ნამდვილი, სიტყვა ზუსტად გამომსახველი“.

ვერც მან მოსძებნა სიტყვა ზუსტად გამომსახველი მისი ვნებისა. ჰოდა,

მიუხედავად იმისა, რომ შუაღამე იდგა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი ალყაში იყო, იგი მზად გახლდათ გაქცეულიყო იმ ქალთან, მაგრამ არათუ მისი მისამართი არ იცოდა, ისიც არ იკითხა, რა ერქვა.

პჩიოლკინს ძილი გაუკრთა. რასაც ახლა ის განიცდიდა, ეს გრძნობა დიდმა რუსმა პოეტმა, მეცხრამეტე საუკუნეში პუშკინის სახელს რომ ატარებდა, თავზარდამცემი გამჭრიახობით ასე განსაზღვრა: „დაგესლილი მაქვს მე შენგან სული“... კი, სწორედ დაგესლილი, სწორედ მოწამლული, კიდეც რომ ჩირქდებოდა უკვე. პჩიოლკინს არაფერზე აღარ შეეძლო ფიქრი ამ ქალის გარდა. იგი სულ თვალწინ ედგა. მისი თვალების ვიწრო ჭრილიდან მთვარის იდუმალი შუქი ციმციმებდა. იმ ქალმა დაიპყრო პჩიოლკინის ყველა ფიქრი და სურვილი, აღარ იცოდა, როგორ გაეძლო მომავალ შეხვედრამდე. მაგრამ მეორე დღეს უბრძანეს, დაუყოვნებლივ გაემგზავრეო მაზრაში. აზრადაც არ მოსვლია უარის თქმა, რადგან მაშინ ყოველი სამსახურებრივი დავალება წმიდათაწმიდა რევოლუციური მოვალეობის შესრულებას ნიშნავდა.

რევოლუცია განაგებდა მაშინ ადამიანთა ბედ-იღბალს.

ჰოდა, იდგა ახლა ამ ქარბუქში, თავ-პირში აყრიდა ქარი თოვლს, არემარეც ქარაშოტით ახვეტილ დურდოში იყო გახვეული. მთელი ღამე უგზოუკვლოდ, ალალბედზე მიდიოდა და განთიადისას რომელიღაც სოფელს მიადგა. ძალა გამოსცლოდა. მზად იყო თოვლით დაძეძგილ ღობესთან მიგდებულიყო და მკვდარივით დაეძინა. უკვე არაფრის თავი აღარ ჰქონდა, ისე მიუკაკუნა სარკმელს, საიდანაც სინათლე ბჟუტავდა. კარი გაუღეს თუ არა, მაშინვე მკვდარივით დაეცა ღუმელთან დაყრილ სიმინდის ხმელ ჩალაზე და მყის ოქროს მცხუნვარება მიელამუნა სახეზე. ხოლო როცა გვიან დილით გაიღვიძა, გაზაფხულის მოწმენდილი ცა ჭიატობდა სარკმელში. გამოირკვა, თურმე რამდენიმე ვერსზელა იყო ბალტადან, რომლის სახლების სარკმლები და ეკლესიის ჯვრები ქარსივით ბრწყინავდა და ციმციმებდა მზიან ბურუსში.

ეზოში, გროვა-გროვად დაყრილ ნეხვში — მისი სუნი ნიშადურივით ეცა ცხვირში — ნაკადულების არტერიები ბრწყინავდა სარკესავით და სიბნელიდან გამოსულ პჩიოლკინს თვალს უბრმავებდა. სველი შავი მიწის სურნელი იდგა და ეკლესიის ზარების შორეული რეკვა ისმოდა. ქალაქის გარეუბანს რომ მიადგა, უცნაური საეკლესიო პროცესია დაინახა. ეკლესიის ფარჩის დროშებთან ერთად სამაზრო დაწესებულებების წითელი დროშებიც ფრიალებდა, სასულე ორკესტრის ხმებს რატომღაც საეკლესიო გალობაც ერთვოდა.

— ეს რა ზეიმია, დეიდა? — ჰკითხა პჩიოლკინმა დედაკაცს, მარმარილოსავით მოქათქათე ღორის ქონის სქელი ნაჭერი რომ გაედო მხარზე, ნახევრამდე სუფთა ტომარაში გახვეული.

— რომელი ზეიმი! — მკაცრად უპასუხა დედაკაცმა. — ეს მთავრობა ეკლესიასთან ერთად კრძალავს გმირ წითელ მღვდელს და ორ თუ სამ ჯარისკაცს. ამბობენ. კიდევ ერთი ვიღაც კანცელარიელი ყოფილაო ოდესიდან. ზაბოლოტნის ბანდამ ამოხოცა ისინი სოფელ ოჟილაში. თქვენ რა, არაფერი გაგიგიათ?

— არა, — თვითონაც ვერ გაიგონა თავისი ხმა, ისე უპასუხა პჩიოლკინმა.

— როგორ არ გაგიგიათ! დილით დაესხნენ თურმე თავს წითელარმიელებად გადაცმულები, ყველანი ქოხებიდან გამოათრიეს და იქვე დახვრიტეს. შემდეგ კი დნესტრისკენ გაქუსლეს, რუმინეთის მხარეს გადავიდნენ.

ქალაქის თავზე სამგლოვიარო გუგუნი იდგა. გულის გამლევად გაგრძელებულ შუალედებში მჭახედ წკარუნებდნენ პატარა ზარები. ისმოდა სასულე ორკესტრის ხმებში არეული სულთათანა, იკმეოდა გუნდრუკი და მისი მოტკბო სურნელი და კვამლი ტრიალებდა ჰაერში. პჩიოლკინს გულში ჩაეკრა ლექსებიანი ჩანთა და ისე იდგა, თითქოს თავისსავე დაკრძალვას ესწრებოდა. მან არ იცოდა, რომ ოდესის „იზვესტიაში“ უკვე გამოქვეყნდა დეპეშა, პოეტი-ჟურნალისტი პჩიოლკინი საბრძოლო პოსტზე დაიღუპაო, რომ მისმა მოხუცმა მამამ, ახალი გაზეთებით გაწებილ დაფასთან შეჩერებულმა, დეპეშა წაიკითხა, მერე ხელები აიქნია, მერე ტროტუარზე ჩაჯდა, შემდეგ გაწვა, სახლის კედლისკენ იბრუნა პირი, ფეხები მოკუნტა, თითქოს უნდა უფრო მოხერხებულად დაწვეს და დაიძინოსო. მოხელის ბლინივით გაპრტყელებული ძველებური უკაკარდო ქუდი გადაძვრა და გაწითლებული მელოტი გამოუჩნდა. სიკვდილის ანგელოზმაც სწორედ დროზე მოუსწრო, შავი ფრთები ააშრიალა და კარგი დანტისტივით სწრაფად, თითქმის უმტკივნეულოდ ამოართვა — კი არ ამოართვა, უფრო სწორად, სისხლიანი მარჯვენათი მარდად ამოაძრო სული. სხეულმა ნელიად, ნუტარებით იწყო გაცივება. ჯერ ჰაერისა და ცისფერფილებიანი ტროტუარის ტემპერატურას გაუთანაბრდა, დაახლოებით ცელსიუსის თხუთმეტ გრადუსს, შემდეგ — ქსენონის, შემდეგ ქალაქის მორგის, შემდეგ გამოცივებული ცარიელი ეკლესიისა და ბოლოს სასაფლაოს მიწისას, კომუნალური განყოფილებიდან მეზობლებზე უფასოდ გაცემულ, იაფფასიან ლილისფერ კუბოს სახურავს რომ დაეყარა...

დაკრძალვიდან სამი დღის შემდეგ დაბრუნდა მისი შვილი მივლინებიდან. მხოლოდ მაშინ გაიგო ყველაფერი და შეძრწუნდა. სიკვდილის ამ შემაძრწუნებელი გრძნობით მოცული იდგა ახლა მამის საფლავის ბორცვთან. იგი დამოუკიდებელი, თავისუფალი იყო, მაგრამ გულს მაინც უწიწკნიდა ობლობისა და მამისადმი დაგვიანებული საოცარი სინაზის შეგრძნება. საფლავი უკვე ჩაწეულიყო. ზედ ორი თუ სამი საცოდავი ქაღალდის ყვავილებიანი მავთულის გვირგვინი ეგდო, კომუნალური განყოფილებიდან ასევე უფასოდ მიღებული. რუხი კოლენკორის ლენტებზე ნაბეჭდი წარწერები იყო მიკრული.

ამ ახალი საფლავის გვერდით ძველი საფლავი იყო, ვითომ „არყის ხის“ დარად შეღებილი რკინის ჯვრით. ჯვარი თითქოს სამოვრის მილებიდან შეეკოწიწებინათ. მარმარილოსფრად შეღებილ ეტრატზე კი ზეთის შავი საღებავით და ბეჭდური ასოებით იყო წაწერილი დედამისის ნაზი სახელი.

იქვე სხვადასხვა მხარეს გადაფერდილი ძველისძველი მუხის ჯვრებიც ჩანდა ბებიის და ბაბუის უკვე ძნელადღა შესამჩნევ საფლა-

ვებზე. ისინი არ ახსოვდა პჩიოლკინს, თითქმის დედაც არ ახსოვდა. ახსოვდა მხოლოდ, რომ დედას ეხურა ფრთიანი ქუდი, მის საყვარელ სახეს რაღაც არაამქვეყნიური მკაცრი, გაყინული იერი დადებოდა. ყოველთვის უკვირდა პჩიოლკინს, დედას რომ სიკვდილმა ვერა დააკლო რა. იგი დღემდე იწვა ვიწრო კუბოში ფაქიზად გამოწყობილი, ეცვა ვეშაპის ძვლის კორსეტი, მუარის გრძელი კაბა, ემოსა სახელდახელოდ შეკერილი ატლასის ფეხსაცმელები, გაყინულ შუბლზე კი ქაღალდის ზოლი უჩანდა.

იგი მარტოდმარტო იდგა საფლავის ახლად ამოწვერილ ბალახზე, მიწაზე ეყარა პანაშვიდიდან დარჩენილი ნახშირი, გულს უფლეთდა სიბრალული და სიყვარული, რაც მთავარია, გამოუსყიდელი დანაშაული მამის წინაშე, ვისაც მისდა უნებურად ჰკლავდა მთელი სიცოცხლე. ჰკლავდა, როცა წითელა, დიფტერიტი თუ ქუნთრუშა სჭირდა, როცა ზღვაში შორს გასცურავდა. ომში წასული შვილის გვერდით მშვიდობიანად ჩავლილი ყოველი ტყვია თუ ყუმბარის ნამსხვრევი ყოველ წამს, ყოველ წუთს ათასჯერ უსპობდა სიცოცხლეს მამას, ყოველლამ წამლავდა შვილის მაგივრად გერმანელების მომწამლავი გაზი — ფოსგენის მხოლოდ წარმოდგენაც კი ნელ-ნელა უსპობდა მამას ფილტვებს და სისხლით უღებავდა ნახველს... მაშინ როცა შვილს ამისი არაფერი გაეგებოდა და ცხოვრობდა ისე, როგორც ეცხოვრებოდა. სიკვდილზე იშვიათად ფიქრობდა, ათჯერ სწირავდა სიცოცხლეს დაუნანებლად, თან ამავე სიცოცხლითა და ეპოქის განუმეორებელი სიდიადით თვრებოდა, ბედნიერად თვლიდა თავს, რომ ამ ეპოქაში, ომისა და რევოლუციის ეპოქაში დაბადება ხვდა წილად.

იდგა თავჩაქინდრული და თითქოს ხედავდა ყვითელ და შავ მიწაში მამის კუბოს, კუთხეებში რომ ფუნჯები ეკიდა, ხოლო ჟანგმიწით შეღებილ უშნოდ გამოჩორკნილი კუბოს სახურავის ქვეშ მამის ყბებჩაცვენილ, ქუთუთოებჩაშავებულ. ჩათეთქვილ სახეს.

ის მარტოდმარტო იყო ახლა ამ ქვეყანაზე და განთავისუფლების უცნაურ გრძნობას განიცდიდა, რაც სუნთქვას უკრავდა და ამავე დროს ნანატრ თავისუფლებას კი არ ანიჭებდა, პირიქით, ისეთი შემაძრწუნებელი მწუხარების ძალით აჯაჭვავდა მიწას, ადრე რომ ვერც წარმოედგინა. მაგრამ ეს მაინც თავისუფლება იყო. ხოლო სრულ განთავისუფლებად რომ ქცეულიყო — სრულყოფილ იდეალურ თავისუფლებად — საჭირო იყო ყოველგვარი მატერიალურისაგან განთავისუფლება, რაც პჩიოლკინს მამასთან აკავშირებდა, ყველაფრისაგან, გარდა მისდამი სიყვარულისა. სიყვარულს ვერაფერი მოსპობდა.

ეს იყო სასოწარკვეთის აქტი, თვითდაწვით ტკბობა, როცა მამის მოუვლელ ჩახუთულ პატარა ოთახში, სადაც თითქოს შპალერსაც კი შერჩენოდა რაღაცნაირი ბებრული სურნელი, ორი მეძველმანე გამოჩნდა, ძველი სამყაროს ორი აჩრდილი, ჯერ ისევ ტრადიციული ქვაბ-ქუდები რომ ეხურათ, მაგრამ უკვე საბჭოური ტოლსტოურები ეცვათ, და შეუდგნენ განსვენებულის ქონების შეფასებას. სინათლეზე სინჯავდნენ დიდი ხნის ნახმარ მაუდის გაცვეთილ შარვალს, ჩესუჩის პიჯაკს, წვრილცხვირიან შტიბლეტებს. ერთმანეთზე დაკერებული ძირამდე გახვრეტილი ლანჩები რომ

ჰქონდათ, და ყველაფერს გაშლილ ხამ ტილოზე ყრიდნენ. პჩიოლკინი ფეხზე იდგა, კარს მიყრდნობოდა, ქაღალდში გახვეულ თუთუნს ეწეოდა და ღაწვებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. თავისუფლების მწველი, ნეტარი გრძნობა ყელში მოწოლოდა, უძრავად მიშტერებოდა, როგორ ცვიოდა გროვაში ფრიალ-ფრიალით სხვადასხვა საოჯახო ნივთები: ჭადრაკის ბრახუნა ყუთი, გაყვითლებული საყელოები, სამაჯურები და გულისპირები, ბუზებჩამხმარი სამელნე, პლუშისყდიანი საოჯახო ალბომი, დედამისის გადიდებული სურათი—ჰო, ჰო, დედის სურათიც კი! დაე ნურაფერი ნულარ დარჩება! იწყება ახალი ცხოვრება, განთავისუფლებული ყოველგვარი გრძნობებისა და ნივთებისაგან...

აქ ვშორდები პჩიოლკინს.

„ეს განშორება არის ტკივილი, მაგრამ ვერავინ აღწერს, ცხადია, თუ რას გვიქადის მამლის ყივილი, როს აკროპოლში ცეცხლი ანთია და გარიჟრაჟზე ახალი ყოფის...“

და გარიჟრაჟზე ახალი ყოფის... და გარიჟრაჟზე ახალი ყოფის... და გარიჟრაჟზე ახალი ყოფის...

როცა „დეპეშების დარბაზის“ ესტრადაზე გამოვედი, როცა დიდი ამბით დავაგდე მაგიდაზე ჩემი ახალი ლექსების შეკვრა და ჩემკენ მოპყრობილი ცნობისმოყვარე, ასე გასინჯეთ, აღტაცებული თვალებიც შევამჩნიე, რამპასთან მივედი დ ზეპირად დავიწყე კითხვა. იმ სტრიქონზე, მე რომ ესოდენ იმედებს ვამყარებდი:

„...და მალე დილა თავს წაგვადგება ჩახუტებულებს“ —

ხმა ამიჟღერდა. მაგრამ ტყუილ-უბრალოდ კი ვცდილობდი თურმე — იგი ამ დარბაზში არ იყო, არ მოვიდა ჩემი ლექსების მოსასმენად.

— ეეჰ, — მითხრა კულისებში მეგობარმა პოეტმა ე.-მ. — სანამ შენ დამჭკნარი ფოთოლივით დაფარფატებდი მაზრაში სოფლის კორესპონდენტების შესაგროვებლად და ბანდებს ებრძოდი, შენმა შეყვარებულმა რქები დაგადგა. ახლა ის შენთვის საკმაოდ ცნობილ პეტკა სოლოვიოვთან დადის. თავის ძველი დიდების მიუხედავად, იგი „გუბტრანში“ თავმდაბლად მსახურობს და ოფლს ღვრის ქალაქის ტრანსპორტის აღდგენაზე.

ამ ჩემი მეგობრისთვის წინა კბილი ჩაემტვრიათ, ამიტომაც გესლიანი სისინით წამიკითხა ჩემს უიღბლო რომანზე დაწერილი საკმაოდ უცენზურო ეპიგრამა.

იმავე დღეს ფელდმანის ბულვარზე, წითელი მეზღვაურების კლუბის პირდაპირ შევხვდი ჩემი ოცნების საგანს. ხელკავით მიყვებოდა აყლაყუდა პეტკა სოლოვიოვს, ვისზეც გაგონილი მქონდა, რიშელიეს გიმნაზიის საუკეთესო ჩოგბურთელიაო. ისე კი გიმნაზიის სპორტმოედანზე მყავდა ნანახი ეს ლამაზი, პეწიანი ყმაწვილი. დიაგონალის ქურთუკის მეორე ღილზე ჟეტონი ჰქონდა მიმაგრებული — ტენისის პაწია ოქროს ჩოგანი. ომში არტილერისტად იყო, ახლა კი ტოლსტოურა და ხისლანჩიანი სანდლები ეცვა, ხელი გამოედო ჩემი ყოფილი სატრფოსათვის და ნაზად გადახრილიყო მისკენ. იმას კი სახელმძღვანელოების შეკვრა ეჭირა და მხიარული ღიმილით შესციცინებდა. მისი ვიწრო, შავი თვალების სიღრმეში თითქოს იდუმალად ციმციმებდა მთვარის შუქი. მე დავეწიე და მივესალმე:

— სალუტ...

პეტკამ მიცნო, თავაზით მიიტანა ხელი არტილერისტის ძველ, უკაკარდო ქუდთან და მიპასუხა:

— სალუტ...

ყმაწვილმა ქალმა ჩემკენ მოატრიალა ბედნიერებითა და სიყვარულით გაცისკროვნებული სახე.

— სალუტი და ძმობა, მოქალაქევ! — ხელი ავწიე და ისე მივესალმე. — თქვენ მოღალატე გული გქონიათ!

მან თვალები მოწკურა, მოიღუშა, მსწრაფლ ასწია ნიკაპი და უცბად სრულიად ბავშვურად, ეშმაკურად გამომიყო ენა იმის ნიშნად: ესეც შენ, ხელიდან რომ გამიშვიო! — მხოლოდ მაშინ, მხოლოდ იმ წუთში ვიცანი იგი.

ეს სწორედ ის გოგო იყო, ოდესღაც მე და ბუნინს რომ ჩაგვიარა კოვალევსკის აგარაკის ხრეშიან გზაზე, ის გოგო, რამდენიმე წლის შემდეგ მეზღვაურების ჯგუფთან ერთად კნიაჟევსკაიას ქუჩაზე რომ შემოგვივარდა ბინაში, ახლა კი პარტსკოლაში სწავლობდა; ის გოგო, ვისაც კვლავ ბევრჯერ შევხვდები წამიერად ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ხანაში — შევხვდები საშუალო ხნისას, შევხვდები ხნიერს და ბოლოს უკვე ღრმა მოხუცებულს ვნახავ ურალში, სადაც ორმოცგრადუსიანი ყინვა იდგა, დანავარდობდნენ ქორბუდა ირმები, ხოლო მაგნიტოგორსკის საკვამურებიდან ამოსული ნაირ-ნაირი ფერის კვამლის ქულები ცხვრის ფარასავით ირეოდა.

მან ზურგი შემაქცია, ხუჭუჭა თავი პეტკა სოლოვიოვს მიაყრდნო მხარზე და ორთავემ ერთად შეუხვიეს კუთხეში, სადაც მხატვარ ფაზინის მიერ მატისის ყაიდაზე შესრულებული უზარმაზარი პლაკატი იდგა: პლაკატზე ორი რევოლუციონერი მეზღვაური ეხატა, განიერი შარვლები რომ ეცვათ და გვერდზე მაუზერები ეკიდათ. მათ უკან ლურჯი ზღვა და ჯავშნოსნები ჩანდა. ჩემი ყოფილი სატრფო და პეტკა სოლოვიოვს მეს-ის — ანუ მომხმარებელთა ერთობლივი საზოგადოების სასადილოში შევიდნენ, ალბათ იქ ტალონებით უნდა ესადილათ, ე. ი. მიერთვათ ქერის ფაფის გამხმარი კვადრატი, რამდენიმე წვეთი მანქანის მომწვანო ზეთი რომ ჰქონდა მოსხმული, და დაელიათ სტაფილოს ჩაი ორი ცალი კვერით.

სიყვარულმა, ეჭვმა და ნაღველმა მყის დამისერა გული, მაგრამ ტკივილმა სწრაფად გამიარა, სხვა გატაცებას და სხვა სიყვარულს დაუთმო ადგილი.

ისე დავკარგე იგი, რომ სახელიც კი ვერ გავიგე.

რაც შეეხება პეტკა სოლოვიოვს, იგი კონტრრევოლუციური შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა. მისი გვარი აფიშის ტუმბოზე გაკრულ დახვრეტილთა სიაში ამოვიკითხე. შეიძლება სწორედ იმაზე შეთხზა ციხის რომელიღაც ოხუნჯმა კუპლეტები იმ დროს ძალზე ცნობილი ვერტინსკის სანტიმენტალური სიმღერის ჰანგზე: „სამი ყრმა პაჟი სამუდამოდ სტოვებდა ნაპირს!“

„გამოდიოდა ერთი ციხიდან და გვერდს უვლიდა ხიფათს და გარაჟს, სოდა გაჰყიდა, ეტლი იყიდა, ისიც ვიღაცას მიჰყიდა ჩქარა. მეორე ჩუმად იღიმებოდა, როცა იჭერდნენ — გზა ჯანდაბამდის — ალბათ კატორღა ელოდებოდა: თაღლითი იყო და ყალთაბანდი. მესამე იყო შტაბს-კაპიტანი, ცოდვილი იყო მართლა კისრამდე. იგი გარაჟში გადაიყვანეს და მიახვრიტეს ვრანგელისათვის. შტაბსკაპიტნობა ვისაც სწადია, ის ვერ აცდება გარაჟს, ცხადია!

(მაშინ ხალხს გარაჟში ხვრეტდნენ.)
მე მაინც ვწუხდი, მისი სახელი რომ არ ვიცოდი.

...ჭიანჭველა უსახელო მცენარეზე მიძვრება, მერე თითზე გადმომაცოცდა, იგი ალბათ ყვავილის გაგრძელებად მიიჩნია. შემდეგ ჩემს გაშიშვლებულ მკლავს აჰყვა, ზღვის მარილი რომ შერჩენოდა, და ჰა, ნელა მიიკვლევს გზას ბალნების ტევრში, ცაცებით შეიგრძნობს ჩემს თბილ, მზეზე გარუჯულ ეპიდერმას და მაინც ამ პატარა, ამ უმნიშვნელო წვრილმანებით არ შეუძლია წარმოიდგინოს მთელი ჩემი განუზომლად დიდი, რთულად ნაგები სხეული, ყველა მისი საიდუმლო, მისი ათასობით, მილიონობით ნერვული კვანძი, მხედველობის, ყნოსვის მექანიზმები, ტვინის ცენტროები, — ერთი სიტყვით, შემიცნოს მე, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, როგორც პიროვნება, როგორც რაღაც განუმეორებელი, როგორც გალაქტიკა. მან არ იცის, რა მეწოდება, რა მქვია: მისთვის მხოლოდ განუსახიერებელი ბუდა ვარ, მოკლებული ცხოვრებისეულ დანიშნულებას, მოკლებული ყოველგვარ იდეას.

მე ამ უზარმაზარი სამყაროს ბალნიან მკლავზე დავცოცავ, მაგრამ თუნდაც იმით განვსხვავდები ჭიანჭველისგან, რომ სანოტე ნიშანს არ ვგავარ, რომ მაქვს ფანტაზია, რომ მარადისობას შემიძლია მარადისობა ვუწოდო და დროს დრო, თუმცა არ ვიცი, რას წარმოადგენს იგი.

მე შემიძლია ჩემი ნებისმიერი იდეა თუნდაც მხედველობით, თუნდაც მოცულობით, თუნდაც მხატვრულ სახებად ვაქციო, თუმცა ეს ყოველთვის ძალიან ძნელია, არა იმიტომ, რომ არ შემიძლია სახება შევქმნა, არამედ იმიტომ, რომ არ მაქვს იდეა, განსასახიერებელი არაფერი მაქვს.

მაგრამ როგორი ბედნიერება მოიცავს შენს სულს, როცა მას დაეუფლება აზრი. დაეუფლება საოცარი სურვილი განასახიეროს იგი, დაარქვას მას სახელი...

ბოლოს მე თვითონ დავარქვი მას სახელი. კლავდია ზარემბა. დიახ, სწორედ კლავდია ზარემბა, ან იქნებ ზარემბო?

.რა მაიძულებს ვწერო ამ ნაკლებად ნაცნობ, შეიძლება ითქვას, გამოგონილ ქალზე — კლავდია ზარემბაზე? წერის, თხზვისა თუ გამოგონების ჩვევა? არა მგონია. ჩემს სულზე განუწყვეტლივ მოქმედებს გარედან მილიონობით შეგრძნებადი და შეუგრძნობადი გამღიზიანებლები, საოცარი დაჟინებით რომ მოითხოვენ ჩემგან განვასახიერო ისინი, მივცე მატერიალური სახე და იერი, მივცე მოცულობა.

ვინ ან რა მაიძულებს შევქმნა რევოლუციის პირველი წლების ახალგაზრდა გმირი ქალის პორტრეტი?

იმხანად სერგეი ინგულოვი ბრალს სდებდა ახალგაზრდა მწერლებს, რევოლუციაზე არ სწერთო, აქაოდა სიუჟეტები არ არის, გმირი ქალები არ არიანო.

„დიახ, — სწერდა ინგულოვი ხარკოვის „კომუნისტში", — ეს ის გმირი ქალი არ გახლავთ, ვინც რევოლუციის ეპოქის ლიტერატურაში უნდა შემოვიდეს ტურგენევის ელენეს, გონჩაროვის ვეროჩკას, ჩერნიშევსკის ვერა პავლოვნას ნაცვლად. იგი ვერ ახასიათებს ჩვენს ეპოქას. მაგრამ ამ ეპოქიდან კია გამოსული, ამიტომ მე მოგითხრობთ მასზე". შემდეგ კი მართლაც გვიამბო ერთ ახალგაზრდა საბჭოთა პარტსკოლელ კომუნისტ ქალზე, ვინც დაეხმარა „გუბჩეკას" მოეხდინა სახიფათო კონტრრევოლუციური შეთქმულების ლიკვიდაცია. ამ ორგანიზაციის ასალაგმავად საგანგებო კომისიას შიგ უნდა შეეპარებინა თავისი ხალხი. ორგანიზაციას მეთაურობდა ვრანგელელთა ახალგაზრდა შტაბს-კაპიტანი. ჯერ სწორედ ეს კაპიტანი უნდა დაეჭირათ, ეს კი ძალზე ძნელი იყო. ოფიცერი ზედმიწევნით ფრთხილობდა, არავის არ ეცნობოდა, თავის ორგანიზაციაშიც მხოლოდ იმ რამდენიმე ოფიცერთან ჰქონდა კავშირი, ვინც თვითონ ჩააბა მუშაობაში. მაგრამ არ ეყო ძალა, ვერ დათრგუნა თავისი სურვილი და გაეცნო იმ ყმაწვილ ქალს, ვისაც უკვე რამდენიმე დღე ზედიზედ ხვდებოდა ქუჩასა და მეს-ის სასადილოში.

ქალმა არ იცოდა მისი ვინაობა. არც ოფიცერმა იცოდა, ვინ იყო ეს ქალი. გუბჩეკაში აუხსნეს ქალს, თუ ვინ გაიცნო, და უბრძანეს, თავი შეაყვარეო შტაბს-კაპიტანს. ქალმა დავალება შეასრულა: არა მარტო შეაყვარა თავი შტაბს-კაპიტანს, თვითონაც შეუყვარდა იგი. მას არც დაუმალავს ეს ამბავი გუბჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების გამგისთვის.

გამგემ პირობა ჩამოართვა, რომ საქმეს მაინც ბოლომდე მიიყვანდა. ქალი აჩქარებდა, ეუბნებოდა, აღარ შემიძლია ამ წამების ატანაო. მაგრამ ლიკვიდაციის საქმე გაჭიანურდა — ვინაიდან მარტო მეთაური კი არა, კუდებიც უნდა დაეჭირათ. ყმაწვილმა ქალმა პირნათლად შეასრულა თავისი პარტიული, რევოლუციური ვალი, ერთი წუთითაც არ მოუშორებია თვალი. თავისი შეყვარებულისათვის, ვინემ ორივენი ერთად არ დააკავეს. ისინი გვერდიგვერდ საკნებში ჩასვეს, კაკუნით ესაუბრებოდნენ, წერილებს უგზავნიდნენ ერთმანეთს. ბოლოს ოფიცერი დახვრიტეს, ქალი გაანთავისუფლეს.

„მწერლებო და მწერალო ქალებო, — სჭექდა ინგულოვი, — ტრაგიკოსებო და პოეტებო, აკმეისტებო და ნეოკლასიკოსებო, ვისზე მოგვითხრობთ თქვენ? თქვენ მხატვრები ხართ, თქვენ არ შეგიძლიათ არ აღიქვათ რევოლუციური ყოფა, რევოლუციური ცხოვრება — არა კლასებისა, არა ფენებისა და ჯგუფებისა — არამედ ცალკეული ადამიანებისა..."

„პოეტებო და პოეტო ქალებო, თქვენ ხომ შესძელით და უმღერეთ დანტესა და ბეატრიჩეს სიყვარულს, ნუთუ ვერ შესძლებთ და ვერ უმღერებთ ახლა შტაბს-კაპიტნისა და პარტსკოლელი გოგოს სიყვარულს?"

„რატომ სდუმხართ?"

თითქოს ახლაც მიდგას თვალწინ ჩემი უფროსი ამხანაგისა და მეგობრის სერგეი ინგულოვის განრისხებული, ჯანსაღი, უმი ხორცისფერი სახე, პამიდორივით გაყოფილი ნიკაპი, მისი სქელშუშებიანი პენსნე, პროვინციული ფელეტონისტის დარად ოდნავ დამცინავად მოკუმული ტუჩები. იგი არკადი ავერჩენკოს ბაძავდა ოდნავ და ამავე დროს იატაკქვეშელი ბოლშევიკის, ნამდვილი ლენინელის ნებისყოფიანი, ხანდახან კი დაუნდობელი რისხვით აღსავსე სახე ჰქონდა, მაშინდელი დაუვიწყარი წლების მგზნებარე ალით განათებული.

მაგრამ არც ის დაინდო სიკვდილის ანგელოზმა. გაიშრიალა მის თავზეც ანგელოზის შავი აბრეშუმის სამოსმა, ამოართვა მგზნებარე სული. მიწაზე კი — არავინ იცის, სად—მისი უძრავად გაშოტილი, უსიცოცხლო ნეშტი დასტოვა, ნეშტი იმ ადამიანისა, ვინც ვერ მოესწრო პასუხს თავის კითხვაზე:

„ვინ იყო ეს პარტსკოლელი ყმაწვილი ქალი?“

...ან რა გადაიტანა ზარემბამ დასასრულის მოლოდინში ივლისის იმ საშინელ ხვატიან დღეს, როცა მზე ისე გიზგიზებდა, ვით ბიგნონიის სისხლივით წითელი ყვავილი, საითკენაც მუქარით აღსავსე ზუზუნით ნელა მიძვრება ახლა კრაზანა, ფრთების მსუბუქი რხევით ეჯახება მზით გამთბარი ყვავილის გულს, გზას რომ უღობავს ჩიხისკენ, საიდანაც დაბრუნება აღარ უწერია.

მთელი ქალაქი — მისი დაცარიელებული ქვით მოგებული ქუჩები, გრანიტის ქვაფენილები, უძრავი ზღვა, აკაციების უსიცოცხლო ფოთლები, დამშრალი შადრევნები — პაპანაქების ამ საშინელ საათებში თითქოს სისხლივით წითელი ყვავილის დახურულ გულში ჩატეულიყო, დიახ, მთელი ქალაქი, მოყოლებული ნავსადგურის შუქურით და დამთავრებული უზარმაზარი მრავალსართულიანი შენობით, სხვა ყველა დანარჩენი შენობა რომ დაეჩრდილა და ამ საღამოს რაღაც ამბისთვის ემზადებოდა.

კლავდია ზარემბამ ზუსტად არ იცოდა, როგორ ხდებოდა ეს ამბები,, მაგრამ რადგან ახლა თვითონ იყო ჩაკეტილი ამ შენობის ერთ-ერთ საკანში, ყველაფერი, რაც მის გარშემო, მისგან ასე საოცრად ახლოს ხდებოდა, ყოველ ვარაუდს უტყუარ სიმართლედ აქცევდა.

ბიგნონიის ყვავილს მეორე სახელიც ერქვა — ტეკოლა.

კლავდია ზარემბა კარგად იცნობდა ამ სახლს, იცოდა ყველა მისი სადარბაზო თუ უკანა შესასვლელი, მისი ყოველი კუნჭული. არც ისე დიდი ხნის წინათ — რევოლუციამდე — ეს იყო რომელიღაც სააქციო საზოგადოების ახალი, შემოსავლიანი სახლი. იგი თითქმის გარეუბანში იდგა ერთ მდიდრულ ქუჩაზე, პარკის პირდაპირ, და განთქმული იყო ხუთი, ექვსი თუ რვაოთახიანი დიდებული ბინებით, ყოველგვარი სათავსოები რომ ახლდა: აბაზანები, ვატერკლოზეტები, გაზი. ლიფტები, თავლები და გარაჟები ეზო-

ში. ბაღში იყო ყვავილნარები, მრგვალი აუზი, მარმარილოს სკამები, იაპონური მტირალა ხეები გაზონების შუაგულში და მოასფალტებული ბილიკები. ისინი რკინის ნაჭედ ალაყაფიდან სადარბაზო შესასვლელებისაკენ მიემართებოდა. სადარბაზოები საღამოობით მქრქალი ელექტროპლაფონებით იყო განათებული. ამ სახლში ძალიან მდიდარი ოჯახები ცხოვრობდნენ.

ახლა იქ ყველა შესასვლელსა თუ გასასვლელთან საგანგებო ნაწილების გუშაგები იდგნენ: ჩინელები, ლატვიელები, საფრანგეთიდან დაბრუნებული საექსპედიციო კორპუსის რუსი ჯარისკაცები.

ეს სახლი აკროპოლისივით გადაყურებდა მთელ ქალაქს. ღამით მხოლოდ ის იყო გაჩახჩახებული სიბნელეში ჩანთქმულ სხვა სახლებს შორის. ვით სინდისი, ისე ფხიზლად იდგა იგი და დაუნდობლად ანათებდა ადამიანის ცნობიერების იმ კუნჭულებს, სადაც შეიძლება კვლავ ყოფილიყო ჩაბუდებული ის ბოროტი ქვენა ზრახვანი, ძველი სამყაროს მორალს რომ წარმოეშვა.

არანაკლებ საშიში იყო ეს სახლი შუაგულ ზაფხულშიც, როცა აღარ ადგება საშველი და აღარ ღამდება ეს გულისწამღები გაუთავებელი ივლისის დღე. დრო კი დეკრეტის მიხედვით სამი საათით წინ გახლდათ გადაწეული. ისე რომ, თუ მზის მიხედვით მხოლოდ ხუთი საათი იყო, ქალაქის საათი საღამოს რვას აჩვენებდა და საკომენდანტო საათიც ძალაში შედიოდა. რვა საათის შემდეგ კი ქუჩაში საგანგებო საშვის გარეშე გამოსულს ადგილზე დახვრეტა ემუქრებოდა.

როცა ჯერ ისევ თვალისმომჭრელი მზე ჩახჩახებდა სახურავების თავზე, ქალაქი ავისმაუწყებლად იყო გაუკაცრიელებული. დაცარიელებული ქუჩების ტროტუარებზე მარტოოდენ ფანჯრის მინების მცხუნვარე ანარეკლი ლივლივებდა, ისმოდა მხოლოდ გუშაგის ფეხის ხმა, დროდადრო კი რახრახით ჩაივლიდა დაკეტილ ჭიშკრებთან სამხედრო საბარგო მანქანა და სახლებს აზანზარებდა.

***

რა შემორჩა მის მეხსიერებას ამ დღეებიდან?

ცარიელი ოთახის კედელი, ლურჯ მაუდგადაკრული ვეებერთელა, დიდებული საწერი მაგიდა, მაგიდაზე ხის ბუდიანი მაუზერი, ტყავის დივანი და დივანის ზემოთ ძვირფას შპალერზე დიდი ფუნჯით და გაკრული ხელით წაწერილი ოქროსასოებიანი სიტყვები: „სიკვდილი კონტრრევოლუციას!“

ეს იყო საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსის კაბინეტი. მისი ვენეციური ფანჯრიდან ალექსანდრეს პარკის ხის კენწეროებისა და თავწაკვეთილი სვეტის მიღმა უკაცრიელი მუქი ლურჯი ზღვის ზოლი მოჩანდა, სადაც არ ოლანდებოდა არც ერთი იალქანი და არც კვამლის პაწია ბოლქვი.

დიდი ხნის შემდეგ იმ კაცს რომ შეხვდა, ვინც ამ მაგიდას უჯდა მაშინ, ქალმა ის ოქროს წარწერა გაახსენა ძვირფას შპალერზე, კაცმა კი გაოცებით შემოხედა:

— ასეთი წარწერა არ ყოფილა, ჩემო ძვირფასო, რაღაც გეშლება.

— გარწმუნებ, იყო. ასე მგონია, ახლაც ვხედავ.

კაცი მოიღუშა.

— მოგჩვენებია.

— გეფიცები.

— მაშინ ჩვენ შორის რომელიღაც გაგიქებულა.

— მაშასადამე, შენ.

მაგრამ გავიდა კიდევ დიდი დრო და ცენტრალურ პოლიკლინიკაში კბილის ექიმის კაბინეტის წინ შეხვდნენ ერთმანეთს. კაბინეტის მძიმე კარი იფნის ხისა იყო სპილენძის სახელურით. იდგა ხელოვნური მარმარილოს ოთხკუთხა სვეტები, უზარმაზარი ფანჯრის თბილ, დიდ რაფაზე — ქაშანურის ქოთნები დეკორატიული მცენარეებით. ფანჯრიდან მოჩანდა სივცევ ვრაჟეკის ძველი, განცალკევებით მდგარი სახლები და მაღალი შენობის კოშკურები, ობელისკები და დაბალი შპილი.

— გამარჯობა, ვიკენტი.

— გაგიმარჯოს, ამხანაგო ზარემბა. თუ შეამჩნიე, რომ ჩვიდმეტ წელიწადში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს. რა ჰქენი, მთლიანად?

— მთლიანად.

— მეც მთლიანად. უკვე პენსიაზე გავედი. პერსონალური პენსიონერი გახლავარ. ასეა, ძმაო, აი ახლა ახალ ხიდს ვიკეთებ.

— მეც. ნახევარ კბილებზე მეტი დავკარგე.

— და მაინც კარგა ბლომად მოგიმატნია. რამდენს იწონი, სამოცდაათს?

— ნეტა რად გინდა დაზუსტება?

— რა თხელი გოგო კი იყავი, პოეტის ოცნება!

— თხელი არ ვყოფილვარ, წვრილი კი ვიყავი, მაგრამ მკვრივი. მაინც ვამტკიცებ, რომ შპალერზე ეწერა: „სიკვდილი კონტრრევოლუციას!“ როგორც გინდა თქვი და ასე ეწერა.

— იცი, მართლა ეწერა, — გაეცინა კაცს. — მერე გამახსენდა. მინდოდა კიდეც დამერეკა შენთვის, მაგრამ არ დაიჯერებ, არც ერთი ტელეფონი-ავტომატი არ იყო ჩვენთან.

— თურმე რა ოხუნჯი ბრძანდები!

— აბა არა! იცი, როგორ მოხდა? განყოფილებაში პირველი მაისის დემონსტრაციისთვის ვემზადებოდით. დროშაზე რაიმე შესაფერისი ლოზუნგი უნდა დაგვეწერა. კედელზე წითელი დროშა გავჭიმეთ. სიკვდილის ანგელოზმა კი — გახსოვს ჩვენი კოლია ბერეზოვსკი, მეტსახელად სიკვდილის ანგელოზს რომ ვეძახდით? ლამაზი ბიჭი იყო, კარგად ხატავდა, ღმერთმა აცხონოს — აიღო მოზრდილი ფუნჯი და ოქროს ასოებით დაწერა: „სიკვდილი კონტრრევოლუციას!“ საღებავმა კი ქსოვილში გაატანა და ასოები ოქროსფრად დააჩნდა შპალერს.

— აი ხედავ? შენ კიდევ მედავებოდი.

— მაპატიე, ჩემო ძვირფასო. მაშინ გვარიანად კი დაგვეხმარე. გახსოვს, როგორ განიცდიდი!.. საშინელება იყო.

მიჩერებოდნენ ერთმანეთს და იხსენებდნენ, როგორები იყვნენ იმ დროს. კაცმა საკმაოდ ბუნდოვნად გაიხსენა ქალი თავის კაბინეტში, სულ ახალგაზრდა, ბიჭივით გაკრეჭილი; ინგლისური ფრენჩი ეცვა, გამხდარი,

ნაშიმშილევი იყო, ოდნავ ჩაცვენილი თვალები ჰქონდა. იგი უძრავად მიჩერებოდა ოქროსფერ წარწერას ვექილისეული ტყავის დივანის თავზე. კაცი კი საკმაოდ ცმუტია ვინმე იყო, ოცდაათიოდე წლისა, როგორც ახსოვდა ზარემბას, გარეგნობით ხელოსანს ჰგავდა. მართლაც ხელოსანი იყო რევოლუციამდე — რუსეთის მაზრის ტიპიური უიღბლო ქარგალი, ეცვა ჩითის ხალათი და ჟილეტი, უკან ლურჯი ბალთით შეკრული. ცხვირპაჭუა გლეხური სახე ჰქონდა, კლასობრივი მტრებისადმი ზიზღით განაწამები. მათი უკანასკნელ კაცამდე განადგურება, დედამიწის პირიდან აღგვა დაფიცებული ჰქონდა. მან არ იცოდა, რა იყო დანდობა და სიბრალული, რა იყო დაღლა. მისი ალუბლებივით მრგვალი, შავი თვალები ყურადღებით უცქეროდნენ მოსაუბრეს, თითქოს აფრთხილებდნენ კიდეც წინასწარ, ისე რომ შეიძლება ვისმე კეთილ, შემბრალე კაცად მოსჩვენებოდა, მაგრამ ვაი რომ შეცდებოდა: იგი დაუნდობელი, მოუსყიდველი და პრინციპული იყო.

ბავშვობიდანვე ბევრი სიმწარე ეგემა ცხოვრებაში, ბევრი უსამართლობა და დამცირება ჯერ მხეცი პატრონის ხელში, შემდეგ თავისი მუშტრებისგან — მიყრუებული გარნიზონის ქვეითი ნაწილების ოფიცრების მხრიდან, ვისი გულიც ვერაფრით ვერ მოეგო, ხშირად გასამრჯელოსაც არ აძლევდნენ, გაუთავებლად თხოვდნენ გადაკეთებას, ცხვირ-პირს ამტვრევდნენ და კინწისკვრით აგდებდნენ გარეთ, როცა ჭრელი თავსაფრით ყბაახვეული, ჩალურჯებული და შეშუპებული თვალით მიდიოდა ხოლმე გასამრჯელოს სათხოვნელად. ისე ეზიზღებოდა ეს ოფიცრები, რომ მათ დანახვაზე სისხლი ჩაქუჩებივით უბაგუნებდა საფეთქლებში, სუნთქვა ეკვროდა და მზად იყო მოესპო ყველა, რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ, დღედაღამ დაუღლელად ეჭლიტა მანამ, სანამ დედამიწის ზურგზე სიმართლე არ გაიმარჯვებდა და სამყაროს მეუფედ შრომა არ გახდებოდა.

იმ დღეს საწერ მაგიდაზე ოფიცერთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ფერადი სქემა ედო, აქვარელის საღებავებით შესრულებული. იქ იყო გამოსახული ყველა შტო და კავშირი ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციისა. თვითეული წევრი კი პიროობითი ნიშნით — რგოლით, სამკუთხედით, რომბით თუ კვადრატით იყო აღნიშნული და შიგ შეთქმულის სახელი ეწერა. ცენტრში, მწვანე სამკუთხედში, სადაც შეთქმულების ყველა შტო იყრიდა თავს, ზარემბამ თავისი შეყვარებულის სახელი ამოიკითხა.

კაცმა ისე, ყასიდად დაჰკითხა ზარებმა, თან ფუსფუსებდა, ცდილობდა გულთბილი მასპინძელი ყოფილიყო:

— ახლავე გავიქცევი და ადუღებულ წყალს მოვიტან... ერთად დავლიოთ ჩაი... აიღე პური. ვინ იცის, მოგშივდა. შენ ზორბად დაგვეხმარე. რევოლუციის სახელით მადლობას გიხდი. ნუ განიცდი. მოიწმინდე ლოყები. აჰა, ცხვირსახოცი. დამიჯერე, ეგ შენი ნაძირალა შტაბს-კაპიტანი ამად არა ღირს. მათ რომ გაემარჯვათ, — ყველას ფანრებსა და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩამოგვკიდებდა, შენც ჩამოგკიდებდა, მიუხედავად ყველაფრისა, დამიჯერე. ან ისინი მოგვერეოდნენ, ან ჩვენ. დალიე ჩაი, ხვალამდე მოითმინე. დღეს ყველას გავაქროობთ. ხვალ კი მშვიდად გახვალ სამუშაოზე.

საღამოს თავის საკანში გაიგონა ქალმა, როგორ მოიყვანეს ისინი საბარგო მანქანით ციხიდან. როგორ გაიძახეს სადღაც თითო-თითოდ. ცოტა

ხნის შემდეგ დერეფანში გაისმა ფეხების ბაკუნი, ჩხუბის ხმა, მძიმე ქშენა, ყვირილი. ზარემბა კარის სარკმელს აეკრა. დაინახა ჩაბნელებული დერეფნის ჭუჭყიანი შპალერი, ბუზებისგან დასკინტლულ მსხვილ, დაგრეხილ შნურზე მოკონწიალე შიშველი ნათურა, გარშემო რომ ყველაფერი მბჟუტავი წითელი შუქით გაენათებინა. სწორედ ამ დერეფანში შემოათრიეს ბადრაგის ჯარისკაცებმა ვიღაცა. მხრებში ხელები ჩაევლოთ და ზურგში მუჯლუგუნებს ურტყამდნენ. ის ერთი ახმახი, გრძელცხვირა ახალგაზრდა იყო. გაოფლიანებული, ნაყვავილარი სახე ჰქონდა, მაიმუნივით გრძელი ხელები, დაბალი, წამოწეული შუბლი, დეგენერატული კეფა. ის თურმე ცნობილი მძარცველი და ყაჩაღი იყო, მთელ ოჯახს დედაბუდიანად ყლეტდა ნაჯახით, არ ინდობდა არც მოხუცებს და არც ბავშვებს. ამას გარდა დენიკინის კონტრდაზვერვის მოხალისე ჯალათიც იყო, თავისი ხელით ჰყავდა ჩამოხრჩობილი რამდენიმე ათეული მუშა-კომუნისტი რკინიგზის გადასასვლელზე სადგურ ოდესა-გლავნაიასთან. მისი გვარი უხოვი გახლდათ. ახლა მას დასასვრეტად მიათრევდნენ საკანიდან. ისიც, შიშისგან თავზარდაცემული, ტიროდა და ღრიალებდა, ხან გონებას კარგავდა, ხან ხელიდან დასხლტომას ლამობდა, რომ გაქცეულიყო და დამალულიყო სადმე, თუნდაც სკამის ქვეშ. წამდაუწუმ ნერწყვავდა თავისი სქელი, სველი ტუჩებით ფანჯრის ნამლევს და გარკვევით, დიდი ასოებით აწერდა შპალერზე თავის გვარს. მას მიათრევდნენ, ის კი წერდა და წერდა — უხოვი, უხოვი, უხოვი... — ვინემ იღლიებში არ ჩაავლეს ხელი და არ გაათრიეს. ფანჯარმა კი უკანასკნელად გახაზა შპალერი და გადატყდა.

ზარემბას უნდოდა უკანასკნელად შეეხედა პეტია სოლოვიოვისთვის, მაგრამ ისინი ისე სწრაფად ჩაატარეს დერეფანში სურათების გადასაღებად, რომ თვალი ვერ მოჰკრა. მერე მიწვა თავისი საერთო საკნის კუთხეში და გონება დაჰკარგა. შემდეგ საოცარმა, თითქმის საღათას ძილმა წაიღო. როცა რამდენიმე დღის შემდეგ გონს მოეგო, დაინახა, რომ საავადმყოფოს თეთრ საწოლზე იწვა. ძლივს გაიხსენა, რაც გადახდა.

ამის შემდეგ ორ წელიწადს მკურნალობდნენ კლავდია ზარემბას, სანატორიუმიდან სანატორიუმში აგზავნიდნენ. როგორც იქნა ორი წლის შემდეგ გამოჯანსაღდა.

რამდენიმეჯერ შევხვდით ერთმანეთს, ხან ვცნობდით, ხან ვერა. ხან ჩუმად ჩავივლიდით, ხან რამდენიმე სიტყვას ვეტყოდით. მაშინ მისი შეცვლილი, მობერებული პირისახე მაგონებდა იმ პატარა გოგოს, მატროსულა რომ ეცვა ოდესღაც, ან იმ პარტსკოლელ ყმაწვილ ქალს, ასე ხანმოკლედ, ასე ძლიერად რომ მიყვარდა.

ერთხელ პოლიკლინიკის მარმარილოს კიბეზე შევხვდით ერთმანეთს. ქოშინით ჩამოდიოდა ქვევით, ჩასუქებული, თითქმის გაჭაღარავებული. მსხვილ ფეხებზე მაღალქუსლებიანი ვიწრო ფეხსაცმელები ეცვა. ეტყობოდა, ფეხსაცმელები უჭერდა და აწუხებდა.

— სალამი, ჭაბუკო, — მითხრა ნაღვლიანად, — როგორა ხარ? უკვე

ბაბუა ხარ? მე კი ბებია გახლავარ. იგონებ ჩვენს ახალგაზრდობას? აბა, კარგად იყავი, მიდი, გააგრძელე შენი გზა.

რამდენჯერ მოვკიდე ხელი კალამს, რომ შემესრულებინა ჩემი მეგობრისა და უფროსი ამხანაგის, აწ განსვენებული სერგეი ინგულოვის რჩევა, დამეწერა რომანი პარტსკოლელ ყმაწვილ ქალზე. იქნებ ეს ერთადერთი ნამდვილი სიუჟეტი იყო და მართლა ღირდა დროისა და ძალის დახარჯვა, რომ ეს ალმასი ელვარე ბრილიანტად გადამექცია. მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი ჩემს უძლურებას, თემა ბევრად აღემატებოდა ჩემს ძალასა და შესაძლებლობას. საშუალოდ, ძველებური ყაიდითა და ხერხით რომ დამემუშავებინა, ეს კი არ შემეძლო — ამ ხერხს იგი არ ემორჩილებოდა.

პარტსკოლელი ყმაწვილი ქალი მე სავსებით ახლებურად, ჯერ არნახული ხერხით უნდა დამეხატა, ისე რომ „დაგსკდომოდა გულის ალტანი“ — როგორც ოსიპ მანდელშტამი იტყოდა. მე კი საამისოდ ჯერ არ ვიყავი მზად.

„აფსუს, რომ არ გვეყო დრო დაგვეწერა ჩვენი „ხელოვნების რევოლუციური კატეხიზმო“, — მწარედ შესძახა ედმონდ გონკურმა.

მერე როგორ მაკლდა ეს კატეხიზმო მე, ვისაც ჯერ კიდევ ვერ მიმეგნო მოვიზმისთვის.

„...მთელ 300 გვერდზე ერთი კიჟინითა და ბრაგაბრუგით უკუაგდო ყველა წმიდათაწმიდა შეხედულება, საუკუნეთა მანძილზე რომ ხალხის აღტაცებას იწვევდა, ესთეტიკის პროფესორების აკადემიური პროგრამები, ხელოვნების ძველებური რწმენა, კიდევ უფრო მეტად რომ აკლია კრიტიკული სული, ვიდრე რელიგიურ რწმენას...“

არა, არა, დამშვიდდით, ამხანაგებო, ეს გონკურმა დაწერა და არა მე.

„ინტელექტუალური „ფეხებზე დაკიდება“ საყოველთაო აზრისა—ყველაზე უფრო იშვიათი გამბედაობაა, რაიც კი ოდესმე შემხვედრია. მხოლოდ ამ ნიჭის წყალობით შეიძლება შექმნა ორიგინალური რაიმე...“

მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა ყოფილიყავი მაიაკოვსკი და არა ბუნინი.

„...მე ვეძებ... ისეთ რაღაცას, რაიც რომანს არ ემსგავსება. ინტრიგების უგულებელყოფა ჩემთვის საკმარისი არ არის. მინდა, რომ თვით სტრუქტურა იყოს სხვანაირი, მინდა, რომ ეს წიგნი იყოს ერთი პიროვნების მემუარები, მეორის მიერ დაწერილი. სიტყვა „რომანი“ უკვე ველარ განსაზღვრავს იმ წიგნებს, ჩვენ რომ ვწერთ. მე მინდა სხვა სახელი ვუწოდო მათ“.

...თუ მემუარებს, თუ რომანს არა, მაშ რას ვწერ ახლა? ნაწყვეტებს, მოგონებებს, ნაკუწებს, ფიქრებს, სიუჟეტებს, ნარკვევებს, შენიშვნებს, ციტატებს...

მაგრამ მე მაინც არ ძალმიძს შევავსო ჩემი თუ სხვისი მეხსიერების ამ საცოდავი ნამსხვრევებით დროისა და სივრცის ის განუზომელი, მუდამ არსებული უფსკრული, რომლის პირასაც გაწამებული და გატანჯული გათენებამდე ვწრიალებ.

ხანდახან თავს ბედნიერ მეფეს ვადარებ, ყოვლად უმიზეზოდ რომ უძილობის სენი შეჰყრია.

ზღაპარი ბალიშზე.

კარგა ხანია დაკარგა ძილი მეფემ. საუკეთესო ექიმებმა და მისნებმა ვერ განკურნეს იგი ამ მომაკვდინებელი სენისაგან. არც ერთი ძილის წამალი არ მოქმედებდა მეფეზე. დღედაღამ წრიალებდა საწოლში, ტვინს უქანცავდა გაუთავებელი, განუწყვეტელი ფიქრები. კვდებოდა მეფე. როგორც ჩანდა, არავის შეეძლო მისი ხსნა. და აი ერთ კუნაპეტ ღამეს, როცა სიკვდილის ანგელოზი სულ დაბლა, მის სასთუმალთან დაფრინავდა, მეფის საძინებელში ფეხშიშველა შეიპარა მისი ყველაზე ნორჩი, ყველაზე ლამაზი და საყვარელი ცოლი, ყვავილებიანი თხელი გამჭვირვალე საწმერთული რომ ეცვა, ნაზი თითები მეფის სასთუმალს შეახო და უთხრა:

— მგონი, ვიცი შენი სენის მიზეზი, ძვირფასო! შეგიძლია ერთ კითხვაზე მიპასუხო? დიდი ხანია ამ ბალიშზე გიდევს თავი?

— დიდი ხანია.

— როდის გატენეს ის უკანასკნელად ბუმბულით?

— არც ისე დიდი ხანია.

— ის ალბათ შენმა პირველმა, უფროსმა ცოლმა დატენა, არა?

— ჰო, ასეა წესი.

— აი რას გეტყვი, საყვარელო. არ მინდა ცუდი ვთქვა მასზე, ვიცი, შენი სიყვარულით მოუვიდა, მაგრამ ისე კი გაუტენია ბალიში, რომ აბა ხელი შეავლე, ქვასავითაა. განა ამაზე ძილი შეიძლება? მომე, გენაცვალე, ზედმეტ ბუმბულს გამოვაცლი და მაშინვე დაგავიწყდება, რა არის უძილობა.

მარდი, მოქნილი ხელებით ბალიშის პირი გაარღვია მეფის ნორჩმა ცოლმა, რამდენიმე მუჭა ძვირფასი ბუმბული მოაკლო, მერე ბალიში ააფუმფულა და მეფეს თავქვეშ დაუდო. მეფემ საოცარი სიგრილე და სიმსუბუქე იგრძნო და ნეტარი ძილი დაეუფლა. ნორჩმა ცოლმა კი პირსახოცით განდევნა სიკვდილის ანგელოზი სარკმლიდან, მერე თავის საყვარელ მბრძანებელს აკოცა და ისევე უჩუმრად გაიპარა, როგორც შემოვიდა.

მაგრამ ზღაპარი ამით როდი დამთავრდა.

დაწვებოდა თუ არა მეფე, მაშინვე იძინებდა და დიდხანს ტკბილად ეძინა გვიან დილამდე, ვიდრე ყავასა და რძეს არ მოართმევდნენ. პირველად ეს ძალიან მოსწონდა მეფეს, შემდეგ კი შეამჩნია, რომ ძილის წინ სრულებით აღარ ფიქრობდა თავის სამეფოს ბედზე და ცოტა კიდეც გამოსულელდა. მაშინ იხმო ნორჩი ცოლი და ყურში ჩასჩურჩულა:

— ცხადია, ჩემმა მოხუცმა ცოლმა მაშინ მეტისმეტად გამიტენა ბალიში, მაგრამ შენ კი, ჩემო უსაყვარლესო, მეტისმეტად გამიმჩატე, მეტისმეტად ბედნიერი და უზრუნველი ძილი მომგვარე, რაც მეფეს სულაც არ შეჰფერის. არ შეგიძლია ისევ ჩამიმატო ბალიშში ცოტაოდენი ბუმბული, რომ დაწოლისთანავე არ დამეძინოს და ცოტა დრო მაინც დამრჩეს სარგო საქმეებზე ვიფიქრო?

— სიამოვნებით, ძვირფასო,—უპასუხა ნორჩმა ცოლმა და ერთი პატარა მუჭა გედის ბუმბული ჩაუმატა ბალიშს.

— აი ახლა სწორედ ისეა, როგორც მინდოდა, — თქვა მეფემ და იმ დღიდან ძილის წინ ყოველთვის საქმეებზე ფიქრობდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ფიქრები ყოველთვის მხიარული არ იყო, მაგრამ ჭეშმარიტების შუქით კი მუდამ უნათებდა მეფეს სულს.

(დასასრული იქნება)